ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! ყოველდღიური გაზეთი

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცეკა-ს და ტფ. კომიტეტების და საქ. ცაკ-ის ორგანო
ტელეფონები: პას. რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—23—17, სამდივნოს—10—58, მთ. კანტორის—8—81

შაბათი, 10 თებერვალი 1934 წ. № 35 (3891)

შეხედეთ ქვეყნის რუკას

„შეხედეთ რსფსრ-ის რუკას. ვოლოგდიდან ჩრდილოეთისაკენ, დონის როსტოვიდან და სარატოვიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, ორენბურგისა და ომსკიდან სამხრეთით, ტომსკიდან — ჩრდილოეთით, გადაჭიმულია თვალუწვდენელი სივრცეები, რომლებზედაც მოთავსდებოდნენ ათობით უდიდესი კულტურული სახელმწიფოები და მთელ ამ სივრცეზე გამეფებულია პატრიარქალობა, ნახევრად ველურობა და ნამდვილი ველურობა. ხოლო რაღაა მთელი დანარჩენ რუსეთის გლეხურ მიყრუებულ კუთხეებში? ყველგან, სადაც ათეულ ვერსობით შარაგზა ანუ უფრო სწორად ათეულ ვერსობით უგზოობა სოფელს აშორებს რკინისგზას, ე. ი. მატერიალურ კავშირს კულტურასთან, კაპიტალიზმთან, მსხვილ მრეწველობასთან, დიდქალაქთან — განა ამ ადგილებში ყველგან არ სჭარბობს პატრიარქალობა, ობლომოვობა, ნახევრად ველურობა.

წარმოსადგენია თუ არა რუსეთში გაბატონებული ასეთი მდგომარეობიდან სოციალიზმზე უშუალოდ გადასვლის განხორციელება? დიახ წარმოსადგენია“.

ასე წერდა ლენინი 1921 წელს.

რუსეთის ეკონომიკის მაშინდელი მდგომარეობის ეს ლენინური დახასიათება უსათუოდ უნდა ახსოვდეს ჩვენი ქვეყნის თვითეულ მუშასა და გლეხს ახლა, როცა პარტია თავის მე-17 ყრილობაზე იხილავს და ღებულობს მთელს მსოფლიოში ყველაზე მოწინავე მეურნეობის აგების გეგმას, უკლასო სოციალისტური საზოგადოების აგების გეგმას. რარიგ შესანიშნავად, ისტორიულად დიადად და გენიალურად გაისმის სწორედ ახლა დიდი ლენინის წინასწარმეტყველური სიტყვები რუსეთის ეკონომიკის მაშინდელ მდგომარეობიდან სოციალიზმზე უშუალოდ გადასვლის შესაძლებლობის შესახებ.

ახლა სოციალიზმის საზოგადოების მშენებელთა დიდი საბჭო, რომელიც შეკრებილა კრემლში, თავის დადგენილებაში წერს: ხუთწლედის შედეგმა მთელი მსოფლიოს ასეული მილიონობით მშრომელთა წინაშე, პირველად კაცობრიობის ისტორიაში **საქმით დაამტკიცა** ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აგების შესაძლებლობა.

თვალუწვდენელი სივრცეები, რომლებზედაც ძველ რუსეთში მეფობდა პატრიარქალობა, ობლომოვობა და ველურობა, მშრომელთა მრავალმილიონიანი მასების შემოქმედებითი და გმირული მუშაობით აღდგნენ და უდიდესი სისწრაფით გარდაიქმნენ ახალ მოწინავე მხარეებად, ეს განსაკუთრებით მკაფიოთ მოჩანს საბჭოთა კავშირის ნაციონალური რესპუბლიკების და აღმოსავლეთის განაპირა მხარეების მაგალითზე (გამოტოვებულია).. მეფის სამხედრო-ფეოდალური ექსპლოატაციის პლაცდარმის. იმპერიალისტურ - ნაციონალური ჩაგვრის. ყაჩაღობისა და მტაცებლობის თვალუწვდენელი ასპარეზი — აღმოსავლეთის რესპუბლიკები და მხარეები ახლა ხდებიან სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ახალ დასაყრდენ ბაზებად. მეორე ხუთწლედში ეს, წარსულში მოსპობისა და გადაგვარების გზაზე მყოფი, მხარეები და რესპუბლიკები საბოლოოდ მოსპობენ თავიანთ ეკონომიურ და კულტურულ ჩამორჩენილობას და ჩადგებიან ჩვენი ქვეყნის უაღრესად ინდუსტრიალურ სოციალისტურ რესპუბლიკებისა და ოლქების რიგებში.

ურალი, ციმბირი, შორეული აღმოსავლეთი, ამიერ-კავკასია, ყაზახსტანი, შუააზია—აი ეს უზარმაზარი მხარეები, რომელთა ტერიტორია მრავალ თანამედროვე — ევროპის სახელმწიფოს დაიტევს, სწრაფი ტემპებით მიდიან სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის გზით. ბევრი ამ ნაციონალ - რესპუბლიკათაგანი ჯერ კიდევ პირველი ხუთწლედის შედეგად იქცა ინდუსტრიალურ ქვეყნად, განავითარა რა თავის შიგნით საკმაოდ მოზრდილი სამრეწველო კერები. მეორე ხუთწლედი აღმოსავლეთის მხარეებს და რესპუბლიკებს გადააქცევს მოწინავე კულტურულ ოლქებად მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის უაღრესად განვითარებული ტექნიკით.

საწარმოო ძალების სოციალისტურმა განაწილებამ. მრეწველობის დაახლოვებამ ნედლეულის იმ წყაროებთან, რომელიც ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში მოიპოვება, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ახალი დასაყრდენი ბაზების შექმნამ აღმოსავლეთში — ყოველივე ამან ჯერ კიდევ პირველ ხუთწლედში შექმნა საფუძველი მათი საუკუნოებრივი ჩამორჩენილობის აღმოფხვრის დასაჩქარებლად, — ხოლო მეორე ხუთწლიდში მას მოჰყვება ახალი მოწინავე ინდუსტრიალური კერების შექმნა აღმოსავლეთ რაიონებში და რესპუბლიკებში. იგი უზრუნველყოფს მათ გადაქცევას მოწინავე, უაღრესად განვითარებულ, აყვავების გზაზე დამდგარ მხარეებად.

აი, მაგალითისათვის, ავიღოთ **ურალი.** მისი მთაგრეხილი წარსულში წარმოადგენდა ევროპისა და აზიის საზღვარს, მსოფლიოს ორი ნაწილის მიჯნას — დემიდოვების კაპიტალისტური მტაცებლობის შეერთებას ნამდვილ კოლონიალურ ველურობასთან. ყაზახთა და ბაშკირთა ველების პატრიარქალურ წყობასთან. მეორე ხუთწლედში ეს ურალი გადაიქცევა საბჭოთა კავშირის ერთერთ უმნიშვნელოვანეს ინდუსტრიალურ ცენტრად. საკმარისია აღინიშნოს, რომ მეორე ხუთწლედის ბოლოს საბჭოთა კავშირის რაიონებს შორის ურალი დაიჭერს მესამე ადგილს ქვანახშირის ამოღებაში, მეორე ადგილს—შავ მეტალურგიაში, პირველ ადგილს—სპილენძის წარმოებაში, მესამე ადგილს — ალუმინის მოპოვებაში, მეოთხეს—მანქანათმშენებლობაში.

ბაშკირეთი გახდება ხარისხოვანი და ფერადი მეტალურგიის, ხე-ტყისა და ნავთის მრეწველობის უმნიშვნელოვანესი რაიონი.

ურალის ქედის დასავლეთი და სამხრეთი კალთების რაიონები თავისი ნავთის მსოფლიო მარაგით გახდებიან ნამდვილ საბჭოთა პენსილვანიად — ჩვენი ქვეყნის ნავთის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ბაზად. ეს გრანდიოზული ძვრები ურალის ეკონომიკასა და კულტურაში ამ „ევრაზიის“ გადააქცევენ მოწინავე ინდუსტრიალურ მხარედ, სოციალიზმის შეურყეველ ციხე-სიმაგრედ.

ან ავიღოთ დასავლეთი და აღმოსავლეთი **ციმბირი.** ამ სიტყვით წარსულში ბავშვებს აშინებდნენ. ციმბირი იყო საპყრობილე და კაპიტალისტური კატორღა რევოლუციონერებისათვის, მუშათა კლასის საუკეთესო ადამიანების მსხვერპლის წამებისა, ხალხის ტანჯვის სიმბოლო, უმდიდრესი სარბიელი კოლონიზატორული ძარცვისათვის, ცარიზმის ჯალათების საპყრობილე.

დასავლეთ ციმბირი გახდება წარმოების ფრიად სხვადასხვა დარგის შემცველ რაიონად, ტექნიკურად მოწინავე სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ოლქად. მის ვაკეებზე აღიმართება შავი მეტალურგიის მსოფლიო გიგანტი — კუზნეცკის ორი ქარხანა. მის წიაღში შეიქმნება მეორე დონბასი — ის საბჭოთა რური — მსოფლიოში ქვანახშირის უძლიერესი ბასეინი უაღრესად მოწინავე ტექნიკით (გამოტოვებულია) კუზნეცკის ბასეინის წიაღში მოიპოვება 400 მილიარდზე მეტი ქვანახშირი.

ციმბირის მძლავრი ინდუსტრიალიზაცია გაუმაგრებს სოფლის მეურნეობის, მეცხოველეობის, და ერბოკარაქის წარმოების განვითარებას. მძლავრი ტემპებით განვითარდება აღმოსავლეთ ციმბირი, მისი ბუნებრივი სიმდიდრენი: ქვანახშირი, რკინა, ოქრო, ხე-ტყე, ენერგეტიკის რესურსები გამოყენებული იქნებიან სოციალიზმის საქმისათვის.

სწრაფი ნაბიჯებით გაემართება წინ შორეული აღმოსავლეთის მხარე. ქვანახშირის და ნავთის ახალი რაიონები, ახალი ქარხნის და ფაბრიკების მშენებლობა, მძლავრი გემთმშენებელი ბაზის გაშლა, რკინისგზის ახალი მაგისტრალების აგება, მეთევზეობის და ბეწვეულის მძლავრი მეურნეობის განვითარება, კვების მრეწველობის მთელი რიგი დარგების და საწარმოების გაშლა, — ყოველივე ეს ძირფესვიანად გარდაქმნის მხარის ეკონომიურ სახეს.

მხარის ყველა უზარმაზარი ბუნებრივი მიწისქვეშა და მიწის და სიმდიდრის გამოვლინება და გამოყენება უზრუნველყოფს შორეულ აღმოსავლეთ მხარის გადაქცევას მდიდარ, აყვავებულ ოლქად, სოციალიზმის ავანპოსტად წყნარ ოკეანეს ნაპირებზე.

ყაზახსტანი — ეს ველური კოლონიალური განაპირა კუთხე ცარიზმის დროს — გახდება ფერადი მეტალურგიის უმნიშვნელოვანეს ცენტრად (პრიბალხაში, რიდერი) ყარაგანდში — საბჭოთა კავშირის ქვანახშირის მესამედ ბაზაში — გაჩაღდება დიდი მუშაობა. კვების მრეწველობის 40 საწარმოს, მსუბუქი მრეწველობის 12 საწარმოს მშენებლობა, რკინისგზის ახალი ხაზების გაყვანა, ემბის ნავთის ამოღების შვიდჯერ გადიდება, მძლავრი სოციალისტური მეცხოველეობა, — ყველაფერი ეს ძირფესვიანად შეცვლის ამ რესპუბლიკის ეკონომიკას.

შუააზიის რესპუბლიკები განვითარდებიან. როგორც საბჭოთა მებამბეობის მძლავრი ბაზები.

ამავე დროს აგებული იქნება მთელი რიგი საფეიქრო კომბინატები. ფერადი მეტალურგიის კომბინატები, აზოტ — ტუკის კომბინატი, მთელი რიგი მანქანათმშენებელი ქარხნები და ელექტროსადგურები.

შუააზიის რესპუბლიკები სწრაფი ნაბიჯით მიემართებიან წინ სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის გზით.

შექმნილი სამრეწველო დარგების, პირველ რიგში ნავთის მრეწველობის, ელექტროფიკაციის და მანქანათმშენებლობის ყოველნაირად განვითარებასთან ერთად, ამიერ - კავკასიის ფედერაცია ფართოდ გააშენებს ახალ სუბტროპიკულ კულტურებს: ჩაის, რამს, ლიმონს, ფორთოხალს, მანდარინს.

ამიერ - კავკასია შეინარჩუნებს აგრეთვე საბჭოთა კავშირის მებამბეობის მეორე ბაზის როლს.

მეორე ხუთწლედი — ეს ჩვენი უხვი ქვეყნის კოლოსალურ სიმდიდრეთა ამოღებისა და რეალიზაციის გრანდიოზული გეგმაა. უახლესი ტექნიკის ბაზაზე ქვეყანას ახლა საშუალება მიეცა მისწვდეს მადნეულთა უმდიდრეს ფენებს და ამოიღოს ისინი მშრომელთა სასარგებლოდ. თვითეული რაიონი, თვითეული მხარე, ოლქი. ნაციონალური რესპუბლიკა, რომელსაც წინათ სულს უხუთავდა და ჩაგრავდა ცარიზმი, ახლა პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში, სოციალიზმის საწარმოო ძალთა სრული განვითარების პირობებში, თავის წიაღთ. სულ ახალსა და ახალ სიმდიდრეებს აჩენს.

პარტიის მე-17 ყრილობის ტრიბუნაზე ზედიზედ გამოდიოდნენ მრავალ სხვადასხვა სახის რაიონისა და რესპუბლიკის წარმომადგენლები. ყველა გამოსვლაში გაისმოდა ერთიანი აზრი — მეორე ხუთწლედი—ეს არის ჩვენი გრანდიოზული სიმდიდრეების გამოვლინებისა და რეალიზაციის გეგმა, სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის გეგმის შესრულება, საბჭოთა კავშირის ყველა მხარისა და ოლქის განვითარების დასახული პროგრამა ფრიად გაადიდებს სახ. შემოსავალს და უზრუნველყოფს ფართო მოხმარების საგნების წარმოების გადიდებას, შექმნის მშრომელთა უხვსა და კულტურულ ცხოვრებას.

აღმოსავლეთ რაიონებზე იხარჯება ყველა იმ კაპიტალის დაახლოებით ნახევარი, რომელსაც ვაბანდებთ მძიმე მრეწველობის ახალ მშენებლობაში. ახალი მშენებლობის ამ გაშლილი პროგრამის შესრულების შედეგად აღმოსავლეთის რაიონები მეორე ხუთწლედის ბოლოს მისცემენ ქვეყანას ფოლადის ნაწარმოების მესამედს, ქვანახშირის — მესამედზე მეტს, ელექტროენერგიის დაახლოებით ერთ მეხუთედს, მანქანათმშენებლობის პროდუქტების მეათედ ნაწილს.

იმავე სივრცეებზე, რომლებზედაც სულ ამ მოკლე ხნის წინ მეფობდა პატრიარქალობა და ნახევრად ველურობა, ახლა ამაყად აღმართულან ბრძმედები, ფაბრიკა-ქარხნის მილები, შეუჩერებლად ვითარდება სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის ახალი სოციალისტური ფორმები.

ოქტომბრის რევოლუცია მეორე ხუთწლედში ამთავრებს ერთერთ ყველაზე გრანდიოზულ ამოცანას: წინათ მივარდნილ, ჩამორჩენილ ნაციონალურ განაპირა მხარეებსა და რესპუბლიკებს მოწინავე სამრეწველო ოლქების დონემდე ამაღლებს.

თავის პრაქტიკულ გამარჯვებას ზეიმობს ლენინიზმის ერთერთი ძირითადი თეზისი. შეხედეთ საბჭოთა კავშირის რუკას!

(„პრავდას“ 1934 წლის 9 თებერვლის მოწინავე)

საკ. კ. პ. (ბ) მე-17 ყრილობა

კამათი ამხ. კაგანოვიჩის მოხსენების შესახებ

ამხ. სტეცკის სიტყვა

ამხანაგებო! პარტიის მე-17 ყრილობას ეწოდა გამარჯვებათა ყრილობა, მაგრამ ამასთან ერთად იგი წარმოადგენს თვითკრიტიკის ყრილობასაც. ჩვენი პარტიის და მშრომელი მასების გიგანტურმა გამარჯვებებმა თავისი ბრწყინვალე გამოხატულება ჰპოვა ამხ. სტალინის მოხსენებაში და ამხ. მოლოტოვის და კაგანოვიჩის მოხსენებებში. ამასთან ერთად ამ მოხსენებებს ახასიათებდა ის დიდი თვითკრიტიკა, რომელსაც ჩვენი პარტია ატარებს ახლანდელ ეტაპზედაც. სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო.

ჩვენი წარმატებები ძალიან დიდია და ჩვენ სამართლიანად შეგვიძლია ვიამაყოთ ამით. მაგრამ ჩვენი ბოლშევიკური პარტიის განმასხვავებელი თვისება ისაა, რომ იგი არასოდეს არ კმაყოფილდება მიღწეული წარმატებებით, რომ იგი ყოველთვის მიისწრაფის წინ და ახლა, ჩვენს წინაშე დასახულია უკლასო საზოგადოების აშენების უდიდესი მიზანი, მით უფრო ნაკლებად უნდა ჰქონდეს ადგილი ჩვენში გულდაწყნარებას. ჩვენ ამჟამად არავითარი ზოგადი დისკუსია და ზოგადი მსჯელობა არა გვესაჭიროება. ჩვენი გზა შემოწმებულია და ნაცადი. პოლიტიკური გადაწყვეტილებანი და პოლიტიკური ხაზი ამჟამად გამოხატულებას ჰპოვებს მტკიცე ციფრობრივ დავალებებში. მეორე ხუთწლედის გეგმით დასახული დავალებები ჭეშმარიტად გრანდიოზულია. მათი შესრულებისათვის საჭიროა გიგანტური მუშაობა მასების ორგანიზაციის, მათი ძალღონის კონცენტრირების ხაზით, ჩვენი აპარატის ყველა რგოლის შემოწმება თვითკრიტიკის საშუალებით. ჩვენი ორგანიზაციები და ჩვენი აპარატი უნდა მოვაწყოთ იმგვარად, რომ ისინი ნამდვილად ხელმძღვანელობას უწევდნენ მასებს უკლასო საზოგადოების დაპყრობისათვის ბრძოლაში, საჭიროა ამ აპარატის. ამ ორგანიზაციების განთავისუფლება ყოველგვარი ხორცმეტისაგან. საჭიროა სწორად დავაყენოთ ყველა სამეურნეო ორგანიზაციის, მთელი მშენებლობის ხელმძღვანელობა, რათა შევასრულოთ ეს უდიდესი ამოცანები. ამის გაკეთება შეუძლებელია სხვანაირად. თუ არა თვითკრიტიკის დახმარებით. თვითკრიტიკა მუშაობის ეფექტიანობის, ყველა ჩვენი ორგანიზაციის ძლიერების საწინდარია. და თუ შევეხებით იმ მუშაობას, რომელზედაც აქ საკმაოდ ბევრი ილაპარაკეს, აღმზრდელობით მუშაობას. პროპაგანდისტულ მუშაობას,—უნდა ითქვას, რომ საჭიროა ამ დარგშიაც განსაკუთრებული სიძლიერით გამოვიყენოთ თვითკრიტიკა.

ამჟამად არსებულ ეტაპზე ჩვენს წინაშე განსაკუთრებით მკაფიოდ ისახება პროლეტარული დიქტატურის აღმზრდელობითი როლი. მეორე ყველაზე ძნელი ეტაპი უკან მოვიტოვეთ. კლასობრივი მტერი განადგურებულია. საჭიროა მას კიდევ ვებრძოლოთ და საბოლოოდ მოვსპოთ, მაგრამ ჩვენს წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით დგას არა მარტო ეკონომიკაში, არამედ აგრეთვე ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების აღმოფხვრის ამოცანა. ეს კი ნიშნავს, რომ ამჟამად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აღმზრდელობით მუშაობას, პროლეტარიატის დიქტატურის აღმზრდელობით მხარეს, რაზედაც ლაპარაკობდა ამხ. სტალინი და აქ პარტია. ისე როგორც ყველა დანარჩენ საკითხში. წინ უნდა [illegible].

იყვნენ ისეთი „თეორეტიკოსებიც“, რომელნიც ფიქრობდნენ, რომ რაკი ამჟამად ჩვენს წინაშე უშუალოდ დასმულია უკლასო საზოგადოების აშენების ამოცანა, ამიტომ როგორც პარტიის, ისე პროლეტარული დიქტატურის როლი თითქოს მცირდებოდეს: ეს, ამხანაგებო. ნამდვილი აბდაუბდაა. სწორედ ახლა, როცა ჩვენს წინაშე სდგას ახალი ფენების აღზრდის ამოცანა, როცა ჩვენს წინაშე დგას ადამიანის შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების აღმოფხვრის ამოცანა, ჩვენი პარტიის როლი, თვითეული კომუნისტის როლი განსაკუთრებით ძლიერდება. თვითეულ კომუნისტს და მთელს ჩვენ პარტიას განსაკუთრებით გაძლიერებული მოთხოვნები აქვს წაყენებული. თუ ამ გაძლიერებული მოთხოვნების თვალსაზრისით. რომლებიც ამჟამად წაყენებული აქვს თვითეულ კომუნისტს მასების ორგანიზაციის საქმეში, მათი ხელმძღვანელობის საქმეში, შევხედავთ ჩვენი აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობას იმას, თუ როგორ ვამზადებთ კომუნისტს მასების ხელმძღვანელობისათვის, რათა მან შეითვისოს კომუნიზმის საფუძვლები ჩვენი პოლიტიკის საფუძვლები, რათა იგი წარმოადგენდეს ნებაყოფლობითი, შეგნებული დისციპლინის და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მაგალითს —უნდა პირდაპირ ითქვას, ამხანაგებო, რომ აქ ჩვენ საქმე დაყენებული გვაქვს არადამაკმაყოფილებლად. და ამ მხრივ ის კრიტიკა, რომელიც აქ მოვისმინეთ ამხ. სტალინის მოხსენებაში. ამხ. კაგანოვიჩის მოხსენებაში და ამხ. კიროვის გამოსვლაში, სავსებით სამართლიანია. ჩვენი აღმზრდელობითი მუშაობა არ არის დამაკმაყოფილებლად დაყენებული.

რასაკვირველია, შეგვიძლია მოვიყვანოთ ცნობები იმის შესახებ, რომ ჩვენში ბოლო დროს იმატა სკოლებისა და წრეების რიცხვმა. შეგვიძლია მოვიყვანოთ ცნობები იმის შესახებ. რომ ჩვენში გაცილებით მეტი პარტიული ლიტერატურა გამოდის. ეს ფაქტია. ამის უარყოფა არ შეიძლება. უკანასკნელ წლებში, თუ ავიღებთ 1932—33 წელს, ჩვენში გამოიცა მარქსის და ენგელსის ნაშრომთა 7 მილიონი ეგზემპლიარი, ლენინის ნაშრომთა 14 მილიონი ეგზემპლარი. ამხ. სტალინის ნაშრომთა 16 ნახევარი მილიონი ეგზემპლარი, მათ შორის ლენინიზმის საკითხები 2 მილიონი ეგზემპლარის რაოდენობით. მარტო ამ წლის განმავლობაში გამოვეცით 2 ნახევარი მილიონი ეგზემპლარი პოლიტცოდნის სახელმძღვანელო პარტიის წევრებისა და კანდიდატებისათვის. მაგრამ, ამხანაგებო, ყოველივე ეს უქმად რჩება, როცა არ არის სათანადოდ დაყენებული და ორგანიზებული თვით აღმზრდელობითი მუშაობა.

საჭიროა მთელი სერიოზულობით ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ აღმზრდელობითი მუშაობის საქმეში, ისე როგორც ყველა სხვა დარგში, ორგანიზაციის საკითხებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. საჭიროა ბოლო მოეღოს შეხედულებას პროპაგანდისტულ მუშაობაზე, როგორც ისეთ მუშაობაზე, სადაც ადამიანები მხოლოდ ლაპარაკობენ და მხოლოდ სტატიებს და წიგნებს წერენ. ეს, ამხანაგებო, სისულელეა. ეს განსაკუთრებით უარყოფილ უნდა იქნას ახლა, როცა ჩვენი ამოცანების მთელ სიდიადესთან დაკავშირებით საჭიროა სათანადოდ დავაყენოთ პროპაგანდის საქმე. აღმზრდელობითი მუშაობის გავრცელება პარტიულ მასებზე, მშრომელთა მასებზე, პირველ ყოვლისა, წარმოადგენს ორგანიზატორულ მუშაობას. თუ ამ თვალსაზრისით მივუდგებით იმას, რაც ჩვენში კეთდება ამ უბანზე, მე უნდა განვაცხადო, რომ აქ ორგანიზაციის მხრივ საქმე დაყენებულია უფრო ცუდად, ვიდრე პარტიული მუშაობის სხვა რომელიმე დარგში.

კაგანოვიჩი: მართალია.

სტეცკი: კიდევ მეტი. მე უნდა ვთქვა, რომ აქ მოლაყბეებიც უფრო მეტნი არიან, ვიდრე. პარტიული მუშაობის სხვა რომელიმე დარგში. ეს, ამხანაგებო, ყველა თქვენგანმა მშვენივრად იცის. ამის უარყოფა არავის შეუძლია. ამას ხელს უწყობდა აგრეთვე ის შეხედულება, რომ ეს, პირველ ყოვლისა, არის ლაპარაკის საქმე, რაღაც მეორეხარისხოვანი საქმე. რასაკვირველია. ჩვენ არ უნდა ვიფიქროთ, რომ კულტურული მუშაობის ყველა დარგი ჩამორჩენილია. არ შეიძლება ყველა ეს დარგი ამგვარად შევაფასოთ. ეს არ იქნებოდა მართებული, ეს იქნებოდა გადამლაშება. მუშაობის ცალკე უბნებზე ჩვენ კარგი ნიმუშებიც მოგვეპოვება.

კაგანოვიჩი: განა მარტო ცალკე უბნებზე? ჩვენ მუშაობის კარგი ნიმუშები მოგვეპოვება კულტურის მთელ რიგ დარგებში.

სტეცკი: არის დარგები და ორგანიზაციები. სადაც მუშაობა კარგად არის დაყენებული. მიმდინარე წელს ჩვენში ჩატარდა პროპაგანდის საქმის დაყენების შემოწმება და უნდა ვთქვათ, რომ მთელ რიგ ორგანიზაციებში ამ მხრივ დიდი წარმატებებია მიღწეული.

წელს ეს მუშაობა მთელ რიგ ოლქებში მაღალ საფეხურზე იქნა აყვანილი, ორგანიზაციულად იგი საკმაოდ მტკიცედ წარმოებდა. მოსკოვის და ლენინგრადის ორგანიზაციებში წელს ბევრი რამ გაკეთდა სკოლების დაკომპლექტების საქმისთვის თვითეული პარტიელის დონის და ინტერესების გათვალისწინებით; ჩატარდა პროპაგანდისტების შერჩევა რაიკომების კომისიების მიერ, [illegible] წარმოებდა ცალკეული უჯრედების და კოლექტივების ანგარიშების მოსმენა.—თუ როგორ მიდის აღმზრდელობითი მუშაობა რას აკეთებენ სკოლები და წრეები და სხვ. ასეთივე მდგომარეობა გვაქვს მთელ რიგ სხვა ოლქებშიაც. დასავლეთის ოლქში, მაგალითად, არ შეიძლება იმის თქმა. რომ იქ ეს მუშაობა სანიმუშოდ იყოს დაყენებული მაგრამ ყოველ შემთხვევაში დამაკმაყოფილებლად კი არის დაყენებული. იქ ყველა კომუნისტი ჩაბმულია პარტიული განათლების ქსელში. იქ საოლქო კომიტეტმა იზრუნა იმაზე, რომ არამც თუ სახელმძღვანელოები მიიღო მოსკოვიდან. არამედ იმაზედაც, რომ დაებეჭდა ისინი ადგილობრივ და მიეწოდებინა თვითეული კომუნისტისათვის.

ამავე დროს ისეთი ოლქებიც, სადაც მუშაობა ძველებურად წარმოებს. მე აქ პრეტენზიები უნდა წაუყენო შუა ვოლგას, განსაკუთრებით, ამხანაგებო, ქვემოვოლგას, თუმცა არ ვიცი, ვის უნდა მივმართო: ამხ. პტუხას თუ ამხ. შტერნბერგს—ისინი გაიყვნენ. ყოველ შემთხვევაში, შემოწმებამ გვიჩვენა. რომ იქ პარტიული განათლების ქსელის დაყენებას ცდილობენ ზოგადი რეზოლუციების. საოლქო კომიტეტიდან ზოგადი მითითებების მეშვეობით. იქ ჯერ კიდევ არ სჩანს ნამდვილი ორგანიზატორული მუშაობა, იქ ნამდვილად არ ზრუნავენ იმაზე, რომ შეაიარაღონ თვითეული პროპაგანდისტი პოლიტცოდნით და სახელმძღვანელოთი, ჩვენ აქაც უნდა დავაღწიოთ თავი მუშაობის ძველ მეთოდებს. მე თქვენ, ამხანაგებო, მხოლოდ ერთს რამეს გთხოვთ. როცა თქვენ დაიწყებთ ამხ. სტალინის მითითებათა განხორციელებას და „პატიოსანი მოლაყბეების“ განთავისუფლებას მუშაობის ცალკეული დარგების ხელმძღვანელობისაგან, ნუ დაივიწყებთ მუშაობის ამ დარგსაც. აქაც სწორედ ასევე უნდა გავთავისუფლდეთ მოლაყბეებისაგან, რათა, როგორც საჭიროა, ისე დავაყენოთ აღზრდის საქმე, პროპაგანდის საქმე, რაც ამჟამად ჩვენი პარტიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს.

კაგანოვიჩი: მართალია.

სტეცკი: ნუ დაივიწყებთ ამხანაგებო რომ სწორედ ეს უბანი წარმოადგენს ერთ-ერთ ისეთ უბანს. სადაც ყალიბდება პარტიელის შეგნება, არ შეიძლება იმის თქმა ეს შეგნება თითქოს მარტო სკოლაში ყალიბდებოდეს, მაგრამ ეს მუშაობა, მუშაობა მარქსიზმის საფუძვლების შესწავლისათვის, მუშაობა ჩვენი პარტიული პოლიტიკის შესწავლისათვის. მუშაობა სოციალისტური მშენებლობის შესწავლისათვის—წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სამუშაოს და ჩვენ, განსაკუთრებით ამჟამად, უნდა დავაყენოთ იგი სათანადო სიმაღლეზე.

მე კიდევ მინდოდა მეთქვა, ამხანაგებო რომ კულტურული მუშაობის ეს დარგი განვამტკიცოთ მატერიალური ბაზის მხრივაც—უწინარეს ყოვლისა, ქაღალდის მხრივ. ადგილების წარმომადგენლები თითქმის ერთხმად მოითხოვენ ქაღალდს. თვითეული მათგანი მოდის და გვეუბნება, რომ ქაღალდს საკმარისი რაოდენობით არ იძლევიან. ჩვენ უნდა გავაძლიეროთ, გავადიდოთ ქაღალდის წარმოება. ჩვენ ამისთვის არავითარი განსაკუთრებული ხარჯების გაღება არ დაგვჭირდება: ტყეები ჩვენ რამდენიც გნებავთ იმდენი გვაქვს, ნედლეულიც—რამდენიც გნებავთ იმდენი. საქმე მხოლოდ ისაა, რომ მრეწველობამ. რომელიც ამზადებს ყველა მანქანას, იზრუნოს იმაზედაც, რომ ქაღალდის ფაბრიკებისათვის საჭირო მანქანებიც გამოუშვას. ფაბრიკის აშენება შეიძლება, ხე-ტყის შოვნაც შეიძლება, საქმე ახლა მანქანაა.

კაგანოვიჩი: საჭიროა აგრეთვე ავითვისოთ ქაღალდის არსებული ფაბრიკებიც. ისინი ცუდად არიან ათვისებული.

სტეცკი: ისინი ცუდად არიან ათვისებული. მაგრამ ამასთან ერთად უნდა ვიზრუნოთ ქაღალდის მრეწველობის შემდგომ გაფართოებაზედაც.

იგივე ითქმის პოლიგრაფიის შესახებაც. პოლიგრაფია ჩვენში გაცვეთილია. ჩვენ გვაქვს ისეთი მანქანები, რომლებიც 20-30 წელიწადს მუშაობენ (ხმები დარბაზიდან: მართალია). ჩვენ უნდა ვიზრუნოთ პოლიგრაფმშენებლობის საწარმოების გაფართოებაზე. არსებული ქარხანა რიბინსკში ცუდად მუშაობს. იგი უშვებს საროტაციო მანქანებს. იგი აგრეთვე უშვებს უფრო ნაკლები ზომის მანქანებსაც, საბეჭდ მანქანებს. ჩვენი პოლიტგანყოფილებათა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების გაზეთებისათვის. ბოლოს, ჩვენში ათვისებულია ლინოტიპების, ამწყობ მანქანების წარმოება ეს ძალიან რთული მანქანებია. ლენინგრადის ქარხანა უკვე ახლაც საკმაო რაოდენობით უშვებს მათ. მაგრამ ჩვენ ეს დარგიც უნდა განვავითაროთ.

და, ბოლოს, მე უნდა ვილაპარაკო რადიოს შესახებ, რომელსაც უდიდესი კულტურული მნიშვნელობა აქვს. ამაზე ბევრი არაფრის თქმა დაგვჭირდება, რადგან ყველა თქვენთაგანმა იცის, თუ რას ნიშნავს რადიო. იგი გვატყობინებს ახალ ამბებს. წერილებსაც, მოხსენებებსაც და ამასთან ერთად მას შეუძლია გაცილებით უფრო მეტი სიამოვნება მოგვგვაროს, ვიდრე პატეფონმა. რის შესახებაც ასეთი ენტუზიაზმით ლაპარაკობდა ამხ. პიატაკოვი.

უფრო მეტი, რადიო იძლევა უდიდეს ტექნიკურ შესაძლებლობებს რაიონებისათვის კონკრეტული ხელმძღვანელობის გასაწევად. უკვე არაფერს ვამბობ იმაზე. რომ რადიო საშუალებას გვაძლევს უმოკლეს ვადაში, თუ ეს საჭიროა, ფეხზე დავაყენოთ მთელი ჩვენი ქვეყანა, ავამოძრაოთ, დავრაზმოთ იგი. და ამიტომ ამ დარგზე ჩვენ ახლა ჯეროვანად უნდა ვიზრუნოთ ამხ. პიატაკოვს, რომელიც პატეფონის ფირფიტებზე ენტუზიაზმით ლაპარაკობდა. მართებდა ასეთივე ენტუზიაზმით ებრძოლა რადიოსათვის. მან სათანადოდ თვალყური უნდა ადევნოს პოლიგრაფიული და ქაღალდის მანქანების წარმოებას. მან წინ უნდა წასწიოს რადიომიმღებთა წარმოებაც (ტაში).

ამხ. სტალინი აქ გამოსვლისას ამბობდა რომ ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა შევასუსტოთ ჩვენი პარტიული სიფხიზლე და სიფრთხილე, ვინაიდან ჩვენში ჯერ კიდევ მოიპოვებიან გადახრების ნაშთები და მათი ნამსხვრევები. მართებულობა ამხ. სტალინის მითითებებისა. რომ ჩვენ ამ მხრივ არავითარ შემთხვევაში არ უნდა განვიიარაღდეთ, დასტურდება მთელი რიგი მაგალითებით. არც თუ ისე დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ზოგიერთი ჩვენი ეკონომისტი, ცდილობდა იმგვარად აეგო გარდამავალი ეკონომიკის თეორია, იმგვარად გაეშუქებინა ჩვენი ეკონომიკა. რომ არ ჩანდა ძირითადი საკითხი პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ. ისინი ცდილობდნენ ჩვენი ეკონომიკა განეხილათ როგორც ერთგვარი საგანი თავისთავად, როგორც ერთგვარი განსაკუთრებული დარგი, პროლეტარიატის დიქტატურის გარეშე და მისგან დამოუკიდებლად. განეხილათ ისეთივე წესით, როგორც განიხილება კაპიტალისტური ეკონომიკა. რა არის ეს? ეს, ამხანაგებო. იმ თეორიების ნაშთებია, რომლებსაც ავითარებდნენ ამხ. ბუხარინი და პრეობრაჟენსკი, რომელნიც ფიქრობდნენ, რომ ჩვენი ეკონომიკა უნდა განვიხილოთ კაპიტალისტურის ანალოგიით. რომ ჩვენს ეკონომიკაში მოქმედებენ რაღაც ჩვენგან სრულიად დამოუკიდებელი კანონები, რომლებიც ამ მოძრაობას განსაზღვრავენ. მათ გვერდი აუარეს იმ ძირითადს, რაც ჩვენი ეპოქის განმასხვავებელ ნიშანს შეადგენს, ისინი გვერდს უვლიდნენ პროლეტარიატის დიქტატურას. საიდანაც ყველაფერი გამომდინარეობს. რაც წარმოადგენს იმ ბერკეტს. რომელიც ცვლის და ამოძრავებს ჩვენს ეკონომიკას. რომელიც ახდენს საზოგადოების გარდაქმნას და რომლისოდ არაფრის გაგება არ შეიძლება ჩვენს მშენებლობაში. ჩვენს ეკონომიკაში და მთელ ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

მეორე მომენტი, ამხანაგებო გასული წლის ზაფხულს კომაკადემიის ზოგიერთი ინსტიტუტი არკვევდა სახელმწიფოს კვდომის საკითხს. ეს იყო მას შემდეგ. რაც ამხ. სტალინი გამოვიდა ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე. სადაც ის ამბობდა. რომ აუცილებელია გავაძლიეროთ ჩვენი პროლეტარული დიქტატურა ზოგიერთმა „კრიტიკოსმა“ წამოაყენა დებულება, რომ ჩვენმა პროლეტარულმა სახელმწიფომ იწყო კვდომა, არც მეტი არც ნაკლები—მეორე დღესვე ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, რომ იგი, მაშასადამე, კვდომას განაგრძობდა მთელი ამ თექვსმეტი წლის განმავლობაში, ასე რომ საკვირველია თუ საერთოდ როგორ არსებობს დღემდე.

საიდან წარმოდგებოდა საკითხის ასეთი დასმა? ვლადიმერ ილიას ძის იმ დებულების უმართებულო განმარტებიდან, რომ ჩვენი სახელმწიფო წარმოადგენს უკვე ნახევარ სახელმწიფოს, რომ ჩვენი სახელმწიფო მომაკვდავი სახელმწიფოა. დიახ, ეს ფაქტია, მაგრამ ეს მისი სიცოცხლის მიზანია, ეს პროლეტარული სახელმწიფოს დანიშნულებაა. იმისათვის, რომ ამას მიაღწიოს, ჩვენმა სახელმწიფომ უნდა ჩაატაროს, უდიდესი მუშაობა მთელი ეკონომიკის გარდასაქმნელად, კლასობრივი მტრების მოსასპობად, უდიდესი მუშაობა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მთელი მასების ჩასაბმელად, თვითდისციპლინის და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების აღსაზრდელად. აი როგორ დგას სახელმწიფოს კვდომის საკითხი, ღრმად ცდებოდნენ ამხანაგები, როცა ცდილობდნენ საქმე იმგვარად დაეხატათ, რომ პროლეტარული სახელმწიფო უკვე იწყებს კვდომას მეორე დღესვე, პროლეტარული რევოლუციისა. მათ დაავიწყდათ ლენინის დებულება, რომ გარდამავალ პერიოდში პროლეტარიატს სახელმწიფო ესაჭიროება, რომ სახელმწიფო კვდება მხოლოდ კომუნიზმის დროს. მათ დაავიწყდათ ამხ. სტალინის დებულება, რომ პროლეტარულ სახელმწიფოს კვდომისაკენ მიმავალი გზა—ეს არის მისი გაძლიერება. მთელი ეს ლაპარაკი კვდომის შესახებ წყალს ასხამს ოპორტუნისტების წისქვილზე, იმათ წისქვილზე, ვისაც სურდა დაკმაყოფილებულიყო მიღწეული წარმატებებით, ვინც ცდილობდა ჩვენს განიარაღებას კლასობრივ მტერთან ბრძოლის წინაშე.

ამხანაგებო, ჩვენ სავსებით უნდა გავითვალისწინოთ, თუ რა ხდება ნამდვილად. მთელი სიცხადით და სიღრმით უნდა შევიგნოთ, რომ მეორე ხუთწლედის გეგმა ნიშნავს: ჩვენ ვამთავრებთ მეორე უძნელეს ამოცანას, რომელიც პროლეტარიატის წინაშე იდგა. პირველი ამოცანა ის იყო რომ დაგვეპყრო ხელისუფლება. რომ დაგვემყარებინა პროლეტარიატის დიქტატურა მეორე ამოცანა—არა ნაკლები და, შეიძლება ითქვას. უფრო რთული ამოცანა—ის იყო, რომ გაგვეხორციელებინა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა. და აი მეორე ხუთწლედში, იმ წლებში, რომლებიც დაგვრჩენია 1934. 35, 36 და 37 წლებში—ჩვენ, ამხანაგებო, ვამთავრებთ და ვასრულებთ პროლეტარიატის მეორე ამოცანას, მსოფლიო—ისტორიული მნიშვნელობის ამოცანას—ჩვენ ვამთავრებთ **გარდამავალ პერიოდს.**

რა თქმა უნდა, შეიძლება აქაც აღმოჩნდნენ ათასგვარი „თეორეტიკოსები“, რომელნიც ახლა დაიწყებენ ბრძოლას. დავას დისკუსიას იმის შესახებ, თუ სახელდობრ 1937 წლის რომელ დღეს, რომელ საათს, დილით თუ საღამოთი, გაჩნდება უკლასო საზოგადოება. ასეთი თალმუდისტები რაც შეიძლება შორს უნდა გავრეკოთ ჩვენი ორგანიზაციებისაგან, მათთან დისკუსია კი არ უნდა გავმართოთ, არამედ უნდა ვამხილოთ ისინი.

ჩვენს წინაშე პოლიტიკური საკითხი დგას. ჩვენ ვიცით, რომ როცა მეორე ხუთწლიან გეგმას შევასრულებთ. მაშინ სოციალისტური საზოგადოების შექმნის ამოცანა განხორციელებული იქნება.

საჭიროა, ამხანაგებო. დღეს დავსვათ საკითხი იმის შესახებაც. თუ როგორი მოხდა ეს. როგორი ბრძოლით იყო ის მომზადებული და უზრუნველყოფილი. და აქ, მე მგონია. საჭიროა გავიხსენოთ, თუ რა მდგომარეობა იყო ჩვენი პარტიის მე-15 კონფერენციაზე. როცა მთელი სიგრძე-სიგანით დაისვა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის საკითხი. მაშინ ტროცკისტებმა. ზინოვიევლებმა ეჭვი შეიტანეს ამ დებულებაში. ამასთან ისინი ებღაუჭებოდნენ ენგელსის ზოგიერთ ადრინდელ აზრს იმის შესახებ. რომ სოციალისტური რევოლუცია შესაძლებელია მხოლოდ როგორც ერთდაიმავდროული რევოლუცია მთელ რიგ მოწინავე ქვეყნებში. ენგელსის ეს დებულება ემყარებოდა კაპიტალიზმის მაშინდელი პირობების და მაშინდელი მდგომარეობის ანალიზს ტროცკისტები ებღაუჭებოდნენ ამ დებულებებს და ამგვარად, ცდილობდნენ მარქსიზმის უკან მობრუნებას. მაგრამ ეს მათ ვერ შველოდა. ამხ. სტალინმა. რომელმაც განავითარა ლენინის დებულება რომელიც მარქსიზმის ძირიდან კი არ გამოდიოდა. არამედ მარქსისტული—ლენინური მეთოდებით ხელმძღვანელობდა. მოგვცა თანამედროვე კაპიტალიზმში მომხდარ ცვლილებათა საუკეთესო ანალიზი. ამხ. სტალინმა მთელი კონკრეტულობით და სიღრმით დასვა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის საკითხი. დასვა თეორიულადაც და პრაქტიკულადაც. როგორც დღევანდელი დღის მუშაობის პროგრამა მან არა თუ მოიგერია ტროცკისტების ყველა იერიში, არამედ ამასთან ერთად მთელი მოცულობით გადმოშალა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის თეორია. ეს თეორია ამჟამად წარმოადგენს ჩვენი რევოლუციური თეორიის ერთ-ერთ ქვაკუთხედს.

ეს თეორია წარმოადგენს საუნჯეს მარქსიზმ-ლენინიზმის საგანძურში. მან აღაფრთოვანა ჩვენი პარტია.

მაგრამ, ამხანაგებო, საქმე მარტო ეს როდი არის. ამხ. სტალინის ნაშრომებში ყველა ჩვენთვის, ყველა ქვეყნის პროლეტარებისა და მშრომელებისათვის მოცემულია ყველაზე ღრმა თეორია და თავმოყრილია ყველაზე უფრო ღრმა გაკვეთილები და მითითებანი იმაზე. თუ როგორ უნდა ვაშენოთ უკლასო საზოგადოება. ეს თეორია და ეს მითითებანი შემოწმებულია გრანდიოზული სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკით, მშენებლობის, რომელსაც კონკრეტულად და საბრძოლო წესით ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს ამხ. სტალინი ყოველდღიურად და ყოველ საათობით.

და ესაა იმ უდიდესი თეორიული განძის სიდიადე, რომელიც მან შეიტანა მარქსიზმის საგანძურში.

აიღეთ თქვენ ისეთი ფაქტები და ისეთი დებულებანი, როგორიცაა დებულება ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის შესახებ კოლექტივიზაციის შესახებ. კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის შესახებ. ხომ იყო ისეთი საქმე, როგორიცაა კოლმეურნეობების ორგანიზაცია — უბრალო და ადვილი საქმეა. მაგრამ ეს საქმე პარტიამ ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით ღრმად დაასაბუთა თეორიულად, მთელი ვითარების შესწავლასთან დაკავშირებით, ღრმად და დიდხანს ამოწმებდა მას პრაქტიკულად. საჭირო იყო კოლმეურნეობის ისეთი ფორმის გამოძებნა, რომელიც ახლანდელ საფეხურზე შეეფერებოდა გლეხობის ინტერესებს და ამასთან ერთად სოციალიზმისაკენ მისი გადასვლის ამოცანებს. პირდაპირ იგივე მდგომარეობა გვაქვს პროლეტარული დიქტატურის და სოციალისტური მშენებლობის ყველა სხვა საკითხშიაც.

ლენინი ამბობდა, ჩვენი მშენებლობა ყველასათვის სანიმუშო უნდა იყოსო და, ამხანაგებო, მე-17 ყრილობაზე ჩვენ უნდა მივცეთ ჩვენს თავს იმის ანგარიში. თუ რა მოხდა და უნდა ვთქვათ. რომ ჩვენმა პარტიამ შეასრულა თავისი ამოცანები, როგორც საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის ავანგარდმა, მან შექმნა ეს ნიმუში ყველასათვის. ახლა ჩვენ სიამაყით შეგვიძლია ვუთხრათ ყველა ქვეყნის პროლეტარებს: აი შეხედეთ, აქ თქვენ ხედავთ იმის თეორიას და პრაქტიკას, თუ როგორ უნდა არა მარტო ხელისუფლების დაპყრობა. არამედ როგორ უნდა უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენებაც.

საჭიროა აღინიშნოს, თუ როგორ ეხმაურება ახლა ბურჟუაზია და ბურჟუაზიული პრესა მეორე ხუთწლედს, თუ როგორი აზრისაა იგი ამ მეორე ხუთწლედზე. თქვენ გახსოვთ. თუ როგორ შეხვდნენ მეორე ხუთწლედს. ატყდა დიდი ყიჟინა და წინასწარმეტყველება: ეს მითია, ფანტაზია; მაგისაგან არაფერი გამოვა, ეს ფუჭი ოცნებაა. ბოლშევიკები დამარცხდებიან. ახლა ასეთი ყიჟინა და ასეთი გოდება რატომღაც არ ისმის. რატომ? იმიტომ რომ ჩვენ თავში ჩავუნერგეთ, ჩვენ დავუმტკიცეთ შუბლმაგარ ბურჟუებსაც კი, რომ ნამდვილად შეგვიძლია ვაშენოთ და ვაშენებთ კიდეც იმას, რასაც მოვისურვებთ. ისინი ფანტაზიად აცხადებდნენ სოციალისტურ რევოლუციას — მაგრამ სოციალისტური რევოლუცია მოხდა. ისინი ფანტაზიად აცხადებდნენ იმას რომ ბოლშევიკები შეინარჩუნებენ ძალაუფლებას, მაგრამ ბოლშევიკები 16 წელიწადზე მეტია ხელისუფლების სათავეში დგანან და ახლა განუზომელად უფრო მტკიცედ, ვიდრე ოდესმე. ისინი ფანტაზიად აცხადებდნენ პირველ ხუთწლედს—მაგრამ პირველი ხუთწლედი ოთხ წელიწადში განხორციელდა. და ახლა, როცა საქმე მივიდა ბურჟუაზიის თვალსაზრისით, ყველაზე უფრო დიდ ფანტაზიამდე, იმამდის, რომ ოთხი წლის შემდეგ დედამიწის ერთმეექვსედ ნაწილზე შეიქმნება უკლასო სოციალისტური საზოგადოება,—მათ. ამხანაგებო. უკვე მოაკლდათ საფანელი ცილისწამებისათვის, მათ უკვე აღარ აქვთ ხალისი განაგრძონ ცილისწამება. კმარა. მათ უკვე მარცხი მოუვიდათ და საქციელი წაუხდათ. ისინი ფაქტების ძალით იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ იმ გრანდიოზულ გეგმებს, რომლებსაც ჩვენ ამჟამად ვსახავთ.

სოციალიზმის საქმე, ამხანაგებო, აყვანილია უმაგალითო სიმაღლეზე, იგი მზესავით ანათებს ამჟამად ყველა მშრომელთა თვალწინ და ბურჟუაზიული ცილისწამების არავითარ ღრუბელს არ შეუძლია ამ მზის დაფარვა.

გაუმარჯოს მე-17 ყრილობას—გამარჯვებათა ყრილობას!

გაუმარჯოს კომუნიზმის გამარჯვებათა უდიდეს ორგანიზატორს ამხ. სტალინს (ტაში).

ამხ. რადეკის სიტყვა

ამხ. რადეკი აღნიშნავს, რომ ამხ. კაგანოვიჩის მოხსენება წარმოადგენს იმ გრანდიოზული მოტორის შემოწმებას. რომლის საშუალებითაც ჩვენმა პარტიამ უკანასკნელ წლებში შორს წასწია წინ ჩვენი ქვეყანა.

შემდეგ იგი ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორ წყდებოდა ორგანიზაციის ბოლშევიკურ პრინციპებისათვის ბრძოლის საკითხი. ჩვენი პარტიის აპარატი აღმოჩნდა სოციალიზმის შექმნის ყველაზე მძლავრი ისტორიული აპარატი. არ გამართლდა ყველა ის წინასწარმეტყველება. რომელიც დაიწყო ბოლშევიზმის ჩასახვის დღიდან ლენინის „რა ვაკეთოთ“-ის შემდეგ, როცა როზა ლუქსემბურგმა იწინასწარმეტყველა ბოლშევიკები ქმნიან იაკობინურ პარტიას, მაგრამ მოწყვეტილნი არიან მასებსაო.

1918 წელს, როცა როზა ლუქსემბურგი საპატიმროში იჯდა. მიუხედავად ღრმა სიმპატიისა ყოველივე იმისადმი, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდებოდა. იგი ამბობდა: თუ ბოლშევიკებმა ჩაახშეს პრესის თავისუფლება. კრებების თავისუფლება სხვანაირად მოაზროვნეთათვის, ამით ისინი ჩაახშობენ და დააშრობენ ცხოველ წყაროს მასების შემოქმედებისთვისო.

ყოველივე იმან. რაც ჩვენ განვიცადეთ უკანასკნელ წლებში, დაგვანახვა, რომ მოსპო რა ყოვლის თავისუფლება ბურჟუაზიისათვის და მთელი ბურჟუაზიული თავისუფლება, მუშათა კლასმა ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით შექმნა მსოფლიოში უმაგალითო თავისუფლება მუშათა და გლეხთა შემოქმედებისათვის.

მაგონდება. როგორ გავკიოდით მე და ჩემი თანაშემცოდენი რეჟიმის წინააღმდეგ, როგორ ვიცავდით პარტიულ დემოკრატიას. ისტორიული შემოწმების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს ლოზუნგი მიმართული იყო პროლეტარული დიქტატურის რეჟიმის [illegible] ხელს უწყობდა ბურჟუაზიულ დემოკრატიას.

ახლა, როცა ხედავ ხალხის როგორი გრანდიოზული მასები გამოიყვანა პარტიამ სოციალიზმისათვის საბრძოლველად. ახალი კულტურისათვის საბრძოლველად, როცა ხედავ, როგორ ეუფლებიან ისინი ლენინის მოძღვრებას, ეუფლებიან ტექნიკას. იერიშზე გადადიან მეცნიერების დაუფლებისათვის, მტკიცედ რწმუნდები, რომ მხოლოდ ბრმას შეუძლია ამის არდანახვა. ის, რასაც ჩვენ „რეჟიმს“ ვუწოდებდით, არის დიადი შინაპარტიული მუშური დემოკრატია, რადგან ნამდვილი დემოკრატია არის ის. რაც ქმნის პირობებს იმისთვის, რომ მილიონიანი მასები ჩაებან შემოქმედებით ცხოვრებაში, გახდნენ ამ ცხოვრების ხელმძღვანელები. პარტია აწარმოებს ყველაზე დიად ბრძოლას, როგორიც ოდესმე კი უწარმოებია მუშათა კლასს, ბრძოლას, რომელიც წყვეტს არა მარტო ჩვენი ქვეყნის. არამედ მთელ მსოფლიოს ბედსაც. ამ ბრძოლაში არ კმარა იყო გულწრფელი. რადგან გულწრფელობა არის ის. რასაც ადამიანი ამ მომენტში გრძნობს და აშკარად ამბობს.

რას იტყვის იგი ხვალ. რას იგრძნობს ხვალ, როცა გვექნება დაბრკოლებები? აქ გულწრფელობა არ კმარა აქ საჭიროა ნათელი და ზუსტი შეგნება. შინაგანი დისციპლინა, გამოჭედილი ხელმძღვანელობის სისწორისადმი. პარტიის გენერალური ხაზის სისწორისადმი რწმენის საფუძველზე. და ამიტომ თქვენ მართალი იყავით, როცა ასე უარყოფითად ისმენდით იმ სიტყვებს, რომლებიც აქ გადმოისროლა ამხ. პრეობრაჟენსკიმ. მან განაცხადა: ჩვენ გვირტყამდნენ ხუთ წელიწადს; მე დარწმუნებული ვარ პარტიის ხაზის სისწორეში; მაგრამ თუ კი რამე ვერ გავიგე, სულერთია ხმას მივცემ სტალინთან ერთადო.

თუ ჩვენ ხუთ წელიწადს გვირტყამდნენ და ჯერ კიდევ მაინც ვერ გავიგეთ იმდენად, რომ მოვიდეთ ყრილობაზე და ვუთხრათ პარტიას: გმადლობთ გაკვეთილისათვის. ჩვენ ყველაფერი მტკიცედ შევითვისეთ და შემდეგში აღარ შევცდებით **(სიცილი)**, — მაშ, ჩანს საქმე ცუდად არის.

ჩვენ კიდევ მოგველის გამძაფრებული ბრძოლა. ამ ბრძოლისათვის მზად უნდა ვიყოთ.

ჩვენი პარტიის მთლიანობა, ხალხის იმ მასების ძალა, რომელნიც დგანან ყრილობის ზურგს უკან — საწინდარია გამარჯვებისა, საწინდარია იმისა, რომ ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენ ბოლომდე სასახელოდ მივიყვანთ იმ დიად საქმეს. რომელსაც გვასწავლიდა ლენინი **(ტაში).**

ამხ. ოსინსკის სიტყვა

უწინარეს ყოვლისა უნდა განვაცხადო, რომ მე ყოველნაირად ვესალმები ამხ. კაგანოვიჩის მოხსენების თეზისების იმ მუხლს, სადაც ლაპარაკია ანგარიშგების თავიდან ბოლომდე გადაჭრით შემცირებაზე, ვინაიდან ეს არის ბიუროკრატიზმთან ბრძოლის ერთიერთი ხაზი. თუ, მაგალითად, მიწსახკომში არის 220 დარგობრივი სექტორი, ისინი. მართავენ რა თათბირებს, მოითხოვენ სხვადასხვა ორგანიზაციისაგან არა მარტო იმ ცნობებს, რომლებზედაც მოცემული სექტორი მუშაობს, არამედ მოითხოვენ და უნდა მოითხოვდნენ მრავალ სხვა რამესაც. რომლებიც იძლევიან მთელი ობიექტის საერთო სურათს. მაშასადამე, ფუნქციონალობის დროს ხდება ანგარიშგების ავტომატური გადიდება, მისი დუბლირება. ტერიტორიულ საწარმოო პრინციპზე გადასვლა აუცილებლად გამოიწვევს ანგარიშგების შემცირებას.

ბრძოლის რა გზები არსებობს ანგარიშგების შემცირებისათვის, მიმოწერის შემცირებისათვის? ფუნქციონალობის ლიკვიდაციის გარდა, საჭიროა მივაღწიოთ ანგარიშგების ფორმების კოდიფიკაციას და ნორმალიზაციას. 1933 წელს გამოიცა კანონები რაიაღმასკომებსა, სოფლის საბჭოებსა და კოლმეურნეობებში ანგარიშგების და აღრიცხვის მოწესრიგების შესახებ. წელს უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ანალოგიური შემზღუდავი კანონები გამოიცეს სახალხო მეურნეობის ყველა სხვა დარგისთვისაც.

მაგრამ მარტო კანონის გამოცემა არაა საკმარისი. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ეს კანონები გადაჭრით და განუხრელად სრულდებოდეს.

გადადის რა მეორე ხუთწლედში ავტომშენებლობის განვითარების საკითხებზე, ამხ. ოსინსკი ამბობს:

ამხ. სტალინმა — ყველა გადამწყვეტი საკითხის ინიციატორმა — წინადადება მოგვცა შეგვეტანა მეორე ხუთწლიან გეგმაში ერთერთი მისი მარგალიტი — ავტომშენებლობის განვითარების პუნქტი. ამჟამად დგას ასეთი ორგანიზაციული საკითხი—როგორი უნდა იყოს ეს ახალი ქარხნები — უნივერსალური ქარხნები, რომლებიც ადგილობრივ მთელ ავტომანქანას დაამზადებენ, თუ სპეციალიზირებული? მე პირადად მომხრე ვარ იმისი, რომ აიგოს სპეციალიზირებული ქარხნები, რომელნიც მოგვცემენ ძირითად. აგრეგატებს და მანქანებს, ხოლო მათი აწყობა უნდა წარმოებდეს 5-6 სპეციალურ ამწყობ ქარხანაში. წარმოების ასეთი ორგანიზაცია იძლევა თვალსაჩინო უპირატესობებს უნივერსალურ ქარხნებთან შედარებით.

ჩვენ აგრეთვე არ უნდა დავჯერდეთ ავტომშენებლობის ძველ მოდელებს. არამედ უნდა შემოვიღოთ ახალი, ტექნიკურად უფრო სრულყოფილი მოდელები.

(გაგრძელება იხ. მე-2 გვ.)

ყრილობის დღიური

9 თებერვალს დელეგატები ესწრებოდნენ მოსკოვის გარნიზონის ჯარების პარადს, რომელიც გაიმართა პარტიის მე-17 ყრილობის პატივსაცემად.

საღამოს სწარმოებდა პარტიის ცენტრალური ორგანოების არჩევნები.

დილით 10 თებერვალს შესდგება ყრილობის საბოლოო სხდომა.

საკ. კ. პ. (ბ) მე-17 ყრილობა

კამათი ამხ. კაგანოვიჩის მოხსენების შესახებ

მასების ორგანიზაცია საქმის წარმატების გადამწყვეტია

ამხ. კალინინის სიტყვა

ამხ. მოლოტოვი (თავმჯდომარე). ამხანაგებო! ყრილობის სხდომას განხილულად ვაცხადებ. სიტყვა ეძლევა ამხ. კალინინს (მქუხარე ხანგრძლივი ტაში, რომელიც რამდენჯერმე ახალი ძალით ახლდება. ყრილობა ამხ. კალინინს უმართავს ოვაციას. ყველანი ფეხზე დგებიან, ისმის ყვირილი „ვაშა“, მისალმებათა გუგუნი).

ამხანაგებო! ორგანიზაციული საკითხები უაღრესად მჭიდროდ არიან დაკავშირებული პოლიტიკურ საკითხებთან. მახსენდება, რომ პოლიტბიუროს ერთ-ერთ სხდომაზე ვლადიმერ ილიას ძე ორგბიუროს და პოლიტბიუროს შორის ფუნქციების განაწილების საკითხის გამო ამბობდა: პოლიტიკურ და ორგანიზაციულ საკითხებს შორის ძნელია საზღვრის გავლება: მაგალითად, კაცის დანიშვნა რომელიმე სამუშაოზე გარეგნულად წმინდა ორგანიზაციული საკითხია, მაგრამ ამავე დროს ეს ღრმა პოლიტიკური საკითხიცაა. არ არის არც ერთი დანიშვნა, — ამბობდა ლენინი, — რომელსაც პოლიტიკური მნიშვნელობა არ ჰქონდეს. ჩვენი პარტია ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა ორგანიზაციულ საკითხებს და აფასებდა ორგანიზატორებს, ყოველი თქვენგანისათვის გასაგებია: ოქტომბერში ჩვენ გავიმარჯვეთ არა მარტო იმით, რომ სწორ პოლიტიკურ ხაზს ვატარებდით, არამედ იმითაც, რომ ჩვენს პარტიას ჰყავდა კარგი ორგანიზატორების მნიშვნელოვანი კადრები. ვინაიდან მარტო ერთი ლოზუნგებით ხელისუფლებას ვერ დაიპყრობ. ლოზუნგების განსახორციელებლად საჭიროა მასების სათანადო ორგანიზაცია, საჭიროა სათანადო მატერიალური ძალის თავმოყრაც.

თუ ჩვენ ჯერ კიდევ არალეგალურ პირობებში ორგანიზაციულ საკითხებს დიდ ყურადღებას ვაქცევდით, ამჟამად, სოციალისტური მშენებლობის მომენტში, ორგანიზაციულ საკითხებს გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება, და ეს ბუნებრივია. სოციალისტური წყობილება ხომ ეს კაცობრიობის უკანასკნელი მიღწევაა. მისი ორგანიზაცია უნდა იდგეს უფრო მაღლა, ვიდრე კაპიტალისტური წყობილების ორგანიზაცია, ყოველ შემთხვევაში—იმდენად მაღლა, რამდენადაც სოციალიზმი აღემატება კაპიტალიზმს (ხმები: „მართალია“. ტაში).

კალინინი: ახლა ცხადია, თუ რატომ აქცევდა ცენტრალური კომიტეტი ყოველთვის ფრიად დიდ ყურადღებას ორგანიზაციულ საკითხებს. ის, ვინც შეისწავლის ცენტრალური კომიტეტის მუშაობას, დარწმუნდება, რომ მისი საქმიანობის უდიდესი ნაწილი მიძღვნილია სწორედ ორგანიზაციული საკითხებისადმი და სიმართლე უნდა ითქვას: ამხ. სტალინი ძალიან ბევრ შრომას ხარჯავს, რომ, თუ შეიძლება ასე ითქვას, „გააუვითაროს გემოვნება“ ორგანიზაციული საკითხებისადმი იმ ამხანაგებს, რომელნიც მასთან უშუალოდ მუშაობენ და მე მგონია, რომ ეს მართებულია. ვინაიდან რას ნიშნავს ჩვენში მართვა-გამგეობა? მართვა-გამგეობა საბჭოთა კავშირში ნიშნავს ორგანიზებას.

ავიღოთ, მაგალითად, სულ პატარა ჩვენ. შაყი, რომ [illegible] არ გავაღიზიანოთ (სიცილი);—სოფლ. საბჭოს თავმჯდომარე და თემის ყოფილი მამასახლისი (სიცილი), რა უდიდესი განსხვავებაა იმ მოთხოვნებს, რომლებსაც ცხოვრება და ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები სოფლის საბჭოს თავმჯდომარის უყენებენ და, იმ მოთხოვნებს შორის, რომლებსაც ძველ, რევოლუციამდე [illegible] მამასახლისს უყენებდნენ. მამასახლისი ბევრად უფრო დაბლა იდგა ინტელექტუალურად, მისი ორგანიზაციული ნიჭი და პოლიტიკური თვალთახედვა ბევრად ნაკლები იყო, ვიდრე ჩვენი სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის. საქმე ის არის, რომ ჩვენი სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის წინაშე დგანან პრინციპულად სხვა ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა მამასახლისს აბსოლუტურად შეუძლებელია. ჩვენში მართვაგამგეობა ნიშნავს მშრომელთა ათეული მილიონების დარაზმვას.

მაგრამ, ამხანაგებო, ყველაფერი ის, რაც ვთქვი პატარა წინასიტყვაობაა. ამხ. კაგანოვიჩის მოხსენების გამო არსებითად კი მე მსურს შევჩერდე ზოგიერთ კერძო საკითხზე. მოხსენებაში მთლიანად გაშუქებული ჩვენი ხელისუფლების აგებულების საკითხები და ის ცვლილებები, რომლებიც შემოღებულია ან დასახულია. და მე ვფიქრობ, რომ არ არის საჭირო და ვერც გავბედავ შევეხო ზოგად საკითხებს (სიცილი). მე მსურს ცალკე მაგალითებით ცხადვყო, თუ რამდენად მრავალფეროვანია ჩვენში ორგანიზაციული საკითხები, თუ რა სხვადასხვა ფორმას ღებულობენ ისინი ამა თუ იმ პირობის მიხედვით.

უწინარეს ყოვლისა, ნებას მივცემ ჩემს თავს განვაგრძო ამხ. ვოროშილოვის აზრი (სიცილი). ამხ. ვოროშილოვმა აქ წარმოსთქვა სიტყვა, არსებითად დიდი მოხსენება ქვეყნის თავდაცვის შესახებ. მან, უპირველესად, გაგვიშუქა უშუალოდ სამხედრო საკითხები. მე კი, როგორც სამოქალაქო პირი (სიცილი), მაგრამ აგრეთვე უაღრესად დაინტერესებული საბჭოების ქვეყნის თავდაცვაში (მქუხარე ტაში), მსურს შევეხო იმავე საკითხებს, მაგრამ სხვა მხრივ.

როცა ჩვენ ამხ. ვოროშილოვს მისალმების ტაშით ვესალმებოდით ამით ჩვენ გამოვხატავდით სიმპატიებს მისა და წითელი არმიისადმი (ტაში). თვითეულ ჩვენგანს ესმის, რომ ტაშს ვუკრავთ არა მარტო ჩვენ, არამედ ტაშს უკრავს ყველა—თვით ინდუსტრიალური ქალაქიდან უკანასკნელ სოფლამდე. ეს ტაში წითელი არმიისადმი ამოხეთქილია მთელი ხალხის გულიდან (მქუხარე ტაში).

მაგრამ შეიძლება თუ არა დავკმაყოფილდეთ ჩვენ მარტო ტაშით? ჩვენი ქვეყნის თავდაცვა წარმოადგენს, უწინარეს ყოვლისა, ამხ. ვოროშილოვის, როგორც არმიის ხელმძღვანელის, მოვალეობას. მაგრამ განა მუშურ-გლეხური სახელმწიფოს თავდაცვა არ წარმოადგენს ყველა ჩვენგანის, ყველა მშრომელის პირველხარისხოვან ამოცანას?

ბევრ თქვენგანს, ალბათ, წაკითხული აქვს მარქს-ენგელსის მე-9 და მე-10 ტომები სევასტოპოლის ალყის შესახებ. მარქსი, აფასებდა რა მაშინ მეომარი სახელმწიფოების ძალებს, წერდა: რა შეცდომაა, ჩვენ მუდამ გვგონია, რომ რუსეთს შეუძლია გამოიყვანოს გაცილებით უფრო მეტი ჯარი, ვიდრე იგი ამას ნამდვილად სჩადის. ქვეყნის თავდაცვისათვის გამოსაყვანი ჯარის პროცენტი, —მიუთითებდა მარქსი, — არასოდეს არ ემთხვევა მოცემულ სახელმწიფოს ზუსტ რაოდენობას. ქვეყანას, რომლის მოსახლეობა 20 მილიონ კაცს უდრის, მდიდარ ქვეყანას, რომელსაც აქვს კარგი ორგანიზაცია და მარაგი, შეუძლია გამოყოს თავის სახელმწიფოს დასაცავად მოსახლეობის 15 პროცენტი. რუსეთს კი ბარბაროსულ, ღარიბ და წერა-კითხვის უცოდინარ ქვეყანას, ცუდი გზებით, ასეთი გზებით, ასეთი პროცენტის გამოყვანა არ შეუძლია.

ამ აზრს, რომელიც დაახლოებით 75—80 წლის წინათ გამოსთქვა მარქსიზმის საფუძვლის ჩამყრელმა, დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა, ვინაიდან ყველა ქვეყანა როდი დგას განვითარების ერთნაირ საფეხურზე.

ისე, სამოქალაქო პირები, ამ აზრს სულ სხვა მხრივ ვეყურებთ. ყველა ჩვენგანმა იცის, რომ ფრონტის ძალა უდიდესად დამოკიდებულია იმისაგან, თუ როგორ მდგომარეობაშია ზურგი. და აი მე თქვენს წინაშე ვსვამ საკითხს: ყველაფერი გავაკეთეთ თუ არა ჩვენ ჩვენი ქვეყნის ვაჟკაცურად დასაცავად? არა, ყველაფერი არ გაგვიკეთებია. დავუშვათ, რომ მე ვარ რაიაღმასკომის თავმჯდომარე, რას მოვიმოქმედებდი მე? მე გავზომავდი, თუ მოსახლეობის რა რაოდენობა უნდა წავიდეს ჩემი რაიონიდან, რომელი დაწესებულება და საწარმოები გაშიშვლდება, როგორია ადამიანების ადგილობრივი მარაგი, იძლევა თუ არა იგი ფრონტზე წასულთა შეცვლის შესაძლებლობას.

არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ მეურნეობის ორგანიზაციის სოციალისტური სისტემა, ჩვენი ბრწყინვალე წარმატებები მრეწველობის და სოფლის კოლექტივიზაციის დარგში იძლევიან განსაკუთრებულ სხვა რომელიმე საზოგადოებრივ ფორმაციაში უმაგალითო რეზერვებს ჩვენი სამშობლოს დასაცავად (ტაში). მე ამას ვლაპარაკობ არა იმიტომ, რომ გასწავლოთ თქვენ.

ვოროშილოვი: სწავლებაც არ იქნება ზედმეტი.

კალინინი: ეს ხომ უდიდესი სამუშაოა. საჭიროა არა მარტო ყიჟინი—გავიმარჯვებთ, გავიმარჯვებთ თუ ჩვენ თავს დაგვესხმიანო. საჭიროა ჩავატაროთ სერიოზული მუშაობა ადგილებზე და იგი მოგვცემს სასიკეთო შედეგებს. მე მინდოდა, რომ ყოველივე ჩემ მიერ ნათქვამი მიღებული ყოფილიყო ცნობად, —„სახელმძღვანელოდ“ ამის თქმას მე ვერ გავბედავ (სიცილი, ტაში).

ამხანაგებო, არიან ორი ტიპის ორატორები. ერთი ტიპის ორატორებს შესწევს მასების გაყოლიების უნარი.

ვოროშილოვი: კაგანოვიჩი.

კალინინი: არა მარტო კაგანოვიჩი, არამედ შენც ეკუთვნი ასეთ ორატორთა რიცხვს (სიცილი, ტაში). მე კი უფრო მეტს ვხსნი, განვმარტავ, ვლაპარაკობ გაკვრით (სიცილი). თქვენთან ერთად მე მინდა განვმარტო საქმე. აქ, ალბად, გავლენას ახდენს ჩემი ძველი პროპაგანდისტული თვისება.

მეორე საკითხი, ამხანაგებო, ეს არის ტრანსპორტის საკითხი. ჩემი და ამხ. ვოროშილოვის აზრი აქ ძალიან უახლოვდება ერთმანეთს, ამიტომ ჩვენ წინასწარ მოულაპარაკებლად ვავსებთ ერთიმეორეს (სიცილი). მე მინდოდა გამეგრძო ამხ. ვოროშილოვის აზრი ტრანსპორტის შესახებ. ამხ. ვოროშილოვმა სწორად სთქვა, რომ ტრანსპორტი წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს ქვეყნის თავდაცვისათვის. ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახული ღონისძიებანი გატარებული იქნება მთელი შეუპოვრობით. ცენტრალური კომიტეტი თავისას გაიტანს, ამაში არავითარი ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს. მაგრამ, ამხანაგებო, ტრანსპორტს აქვს ძალიან განსაკუთრებული ორგანიზაციული თავისებურებანი. ჯერ ერთი—ეს არის საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცენტრალიზებული აპარატი, ხოლო მეორეს მხრივ—მისი კადრები დაქსაქსული არიან მთელს საბჭოთა კავშირში. და ეს ქმნის დამატებით სიძნელეებს.

როცა ლაპარაკობენ მრეწველობა უკეთ მუშაობსო, რასაკვირველია, ეს სავსებით ბუნებრივია. კადრები თავმოყრილი არიან, ისინი თვალწინ გვყავს, ხოლო ტრანსპორტზე კი—კადრები ეშმაკმა იცის რა და რა მივარდნილ კუთხეებში არ არიან მოფანტული. და აი სცადეთ დაეუფლოთ უდიდეს ცენტრალიზებულ და ამასთან ერთად დაქსაქსულ აპარატს. შეიძლება თუ არა ამის გაკეთება მარტო ცენტრიდან, მარტო ანდრეევის კაბინეტიდან, თქვენი დახმარების გარეშე, ადგილების დახმარების გარეშე? ვფიქრობ, რომ არა... ხოლო უწევენ თუ არა მას ადგილები დახმარებას? სინდისის ქვეშ რომ ვთქვათ, უმეტეს შემთხვევაში ისინი კანცელარიული მიმოწერით თავიდან იშორებენ საქმეს: აპარატი ცენტრალიზებულია, ჩვენ აქ არაფრის გაკეთება არ შეგვიძლიაო. არც არაფრის მიცემა შეგვიძლია და არც არაფრის წაღებაო. წაღებით კი თქვენ მიგაქვთ, მაგრამ მიცემით არაფერს იძლევით (სიცილი).

შემდეგ ამბობენ: როგორ ჩავერიოთ ორგანიზაციულად? საყვედურს გამოგვიცხადებენ: თქვენ უთაურობას იჩენთ, ხელს უშლით მატარებლების მოძრაობას, ხელს უშლით ოპერატიულ მუშაობასო და სხვა.

ნამდვილად კი შეუძლიათ თუ არა ადგილებს და ვალდებული არიან თუ არა ისინი დაეხმარონ ტრანსპორტს? ჩემი აზრით, შეუძლიათ და უეჭველად ვალდებული არიან. ვერავითარი ორგანიზაციული სქემა ამას ხელს ვერ შეუშლის. მოვიყვან ერთ არა ჰიპოტეტიურ, არამედ რეალურ რაიონს. რაიონის დეპო დიდ გარღვევას განიცდიდა. მაგრამ აი მოვიდა რაიკომის მდივანი, რომელიც თავის მუშაობაში დაეყრდნო რკინისგზელებს, ვინაიდან ამ რაიონში რკინისგზელები მთავარი პროლეტარული ბაზაა. რაიკომმა რკინისგზელებს გადასცა კარგი საბჭოთა მეურნეობა, გაამაგრა იგი კადრებით, მოამარაგა მუშები ბოსტნეულით. თავის ძირითად ამოცანად დაისახა რკინისგზელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

დაუკავშირდა რა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს,—იგი ეყრდნობოდა რკინიგზელთა უჯრედს,—რაიკომმა მოაწყო მატარებლების, კონტროლი ბუქსების გაზეთვის საქმეში. ერთხელ აღმოჩნდა, რომ ხუთი ვაგონი გაუზეთავი გაეგზავნათ. ისინი კი გაზეთილად ითვლებოდნენ იმიტომ, რომ ადამიანები შეეჩვივნენ ძველებურად ქურდობას, საუკუნეობით ქურდობას ეწევიან. საკისურები იწვის, ხოლო საცხი მიდის...

ლოზოვსკი: ბაზარზე.

კალინინი: დგება შემოდგომა — დეპოში მინები არ არის, სახურავს წყალი გასდის. რაიკომი თავისი მასალებით აწყობს დეპოს რემონტს. დეპომ გარღვევას თავი დააღწია. იზარალა თუ არა რაიონმა ამ დახმარებით? რა თქმა უნდა, არა, რკინისგზელებმა, სადგურის უფროსმა და დეპოს უფროსმა, იგრძნეს რა რაიონის ასეთი სიახლოვე და დახმარება, თავის მხრივ გააკეთეს ყველაფერი, რომ უკეთესი საწარმოო მაჩვენებლებისათვის მიეღწიათ.

და აი, თქვენ ხედავთ, მე განვაგრძე ამხ. ვოროშილოვის აზრი, თუ ჩვენ გვსურს ტრანსპორტის გაძლიერება, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები სისტემატიურად უნდა დაეხმარონ ტრანსპორტს.

ფილანტროპიულ დახმარებას თუ საბჭოთა დაწესებას ჰქონდა ადგილი ჩემ მიერ მოყვანილ შემთხვევაში? მე, ამხანაგებო, პირადად ვფიქრობ, რომ ეს იყო საბჭოთა მონაწილეობა ტრანსპორტის მართვაში. [illegible] მუშაობაში ამ ორგანიზაციული მონაწილეობის წინააღმდეგ რაიონს. არავინ [illegible]: ასეთი საჩივლელები არ მოუპოვებიან პირიქით, ყველა ორგანიზაცია ხალისით შეხვდა ამ დაკავშირებას.

მე ეს მოგიყევით იმისათვის, რომ ეს გამოცდილება სხვებს გადაეცეს. მე მინდა, პირისპირ ვუწყო რა ამხ. ვოროშილოვის სურვილს, ხოლო მისი სურვილი ჩვენი სურვილიცაა,—მე მინდა, რომ ეს გამოცდილება, არა გამოგონილი, არამედ რეალური რაიკომის გამოცდილება, გავრცელდეს ყველა რაიკომზე. და მგონია, რომ ეს უეჭველად გამოიღებს დადებით შედეგებს.

ვოროშილოვი: რატომ არ დაასახელე რაიონი.

კალინინი: ეს არის არა გამოგონილი, არამედ რეალურად არსებული რაიონი. იმიტომ არ დავასახელე, რომ ეს ცნობები მე მიღებული მაქვს არა ოფიციალური ხაზით, არამედ რაიკომთან კერძო დაკავშირების გზით. მაში რატომ უნდა გავიუბედურო ვინმე (სიცილი). ამხანაგებო, ამხ. (მიმართავს რა პრეზიდიუმს, ამხ. კალინინი ეკითხება ბევრი დრო დარჩა თუ არა მას).

ხმები: გთხოვთ, გთხოვთ!

კალინინი: აი გავაჭიანურებ სადილამდე, მაშინ იძახეთ გთხოვთ (სიცილი).

ამხანაგებო, ამხ. სტალინმა აღნიშნა, რომ უკლასო საზოგადოება თვითდინებით ვერ დამყარდება, რომ უკლასო საზოგადოებისათვის ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ. ამ ცხადად გამოთქმულ აზრს ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენში მოიპოვებიან მთელი რიგი ისეთი ამხანაგები, რომელნიც ფიქრობენ, რომ უკლასო საზოგადოება დამყარდება ბუნებრივად, უბრძოლველად და, ყოველ შემთხვევაში, ძალდაუტანებლად.

ეს საკითხი განსაკუთრებული პრინციპული საკითხია. უკლასო საზოგადოება უნდა შევქმნათ შეგნებულად ვაშენოთ, ვეძიოთ მისთვის საუკეთესო ფორმები. [illegible] ცოტაა, ჩვენი საზოგადოება, ხდება რა უკლასო, მოითხოვს პროლეტარიატის დიქტატურის ბატონობის ხანგრძლივ [illegible] მშენებლობის შემდგომი ამოცანებიდანაც, საერთაშორისო ვითარებიდანაც, კაპიტალისტური გარემოცვიდან.

შემთხვევითი როდია, რომ ამ საკითხში ბევრი იბნევა. შემთხვევითი როდია, რომ ბევრი აყენებს ძლიერი კოლექტივიზაციის რაიონებში სოფლის საბჭოების ლიკვიდაციის საკითხს, საკითხს, თუ რა უნდა აკეთონ რაიაღმასკომებმა, რაიონებმა სამანქანო-სატრაქტორო სადგურების არსებობის დროს. ადამიანებს ავიწყდებათ, რომ სამანქანო-სატრაქტორო სადგური ეს ხელისუფლების ორგანო კი არ არის, არამედ საწარმოო ორგანოა. კოლმეურნეობაც არ არის ხელისუფლების ორგანო. ეს არის გლეხობის კოლექტიური სამეურნეო ორგანო, როგორც ხედავთ, ზოგიერთი უზომოდ ფიცხი ამხანაგი წინ გარბის და ცდილობს დაუყოვნებლივ მოხვდეს სრულ კომუნისტურ საზოგადოებაში, ისინი სწყდებიან ჩვენს კონკრეტულ სინამდვილეს და [illegible] მას.

იმისათვის, რომ მოვიახლოვოთ უკლასო საზოგადოება, ამისათვის ჩვენ ჯერ კიდევ უნდა აღმოვფხვრათ მრავალი ნაკლი და, უწინარეს ყოვლისა, მოვაწყოთ ჩვენი სასოფლო მეურნეობა, მოვაწყოთ იგი კოლექტიურ საფუძველზე.

უკლასო საზოგადოების დამყარების დაჩქარება, სხვათა შორის, დამოკიდებულია კოლმეურნეობის, როგორც ორგანიზაციის, სრულყოფაზე.

სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღება საკმაოდ მნიშვნელოვანია. ამჟამად ძირითადი ამოცანაა—ყველა არსებული საშუალების გამოყენება მაქსიმალური ეფექტიანობით.

წარსული წლის გამოცდილება პირდაპირ დოკუმენტალურად გვეუბნება, რომ მოსავალი, მეურნეობის ეფექტიანობა კოლმეურნეობაში თითქმის მთლიანად დამოკიდებულია ორგანიზაციაზე. რაში გამოიხატება ამ ორგანიზაციის ძირითადი თვისება? ეს არის, პირველ ყოვლისა, კოლმეურნეობის თავმჯდომარის არჩევა. ეს ძნელი, მაგრამ საჭირო ამოცანაა, და მე ვფიქრობ, რომ რაიკომის მდივანმა იმ დროის საგრძნობი ნაწილი, რომელსაც იგი აძლევს სასოფლო-სამეურნეო მუშაობას, უნდა მოახმაროს კოლმეურნეობის თავმჯდომარის შერჩევას, როცა კოლმეურნეობის თავმჯდომარე გამონახულია, როცა მისი მუშაობის ეფექტიანობა დამტკიცებულია, მაშინ, ამხანაგებო, რაიონი მზრუნველობით უნდა მოეპყრას ასეთ თავმჯდომარეს.

ბრიგადირის არჩევა და დანიშვნა. მე ვფიქრობ, რომ ბრიგადირის დანიშვნაში მონაწილეობა უნდა მიიღოს თვით ბრიგადამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ შეიძლება ბრიგადირის დანიშვნა, თუ მის წინააღმდეგ გამოდის ბრიგადის ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ ეს კარგი მუშაკია, საჭიროა დავუმტკიცოთ ბრიგადას, საჭიროა ბრიგადა გადმოვიყვანოთ ჩვენს თვალსაზრისზე, დავუმტკიცოთ მას ამ დანიშვნის მიზანშეწონილობა.

ორიოდე სიტყვა სამანქანო-სატრაქტორო სადგურების კოლმეურნეობებთან დამოკიდებულებაზე. მე მინდა ვთქვა, რომ ამ საკითხებში საჭიროა გადაჭრით აღმოიფხვრას უწესრიგობა და გაურკვევლობა. პირადად მე მტკიცედ დარწმუნებული ვარ, რომ საჭიროა (ვფიქრობ, ამხ. კაგანოვიჩი თავის ორგანიზაციულ მუშაობაში ამას გააკეთებს) კოლმეურნეობების და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ურთიერთობის „სტაბილიზაცია“, ერთგვარი პროცესუალური, ორივე მხარისათვის სავალდებულო ფორმის შექმნა.

კაგანოვიჩი: ერთგვარი არბიტრაჟის.

კალინინი: დიახ, ერთგვარი არბიტრაჟის, როცა იციან რომელ მხრიდან ვინ [illegible] პრეტენზიები.

კაგანოვიჩი: კანონიერების დამყარება.

კალინინი: დიახ, კანონიერების დამყარება.

აი, ამხანაგებო, ყოველივე ის, რაც მე მქონდა თქვენთვის მისათქმელი. ორგანიზაციული სამუშაო ჩვენ ბევრი გვაქვს. იგი ძნელია, მოითხოვს უდიდეს ყურადღებას, დეტალურად შესწავლას, მაგრამ მას თავზე ვერ გადაახტები, მას გვერდს ვერ აუვლი. იმისათვის, რომ მივაღწიოთ უკლასო საზოგადოებას, საჭიროა ყველა ეს საკითხი გადავჭრათ ისე, როგორც შეჰფერის ბოლშევიკებს, როგორც პარტიას ასწავლის ჩვენი დიდი სტალინი (ხანგრძლივი ტაში, დელეგატები ფეხზე ამდგარი ესალმებიან ამხ. კალინინს, შეძახილი „ვაშა“).

ამხ. იუდინის სიტყვა

ამხ. იუდინი (საბჭოთა მწერლების კავშირის საორგანიზაციო კომიტეტი) თავის გამოსვლაში ეხება საბჭოთა ლიტერატურას.

აღნიშნავს რა პირველ რიგში მის დეფექტებს, ამხ. იუდინი ამბობს, რომ ჩვენი მხატვრული ლიტერატურა თავის განვითარებაში ჩამორჩა იმ მოთხოვნებს, რომლებსაც მას უყენებს სოციალისტური მშენებლობის მთელი მიმდინარეობა. მხატვრული ლიტერატურა ასახავს სოციალისტური სინამდვილის ყველა მხარეს, მაგრამ ეს ასახვა ჯერ კიდევ მაღალ დონეზე ვერ დგას. საბჭოთა ქვეყნის ცხოვრება გაცილებით უფრო ღრმა, რთული და ინტენსიურია, ვიდრე იგი ასახულია მხატვრულ ლიტერატურაში. ცოცხალი ადამიანები, ჩვენი ფაბრიკების, ქარხნების და კოლმეურნეობების გმირები გაცილებით უფრო საინტერესონი და მკაფიონი არიან, ვიდრე ჩვენ სალიტერატურო ნაწარმოებთა გმირები, ჩვენი სალიტერატურო ნაწარმოებთა ენაც ჩამორჩება მილიონთა მრავალფეროვან მდიდარ ენას, რომელიც შექმნა რევოლუციამ.

მხატვრულ ლიტერატურაში, განაგრძობს ამხ. იუდინი, ჩვენ გვაქვს დიდი წარმატებები, რომლებიც, პირველ ყოვლისა, მიღწეულია ცენტრალური კომიტეტის უნარიანი ხელმძღვანელობის შემწეობით. ცენტრალური კომიტეტი დიდ ყურადღებას აქცევს ლიტერატურას. ცენტრალური კომიტეტის ისტორიულმა გადაწყვეტილებამ შექმნა გარდატეხა უპარტიო საბჭოთა მწერლების განწყობილებაში, დააჩქარა მათი დაახლოება პარტიასთან.

უკანასკნელ წლებში საბჭოთა ლიტერატურა გამდიდრდა მთელი რიგი მსხვილი და მნიშვნელოვანი ნაწარმოებებით.

ამხ. იუდინი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ საბჭოთა მხატვრული ლიტერატურა აღმოფხვრის თავის ჩამორჩენას და ღირსი გახდება იმ ამოცანებისა, რომლებიც მის წინაშე დასახულია სოციალიზმის ეპოქაში. ამის საწინდარია ის, რომ საბჭოთა მწერლების ორგანიზაციის სათავეში უდგას დიდი პროლეტარული მწერალი ალექსი მაქსიმის-ძე გორკი. ამის საწინდარია ის, რომ ჩვენი ძლევამოსილი მუშათა კლასი შეიცავს ტალანტების დაუშრეტელ წყაროს. ამის საწინდარია ის, რომ მუშათა კლასის სათავეში დგას ბოლშევიკური პარტია და მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადი ამხ. სტალინი.

ტრანსპორტს შეუძლია უკეთ მუშაობა და კიდევ უნდა იმუშაოს

ამხ. ანდრეევის სიტყვა

ამხ. კაგანოვიჩმა თავის შესანიშნავ სიტყვაში ყრილობის წინაშე გადმოგვიშალა იმ უდიდესი ორგანიზაციული მუშაობის სურათი, რომელიც ჩაატარა პარტიამ საანგარიშო პერიოდში, გადმოგვიშალა ორგანიზაციული მუშაობის იმ უდიდესი გამოცდილების სურათი, რომლის დაუფლებაც საშუალებას გვაძლევს უფრო სწრაფად და უკეთ წავიდეთ წინ. ამ საკითხებზე მე მინდა ვთქვა რამდენიმე სიტყვა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი ორგანიზაციული საკითხები დგას ტრანსპორტის წინაშე. ეს მით უმეტეს მინდოდა შევჩერებულიყავი ამ საკითხებზე, ვინაიდან საკმაოდ ვერ გავავითარე ისინი ჩემს პირველ გამოსვლაში და მეორე — იმიტომ, რომ ისინი უდიდეს როლს თამაშობენ ტრანსპორტზე.

ამ ყრილობაზე რკინის გზის ტრანსპორტის მუშაობა გაკრიტიკებულ იქნა სერიოზულად, მაგრამ, მკაცრად. მაგრამ ლაპარაკიც არ შეიძლება იმაზე, რომ ამ გარემოებამ ვინმის აწყენინოს. ასე გამოხმაურება შეუძლიათ მხოლოდ დამპალ ბიუროკრატებს. კრიტიკა სავსებით მართებულია, სავსებით სწორია და იგი საჭიროა. ყოველივე იმან, რაც ტრანსპორტის შესახებ ილაპარაკეს ამხ. სტალინმა, ვოროშილოვმა და კიროვმა, უნდა დარაზმოს რკინის გზის ტრანსპორტის ყველა მუშაკი უდიდეს ორგანიზაციულ სიძნელეთა გადასალახავად მუშაობისათვის. ეს მკაცრი კრიტიკა საჭიროა და სწორია იმიტომ, რომ ტრანსპორტი ცუდად მუშაობს უდიდესი შინაგანი ორგანიზაციული დეფექტების გამო. ცენტრალური კომიტეტის და სახკომსაბჭოს ცნობილ გადაწყვეტილებებიდან ტრანსპორტის გარდაქმნის შესახებ ჯერ კიდევ ბევრი რამ არ არის განხორციელებული. კრიტიკა და თვითკრიტიკა — ეს უაღრესად საჭირო პირობაა ტრანსპორტის გასაჯანსაღებლად.

ამხ. სტალინი და ცენტრალური კომიტეტი ბევრს მუშაობდნენ და ახლაც მუშაობენ ტრანსპორტის საკითხებზე. ცენტ. კომიტ. და სახკომსაბჭოს იმავე გადაწყვეტილებებში დაწვრილებით არის აღნიშნული საჭირო ორგანიზაციული ღონისძიებანი. ამხ. სტალინის წინადადებით შეიქმნა ტრანსპორტის სპეციალური კომისია, რომელშიაც შედის პოლიტბიუროს თითქმის ყველა წევრი. ამ კომისიამ უდიდესი მუშაობა ჩაატარა. მან კონკრეტულად, ოპერატიულად შეამოწმა კურსკის, ეკატერინეს და პერმის რკინის გზების და გზათა სახალხო კომისარიატის მთელი რიგი სამმართველოების მუშაობა, სერიოზული ცვლილებები შეიტანა ვაგონების და ორთქლმავლების რემონტის სისტემაში. კომისია აგრეთვე მუშაობდა სალიანდაგო მეურნეობის, ტრანსპორტის მომარაგების და სხვა საკითხებზე.

ახლა მთავარი ისაა, რომ განვახორციელოთ ყველა დასახული ორგანიზაციული ღონისძიებანი. ცოტა რამ ამ მიმართულებით გაკეთებულია, მაგრამ მთავარი, გადამწყვეტი ჯერ კიდევ არ არის განხორციელებული.

რა მთავარი ორგანიზაციული საკითხებია დასახული ტრანსპორტის წინაშე?

მთავარი — ეს არის დისციპლინის დანერგვა. ჩვენში ხშირად ხელმძღვანელები იწვევენ ლაყბობას, კმაყოფილდებიან დისციპლინარული წესდების ფორმალურად გატარებით. ხოლო მტკიცე დისციპლინის დანერგვა, ეს ხომ პირველი და ძირითადი პირობაა ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესებისათვის. შრომის დაბალი დისციპლინის ყველაზე დამახასიათებელ გამოხატულებას წარმოადგენს ხშირი ავარიანობა.

რითი უნდა დავიწყოთ დისციპლინის განმტკიცების საქმე? უწინარეს ყოვლისა, უნდა განვამტკიცოთ იგი ხელმძღვანელ მეთაურთა შემადგენლობას შორის. მაგალითად, მომწესრიგებელ განკარგულებათა გარშემო, მათი სწრაფად და გარკვეულად შესრულების ნაცვლად, ხშირად ადგილი აქვს ცამრობას და დისკუსიას. და თუ ამას ჩადიან ისეთი მუშაკები, როგორიცაა ამხ. მირონოვი და ბილიკი, ცხადია, დისციპლინის განმტკიცება ჩვენ უნდა დავიწყოთ ზემოდან.

მეორე პირობა — ეს არის შესრულების ნამდვილი ოპერატიული შემოწმების შექმნა. ჩვენში, ტრანსპორტზე სჭარბობს ხელმძღვანელობის კანცელარიულ-ბიუროკრატიული მეთოდები. რასაკვირველია, ჩვენს ცენტრალიზებულ მეურნეობაში ბრძანებები კარგი საქმეა, მაგრამ საჭიროა არა მარტო ბრძანების შედგენა, არამედ უნდა მოაგვარო მისი შესრულება და შემდეგ შეამოწმო ადგილებიდან. ტრანსპორტზე ხშირად გარეგნული „მესმის“, „გასაგებია“ უკან იმალება ბრძანების შეუსრულებლობა. ამ მხრივ ჩვენ უნდა ვისწავლოთ წითელი არმიისაგან, რომლის სიტყვა და საქმე ერთმანეთისაგან არ განსხვავდება.

ჯერ კიდევ ცოცხალია ტრანსპორტზე „ზოგადი“ ხელმძღვანელობის მეთოდებიც. ასეთი მეთოდების მატარებლებს წარმოადგენდნენ გზების ყოფილი უფროსები ამხ. სლიუსარენკო, ტრიფონენკოვი, მაევსკი, კარპენკო. ეს ხალხი ჩვენ გადავაყენეთ, მაგრამ კანცელარიულ-ბიუროკრატიული ხელმძღვანელობის მეთოდები ჯერ კიდევ ახასიათებს ტრანსპორტის ბევრ სხვა მუშაკს. ისეთი მნიშვნელოვანი ოპერატიული ღონისძიება, როგორიცაა დისპეტჩერის მოხსენება, მისდამი ბიუროკრატიული მიდგომის მიზეზით, სავსებით ფასდაკარგულია. სამხრეთის გზაზე, მაგალითად, გზის უფროსი 2-3 საათს ატარებს გზის აგენტებს ყოველდღიური მუშაობისას და აიძულებს მათ ისხდნენ სელექტორებთან თათბირებზე.

შემდეგი პირობა — ეს არის ბოლო მოვუღოთ გაუპიროვნებას, უპასუხისმგებლობას. ახლა ადამიანები ცდილობენ თავი დააღწიონ პასუხისმგებლობას; ხშირად ვერც კი იპოვი პასუხისმგებელ პირს. ამის ფესვები დამარხულია აპარატის ორგანიზაციულად უმართებულოდ აგებაში. ამ მხრივ ბევრი რამ არის გაკეთებული, მაგრამ ფუნქციონალობა ტრანსპორტზე ცოცხლობს და საბოლოოდ ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი.

ტრანსპორტზე ჯერ კიდევ ბევრია სხვადასხვა სიდამპლე. აპარატი ჯერ კიდევ უაღრესად ცუდია. ჩვენი ხელმძღვანელები ხშირად ხელმძღვანელობას კი არ უწევენ აპარატს, არამედ კუდში მისჩანჩალებენ. ზოგიერთ ხელმძღვანელს არ ჰყოფნის კლასობრივი ალღო, ხოლო ეს იწვევს აპარატის დანაგვიანებას კლასობრივად უცხო ელემენტებით. ამოცანა ისაა, რომ ხარისხობრივად გავაუმჯობესოთ აპარატი და გავწმინდოთ იგი.

ჩვენ ჯერ კიდევ ხშირად ცუდად ვაწარმოებთ კადრების შერჩევას. საჭიროა მოლაყბეების და ბიუროკრატების დაუზოგავად განდევნა შევათავსოთ კეთილსინდისიერ მუშაკებისადმი ყურადღების გაძლიერებასთან, საჭიროა ვასწავლოთ, დავეხმაროთ მათ.

ავიღოთ ორი მეზობელი გზა: ტომსკის და ომსკის გზები. პირველზე კადრების საქმე გაცილებით უკეთ არის დაყენებული, თუმცა ორივე გზა ერთნაირ პირობებშია ჩაყენებული. რატომ? იმიტომ, რომ ტომსკის გზას სათავეში უდგას კარგი მუშაკი ამხ. იაკოვლევი, რომელიც მზრუნველობით ეპყრობა კადრებს, ხოლო ომსკის გზაზე მოკალათებული იყო ადამიანი, რომელიც არ მუშაობდა კადრებისათვის, არ ქმნიდა მათ, არ აწარმოებდა მათ აღზრდას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოძრაობის დარგის მუშაკებს — სადგურის უფროსებს, დისპეტჩერებს, აგრეთვე გზათა ოსტატებს და გზების და ორთქლმავლების შემკეთებელ ოსტატებს მომზადებას და აღზრდას. მთავარია ის, რომ შევქმნათ ნებისყოფიანი, დისციპლინიანი ხელმძღვანელები, ასეთები ჩვენ გვყავან, მაგრამ ჯერჯერობით ძალიან ცოტა.

ამხ. სტალინმა სავსებით სამართლიანად დასვა საკითხი იმის შესახებ, რომ ჩვენი გზების რაიონები ძალიან დიდია. ამჟამად ჩვენ უკვე დავიწყეთ ყველაზე მსხვილი რაიონების დაწვრილება, ეს მუშაობა შემდეგაც გაგრძელდება.

პოლიტგანყოფილებები რკინის გზის ტრანსპორტზე, უეჭველია, არანაკლებ როლს ითამაშებენ, ვიდრე პოლიტგანყოფილებანი სოფლის მეურნეობაში, მაგრამ ჯერჯერობით მათ ვერ შეძლეს თავისი ძირითადი მუშაობის გაშლა.

ამხ. ვოროშილოვის და კაგანოვიჩის კრიტიკა სავსებით სამართლიანია. პოლიტგანყოფილებებმა ჯერ კიდევ ვერ გაიჩინეს მუშაობა ადამიანების ორგანიზაციულად დარაზმვის, პოლიტიკური მუშაობის ორგანიზაციის დარგში. პოლიტგანყოფილებები ხშირად ძალიან გატაცებული არიან ბრძანებების წერით და ყურადღებას აქცევენ მხოლოდ აპარატის გარდაქმნას. პოლიტგანყოფილებები უნდა გასცილდნენ აპარატს, ხელი უნდა მოჰკიდონ მუშაობის პოლიტიკური ბაზის უზრუნველყოფას. ამასთან არ უნდა დაკმაყოფილდნენ მარტო მსხვილი სადგურებით, არამედ თავისი მუშაობა გაავრცელონ გზათა დარაჯებზე და ყველა სახაზო სადგურზე. ტრანსპორტის პოლიტგანყოფილებებმა უნდა აღმოფხვრან აგრეთვე ტრანსპორტის მოწყვეტილობა ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციებისაგან.

ვინ არის, ამხანაგებო, დამნაშავე, რომ ჩვენს ტრანსპორტს ასე ბევრი ორგანიზაციული დეფექტი აქვს? დამნაშავენი ვართ, პირველ ყოვლისა, ჩვენ, კომუნისტები, ტრანსპორტის მუშაკები და მხოლოდ ჩვენ. უამრავ ქაღალდებში ჩაფლულნი, ჩვენ აშკარად ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდით ორგანიზაციულ საკითხებს, ხოლო ორგანიზაციული საკითხები ამჟამად თავიდათავია ტრანსპორტზე. პარტია ვერ დაუშვებს მუშაობას ძველი მეთოდებით, პარტია ვერ დაუშვებს შემდეგში უდიდესი დეფექტების არსებობას ტრანსპორტზე. არავითარ ობიექტურ მიზეზზე მითითებას არ უნდა ჰქონდეს ადგილი.

დაუზოგავად უნდა ვებრძოლოთ ხელმძღვანელობის კანცელარიულ-ბიუროკრატიულ მეთოდებს და უნდა განვამტკიცოთ რკინისებური დისციპლინა. მუშაობა უნდა მოეწყოს იმგვარად, რომ 1934 წელს სავსებით შესრულდეს 68.000 ვაგონის ყოველდღიური დატვირთვის გეგმა.

საჭიროა თავიდან მოვიშოროთ გამოუსწორებელი მოლაყბეები და ბიუროკრატები, მე დავასახელებ ისეთ მუშაკებს, რომელნიც ამჟამად უკვე გავიდნენ ტრანსპორტიდან, ისეთი არიან ამხ. ზაბარა და პოზდეევი. ისინი კი ხომ „სახელით და პატივისცემით“ სარგებლობდნენ ტრანსპორტზე. ეს უნდა შეიგნონ ამხ. მუხკოვმა, მოვინმა, მირონოვმა, უთკოვმა და სიმეიამ. მე აქ მათ ვასახელებ იმისთვის, რომ მათ ჰქონდეთ [illegible]. მათ უნდა მიიღონ ზომები თავისი მუშაობის მეთოდების გარდაქმნისათვის. **ტრანსპორტს შეუძლია უკეთ მუშაობა და კიდევ უნდა იმუშაოს:** ამას მოითხოვს ჩვენგან პარტია. და ამჟამად, როცა ტრანსპორტის გაუმჯობესების საქმეს უშუალოდ ხელი მოჰკიდა ამხ. სტალინმა, ეს საქმე სწრაფი ნაბიჯით წავა წინ. **(ხანგრძლივი ტაში).**

ამხ. კრჟიჟანოვსკის სიტყვა

ამხ. კრჟიჟანოვსკი, რომელსაც ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან, ლაპარაკობს:

— ახლა უკვე მე-42 წელია, რაც მე პარტიაში ვარ. [illegible] ცხოვრებაში მე ის მიმაჩნია, რომ მოვესწარი [illegible] დიდი ყრილობის მონაწილედ ყოფნას (მქუხარე ტაში). დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, — განაგრძობს კრჟიჟანოვსკი, — რაც ჩვენი წინსვლის მასშტაბების გასაზომად შედარებისათვის ვიღებდით ომის წინადროინდელ დონეს. მაგრამ ეს შედარება ჩვენ უკვე მალე უკუვაგდეთ. ახლა ჩვენ შედარებისათვის ვიღებთ უცხოეთის, მოწინავე ინდუსტრიალურ ქვეყნებს. ამ შედარებასაც დიდი სიფრთხილით ვეკიდებით. ავიღოთ, მაგალითისათვის ელექტრომშენებლობა. ჩვენი ელექტროსადგურის თვითეული კილოვატი თავისი ეფექტიანობით უცხოეთის ელექტროსადგურის ორ კილოვატს უდრის. გამოდის, რომ თვითეული საბჭოთა ელექტროსადგური უდრის ორ კაპიტალისტურ ელექტროსადგურს. ან ავიღოთ თუნდაც ტრაქტორი. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ჯერ კიდევ შორს ვართ სრულყოფამდე სატრაქტორო მეურნეობის გამოყენების საქმეში, ჩვენს საბჭოთა ტრაქტორს 6-ჯერ უფრო მეტი ეფექტიანობით ვიყენებთ, ვიდრე მას იყენებენ ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებში.

როგორც ხედავთ, უცხოეთთან შედარებას ჩვენ შეგვიძლია მივმართოთ დიდი გამარჯვებით. ან ავიღოთ ჩვენი კადრები. ყველა ჩივის კადრების სიმცირეს, მათ უმაღლეს კვალიფიკაციას. და ეს სავსებით გასაგებია უდიდესი ეპოქა, რომელსაც ჩვენ განვვლიდით, დიდი სამუშაოები, რომელთაც ჩვენ ვასრულებთ, მწვავედ აყენებს საკითხს კადრების შესახებ. მაგრამ შეადარეთ ჩვენი საბჭოთა კადრები იმ კადრებს, რომლებიც გააჩნიათ მათ, ვინც ჩვენ გვეპირისპირება. ავიღოთ პირველ ყოვლისა ჩვენი ხელმძღვანელი კადრები, ჩვენი მთავრობა. მარქსი თავის დროზე წერდა კრომველზე, როგორც ძლიერებისა და სიბრძნის მთავრობაზე. მაგრამ ჩვენი საბჭოთა მთავრობა, ძლევამოსილი პროლეტარული რევოლუციის მთავრობა, მთავრობა, რომელიც საქმით ახორციელებს სოციალიზმს, ენერგიით, ძლიერებითა და სიბრძნით უკან იტოვებს კრომველს. ამჟამად მსოფლიოში არ არსებობს ასეთი მთავრობა.

ავიღოთ ჩვენი პარტია. ის, პირველ ყოვლისა, დიდი ამხ. სტალინის შემწეობით, წარმოადგენს ისეთ ყველაფრის დამძლევ ძალას, რანაირიც დღემდე არ სცნობია კაცობრიობის ისტორიას.

ლენინმა თავის დროზე, ითვლიდა რა ჩვენს საბჭოთა აქტივს, დაითვალა პარტიის 600 ათასი წევრი, 400 ათასი კომკავშირელი, 3 მილიონი პროფკავშირის წევრი და გამოიტანა დასკვნა: თუ აი ამ აქტივს შეუერთდებიან ათეული მილიონობით გლეხობა, მაშინ „გამარჯვება აბსოლუტურად და საბოლოოდ ჩვენს მხარეზე იქნება“. ახლა კი ჩვენ გვყავს პარტიის 3 მილიონზე მეტი წევრი და კანდიდატი, 4 მილიონზე მეტი კომკავშირელი, პროფკავშირის 17 მილიონზე მეტი წევრი.

ყრილობის მქუხარე ტაშის ქვეშ ამხ. კრჟიჟანოვსკი ამთავრებს თავის სიტყვას: „ეს ყრილობა ისტორიაში შევა, როგორც სტალინური ყრილობა, როგორც ისეთი ყრილობა, რომელმაც მუშათა კლასს უჩვენა გზა საბოლოო მსოფლიო გამარჯვებისა“.

წითელი არმიის დემონსტრაცია მე-17 პარტყრილობის პატივსაცემად

პარადი წითელ მოედანზე

პარტიის მე-17 ყრილობის დელეგატები, შეკრებილნი დიდი საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან, გუშინ წითელ მოედანზე ეცნობოდნენ ჩვენი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს, ფხიზელი თვალით ამოწმებდნენ საბჭოთა კავშირის თავდაცვის მდგომარეობას. ეს იყო ჩვენი ქვეყნის ბოლშევიკური თავდაცვის უნარიანობის შეურყევლობის დათვალიერება, წითელი არმიის მაღალი ტექნიკის პარადი, ამ ტექნიკის დაუფლებაში მუშურ-გლეხური წითელ-არმიის მიერ მოპოვებულ უდიდეს გამარჯვებათა დემონსტრაცია.

დილიდანვე მოსკოვის ქუჩებმა არაჩვეულებრივი სახე მიიღეს. ცენტრისაკენ თავს იყრიან მეომართა ათასეულები. რაიონებიდან მოიმართებიან შეიარაღებული პროლეტარიატის კოლონები. ჯარების რიგები დაბანაკდნენ მაქსიმ გორკის ქუჩაზე, რევოლუციის მოედანზე, სვერდლოვის სახელობის მოედანზე, ილინკაში, ნიკოლსკის ქუჩაზე კიტაი-გოროდის შესასვლელში. ფოლადისებურ კლდეებად გაქვავებულან ტანკები და ზარბაზნები, მზრუნველობით ათვალიერებენ რა თვითეულ წვრილმანს, მეომრები უვლიან თავის მანქანებს და ფრთხილად წმენდავენ თოვლისაგან რომელიც მოდის. მშრომელთა ათასები ქუჩებში ესალმებიან მოსკოვის გარნიზონის ნაწილებს.

დღის 12 საათისათვის ტრიბუნები წითელ მოედანზე სავსეა ყრილობის დელეგატებით. აქვე არიან მრავალრიცხოვანი სტუმრები—დედაქალაქის ქარხანა - ფაბრიკების წარმომადგენლები.

[illegible] დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, სამხედრო ატაშეები.

ჯარის მტკიცე რიგები უძრავად დგანან. შავად მოსჩანან მეზღვაურთა მჭიდრო ოთხკუთხედები. სწრაფად გაირბენენ მეხაზენი. რაზმებში ისმის ოდნავ გასაგონარი ბრძანება.

12 საათამდე შვიდი წუთით ადრე მავზოლეის უახლოვდება ამხ. სტალინი პოლიტბიუროს წევრების თანხლებით. ტრიბუნებზე ერთბაშად მქუხარე ტაში იფეთქებს. ყოველი მხრიდან გრიალებს მისალმებანი— **„გაუმარჯოს ამხ. სტალინს!“, „გაუმარჯოს ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს!“**, „ვაშა“. პარადის სარდალი ამხ. **კორკი** შემოუვლის ჯარების დაუსრულებელ რიგებს. მაგრამ აი სპასკის კოშკის საათი დაკრავს თორმეტს. ერთი წუთით მოედანზე საზეიმო სიჩუმე მყარდება. მავზოლეის მარცხენა ფრთაზე დგანან ამხ. **სტალინი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი, კალინინი, ორჯონიკიძე, კუიბიშევი, ანდრეევი, მიქოიანი, კოსიორი, კიროვი, რუძუტაკი, პოსტიშევი, ბუბნოვი, ჩუბარი, შკირიატოვი** და სხვ. მავზოლეის მარჯვენა ფრთაზე არის საბჭოთა კავშირის რევოლუციურ—სამხედრო საბჭო.

კრემლის საათმა უკანასკნელად დარეკა. გაისმის ორკესტრების მძლავრი გუგუნი, ესალმებიან სპასკის ალაყაფის კარებიდან გამოსულ ამხ. ვოროშილოვს ჯარის რიგებში გუგუნებს „ვაშა“.

პარადის სარდალი ამხ. კორკი უპატაკებს სახალხო კომისარს:

— ამხანაგო სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარო. ბოლშევიკების სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის მე-17 ყრილობის პატივსაცემად მოსკოვის გარნიზონის ჯარები და პროლეტარიატის შეიარაღებული რაზმები ჩამწკრივებული არიან საპარადოდ.

კვლავ გუგუნებს „ვაშა“. ამხ. ვოროშილოვი ამხ. კორკის თანხლებით შემოუვლის ჯარებს. მისალმებათა შორეული ტალღის მძლავრი ხმა გვიჩვენებს მათ გზას. „ვაშა“ ხან მინელდება, ხან კვლავ ახალი სიძლიერით იფეთქებს. აი მისალმებამ გრიგალისებური ხასიათი მიიღო: ამხ. ვოროშილოვი დაბრუნდა ჯარების შემოვლიდან.

— თავისუფლად,—გაისმის ბრძანება.

ამხ. ვოროშილოვი ადის ტრიბუნაზე და ამბობს სიტყვას, უპატაკებს რა პარტიას მე-17 ყრილობის სახით მუშურ-გლეხური წითელ არმიის ძლიერებას, მუშურ-გლეხური წითელ-არმიის შეუდრეკელობას, მის ერთგულებას დიადი პარტიისა და დიდ ბელად სტალინისადმი.

— გაუმარჯოს უძლეველ წითელ არმიას.

ამხ. ვოროშილოვის უკანასკნელ სიტყვებს ფარავს ზარბაზნების სალუტი. ზარბაზნების სროლა არყევენ მინებს ახლო მდებარე შენობათა ფანჯრებში. სალუტს ერთვის გრიგალისებური „ვაშა“. ფანფარები ჰქუხავენ მსოფლიო პროლეტარიატის ჰიმნის „ინტერნაციონალის“ ძალის სიდიადით.

— პარადი, სმენა,—გაისმის ბრძანება მოედანზე.

საზეიმო მარშს იწყებენ სამხედრო აკადემიები — ფრუნზეს სახელობის, საინჟინერო, ქიმიური, საჰაერო აკადემიების მსმენელები.

პროლეტარული სარდლები დინჯად, მტკიცედ მიაბიჯებენ და იწვევენ საყოველთაო აღტაცებას. ერთსულოვანი ტაშით ესალმებიან ტრიბუნებიდან საზღვაო ფლოტის მეთაურებს.

მჭიდრო მწყობრით მიაბიჯებს პროლეტარული დივიზია. მებრძოლები მიემართებიან მხარდამხარ, შაშხანებით მხრებზე. ცივად კრიალებენ ხიშტები. მტკიცე შეურყეველი რიგებისაგან შეურყეველ ძალას გრძნობთ.

რიგები კი მიდიან და მიდიან. მიემართებიან ორკესტრების მარშის ქვეშ გაერთიანებული სახ. პოლიტსამმართველოს ჯარები, სანაპირო რაზმები, რკინისგზის მცველი რაზმი, კავშირგაბმულობის ნაწილები, ტყვიამფრქვეველნი, სნაიპერები, მფრინავები ცხადყოფენ რა წითელ-არმიის უდიდეს გაწვრთნას, მის რკინისებურ დისციპლინას.

მოსკოვის მილიციის რაზმი ამთავრებს სამხედრო ნაწილების კოლონას. მილიციის შესანიშნავი გაწვრთნილობა დელეგატებზე და სტუმრებზე დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს.

ტრიბუნაზე გამოცოცხლებაა. ყველა ისტორიული მუზეუმისაკენ იცქირება. მწყობრი ნაბიჯებით მიდიან წითელი პარტიზანები, მოსკოვის პროლეტარიატის თავდაცვა - ავიაქიმის შეიარაღებული რაზმები — იმ მუშათა რაზმების ხორცი - ხორცთაგანი და სისხლი - სისხლთაგანი, რომლებმაც იერიში მიიტანეს კრემლზე 1917 წლის დაუვიწყარ ნოემბრის დღეებში.

დელეგატები და სტუმრები აღფრთოვანებით ხვდებიან მუშათა რაზმებს.

პარტიის საუკეთესო წარმომადგენლები, რომლებიც შეიკრიბნენ თავიანთ ყრილობაზე, სიხარულით ესალმებიან შეიარაღებულ პროლეტარიატს, რომელიც მუდამ მზად არის დაიცვას სოციალისტური სამშობლო შეცვალოს თავისი სამუშაო ადგილი, ადგილით მუშურ გლეხური წითელი არმიის მებრძოლთა რიგებში.

უეცრად მოედანს ფარავს ცხენების ფეხების თქარათქური ეს — ცხენოსანი არტილერიაა. უხმაუროდ მისცურავენ ზარბაზნები რეზინის დასაყრდენზე. კავალერიის ესკადრონი ესკადრონს მისდევს. შემდეგ ისევ არტილერია, მას უკან მისდევენ პატარა ტანკები.

ისევ პატარა ტანკები, ისევ ცხენოსანი არტილერია, ეს კიდევ კავალერიის მოწყვეტით მოჯირითე ესკადრონები —ეს არის შესავალი წითელი არმიის მძლავრი თანამედროვე ტექნიკის პარადისა, მისი უხვად მოტორიზებულ და მექანიზებული ნაწილების პარადისა. მათ მძლავრ მოძრაობას წინ უძღვის დიდი ტანკა. მებრძოლის თავი ამაყად მოსჩანს ტანკის კოშკზე. ძლევამოსილად ფრიალებს პატარა წითელი დროშა. ამ ტანკას მისდევს ათასნაირი მანქანები, ტანკეტები, ჯავშნიანი ავტომობილები, მსუბუქი და მძიმე ტანკები, რომელთაც შეუძლიათ სიარული წყალში, შეუძლიათ ავიდნენ მთაზე, მოძრაობენ როგორც ლავა, ავსებენ რა მთელს წითელ მოედანს.

მიჰქრის არტილერია ავტომანქანებით, მოტორიზებული ქვეითა ნაწილები. კვლავ მოძრაობენ ტანკები, ასე გეგონებათ, რომ ბოლო აღარ უჩანს. აი კიდევ ახალი ტანკები, კიდევ უფრო დიდი, უფრო მსხვილი, უფრო მომხიბვლელნი, ვინემ წინანდელი. მრისხანე, შემაშფოთებელი ძალა, ჩაჭედილი უდრეკ ფოლადში. ტანკები სვლას უმატებენ, გარბიან ათეულ კილომეტრების სისწრაფით. მოტორების გუგუნი ჩრდილავს ყველა ორკესტრს, მოედანზე რჩება მხოლოდ ეს მძლავრი გუგუნი. და ჩანს, თუ დღითი-დღე, თვიდან - თვემდე, როგორ იზრდება საბჭოთა ქვეყნის სამხედრო ძლიერება, თუ როგორი იშვიათი სისწრაფით სრულყოფილი ხდება მუშურ - გლეხური წითელი არმიის სამხედრო ტექნიკა.

საბჭოთა კავშირი იქცა მძლავრ ინდუსტრიალურ ქვეყნად, რომლის დაძლევა არ შეუძლიათ არავითარ მტრულ ძალებს მსოფლიოში.

საბჭოთა კავშირს შეუძლია მასობრივი მაშტაბით დაამზადოს თანამედროვე თავდაცვის ყველა სახის საშუალება.

ტანკების პარადიც უახლესი არტილერიის პარადიც, ფოლადისა და მოტორების პარადიც — ამის საუკეთესო დამტკიცებაა. ეს არის უკვე მეორე ხუთწლედის ტექნიკა, რომლის განხორციელებისათვის შეუპოვრად იბრძვის დიდი პარტია, მთელი ქვეყანა, საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელი.

თავდება პარადი. უდიდესი ტანკების, ტანკ - სიმაგრეების ახალი კოლონები მიემართებიან წითელ მოედანზე. ავტომანქანებზე გიგანტურ პროჟექტორების მოტორიზებული რაზმები.. მრავალი ათეული მბრწყინავი თვალი იცქირება მოედნიდან ზევით.

მოედანი ცარიელდება. ისტორიულ მუზეუმთან მთელი მოედნის სიფართეზე რამდენიმე რიგად ეწყობა მოსკოვის გარნიზონის გრანდიოზული გაერთიანებული ორკესტრი. ბარაბანების გრიალით, მარშის გაბმული ხმებით, ორკესტრი ჩაუვლის ტრიბუნას.

პარადი მე-17 ყრილობის პატივსაცემად დამთავრებულია. თვითეულ მოედანზე მყოფის გულში რჩება ურყევი რწმენა, რომ მშობლიური, ძლიერი, ტექნიკურად შესანიშნავად შეიარაღებული წითელი არმიის მფარველობის ქვეშ ყრილობის ყველა გადაწყვეტილება წარმატებით იქნება შესრულებული ჩვენი ქვეყნის მშრომელების მიერ. (ადს)

საქ. კ. პ. (ბ) მე-17 ყრილობა

კამათი ამხ. მოლოტოვის და კუიბიშევის მოხსენებათა შესახებ

ამხ. ლიუბიმოვის სიტყვა

(საბჭოთა კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარი)

მე-17 ყრილობას, — ამბობს ამხ. ლიუბიმოვი, — პარტია და საბჭოთა ქვეყანა შეხვდენ ბრწყინვალე გამარჯვებებით სოციალისტური ინდუსტრიის, სოციალისტური სოფლის მეურნეობის ფრონტზე. ეს წარმატებანი, — აღნიშნავს ამხ. ლიუბიმოვი, — წარმოადგენენ დიდი სტალინის ბრძნული პოლიტიკის და გენიალური სტრატეგიის შედეგს.

მძიმე ინდუსტრიის და მანქანათმშენებლობის შექმნით, სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის წარმატებით ჩატარებით ჩვენ შევქმენით ტექნიკური და ნედლეულის ბაზა მსუბუქი მრეწველობის განვითარებისათვის. ყველა ოპოზიციური ჯგუფის განადგურების შედეგად, — ამბობს ამხ. ლიუბიმოვი, ჩვენმა პარტიამ საგრძნობ წარმატებებს მიაღწია მსუბუქი მრეწველობის დარგში. ყველასათვის ცნობილია კაპიტულანტ უგლანოვის მიერ გამოთქმული აზრი, რომ მსუბუქი მრეწველობის მოგებიდან რაიმე ნაწილის გადადება მძიმე მრეწველობის განვითარებისათვის—ჩაჰკლავს მსუბუქ მრეწველობას ისე, როგორც ცნობილია მისი გეზი ჩითეულის ჟოსკოვზე. პარტიამ, რომელიც სტალინის გზით მიდიოდა, გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა ყველა ამ მემარჯვენე ოპორტუნისტულ აბდა-უბდას.

ამხ. სტალინს ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ იმისთვის, რომ მძიმე ინდუსტრიის შექმნის და სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის ჩატარების შემდეგ ჩვენ შევძელით მთელი სიგრძე-სიგანით დაგვესვა მსუბუქი მრეწველობის განვითარების საკითხი.

უკანასკნელ წლებში ლენინურმა ცენტრალურმა კომიტეტმა და ჩვენი პარტიის ბელადმა ამხ. სტალინმა მოგვცეს ჩვენ, მსუბუქი მრეწველობის მუშაკებს, უაღრესად ძვირფასი მითითებანი ჩვენი მუშაობის შესახებ.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო, — ამბობს ამხ. ლიუბიმოვი, — მუშაობა ფართო მოხმარების საქონლის კომისიისა ამხ. სტალინის თავმჯდომარეობით. ეს კომისია დეტალურად იხილავდა მსუბუქი მრეწველობის მუშაობის ყველა საკითხს და მან უდიდესი დახმარება გაუწია მთელ მსუბუქ მრეწველობას.

მაგრამ უნდა აღვიაროთ, — ამბობს ამხ. ლიუბიმოვი, — რომ მსუბუქი ინდუსტრიის მუშაკებმა ვერ შეასრულეს თავის წინაშე დასახული დავალებანი და მათ არა აქვთ ის მიღწევები, რომლებიც უნდა ჰქონოდათ. 1933 წელს მსუბუქმა მრეწველობამ თავისი გეგმა მხოლოდ 94.5 პროც., შეასრულა. ჩვენ აგრეთვე ვერ აღმოვჩნდით სათანადო სიმაღლეზე ისეთი მაჩვენებლების მხრივ, როგორიცაა შრომის ნაყოფიერება და პროდუქციის თვითღირებულება, ცუდათაა ჩვენთან აგრეთვე პროდუქციის ხარისხის საქმე. ჯერ კიდევ დიდია წუნი ბამბეულის, მატყლის, სელის, ფეხსაცმელის მრეწველობაში და მრეწველობის სხვა დარგებში. ჩვენს მთელ რიგ საწარმოებში—ლენინგრადში, მოსკოვში, ივანოვოში ცუდადაა [illegible] ტექნოლოგიური პროცესი, რის გამო მცირდება პროდუქციის ხარისხი.

მთელ რიგ შემთხვევებში, — ამბობს ამხ. ლიუბიმოვი, — ხარისხობრივი მაჩვენებლები დაბლა იწევს კულტურულად მუშაობის უნარის უქონლობის გამო.

შემდეგ ამხ. ლიუბიმოვი ჩამოთვლის მთელ რიგ საწარმოებს (ფაბრიკა „კრასნოე ზნამია“, „სკოროხოდი“ — ლენინგრადში, [illegible] ფაბრიკა — ხარკოვში, ფაბრიკა „ოსვობოჟდენნი ტრუდ“ — მოსკოვში და სხვ.), რომლებიც მუშაობის დაყენების მხრივ საუკეთესო საწარმოებს წარმოადგენენ.

მაგრამ ასეთი სანიმუშო საწარმოები ჩვენ ცოტა გვაქვს. ამ საწარმოებს, მიუთითებს ამხ. ლიუბიმოვი, — უნდა მიჰბაძონ ყველა დანარჩენმა საწარმომ.

ჩერდება რა ადგილობრივი და მსუბუქი მრეწველობის მუშაობაზე, ამხ. ლიუბიმოვი აღნიშნავს, რომ თუ ლენინგრადის და მოსკოვის ოლქებმა და თათართა რესპუბლიკამ შეასრულეს თავისი გეგმები, ისეთმა მხარეებმა როგორიცაა ჩრდილოეთ კავკასია და ქვემოვოლგა თავისი გეგმები შეასრულეს ძალიან ცუდად.

მხარეების და ოლქების პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ამჟამად მსუბუქ მრეწველობას გაცილებით მეტ ყურადღება უნდა მიაქციონ, ვიდრე წინათ, უნდა უზრუნველყონ ოპერატიული ხელმძღვანელობა და მუდმივი კონტროლი. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ შუშეულობის, სატრიკოტაჟო, ფეხსაცმლის და მრეწველობის სხვა დარგების მრავალი ქარხანა და ფაბრიკა ადგილობრივ ორგანოების ხელშია. ყრილობის შემდეგ ჩვენ მოგვიხდება მსუბუქი მრეწველობის ახალი განაწილება საკავშირო, რესპუბლიკურ და ადგილობრივ მნიშვნელობის საწარმოებად. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ადგილობრივი ორგანიზაციები მეტ პასუხისმგებლობას გრძნობდენ მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა საერთო და ტექნიკური ხელმძღვანელობისათვის, რაც, რასაკვირველია, არავითარ შემთხვევაში არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს.

მსუბუქი მრეწველობის მუშაკები ხშირად ცუდ მუშაობას „ხსნიან“ ობიექტური გარემოებით, ნედლეულის და დამხმარე მასალების ნაკლებობით. მართალია, არის ხოლმე დაბრკოლებები ნედლეულის ხაზით, მაგრამ მსუბუქი მრეწველობის თვითეულ დარგში, მაგალითად, ბამბეულის მრეწველობაში ცუდი ხარისხის პროდუქციის გამოშვებას არავითარი კავშირი არა აქვს ამ გარემოებასთან. პირველი ხარისხის ბამბას მომჭირნეობით არ ხარჯავენ და ამიტომ ღებულობენ არა იმ პროდუქციას, რომელიც საჭიროა. ასე უკულტუროდ და არაორგანიზებულად მუშაობენ და ღებულობენ წუნდებულ საქონელს.

დაბალი ხარისხობრივი მაჩვენებლები ორგანიზაციული დეფექტების პირდაპირი შედეგია. წარმოების მართვა-გამგეობაში ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ გამეფებული იყო ფუნქციონალობა; ოსტატები და მუშები პასუხს არ აგებდენ არაკეთილხარისხოვანი პროდუქციისათვის. ეს საკითხი წამოაყენა ამხ. კაგანოვიჩმა და ორეხოვო ზუევოს კონფერენციაზე იგი დეტალურად განხილულ იქნა. მიღებულია ზომები ფუნქციონალობის ლიკვიდაციისათვის. შემოღებულია ოსტატების და საამქროთა უფროსების პასუხისმგებლობა მუშაობისათვის. გადათვალიერებულ იქნა ტარიფიკაციის სისტემა. შრომის ანაზღაურება პირდაპირ დამოკიდებულია პროდუქციის ხარისხზე. მიღებულია მთელი რიგი ზომები ქსოვილების ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ბამბეულის მრეწველობაში აღვადგინეთ წმინდა ქსოვილების გამომუშავება. მატულობს სელის და შალის ქსოვილების გამოშვება ფართო ბაზრისათვის.

ეხება რა მსუბუქი მრეწველობის ამოცანებს მეორე ხუთწლედში, ამხ. ლიუბიმოვი აღნიშნავს, რომ ფართო მოხმარების საქონლის წარმოების დასახული გადიდება უდიდეს შესაძლებლობას ქმნის მშრომელთა მატერიალური მოთხოვნილებების შემდგომი დაკმაყოფილებისათვის. ეს პროგრამა ადიდებს მსუბუქი მრეწველობის სისტემის ყველა მუშაკის პასუხისმგებლობას თავისი მუშაობის ხარისხისათვის. ამასთან ერთად, საჭიროა გაძლიერებული მოთხოვნები წავუყენოთ ადგილობრივ ორგანიზაციებს. საჭიროა უკეთესი ბამბა, სელის პირველადი დამუშავების ქარხნებმა უნდა მოგვცენ უფრო მაღალი ნომრის სელი, მანქანათმშენებლობამ უნდა მოგვცეს საჭირო მოწყობილობა.

უნდა ითქვას, რომ მსუბუქ მრეწველობას უკვე ამჟამად მოეპოვება რეზერვები წარმოების გადიდებისათვის. არსებულ სიმძლავრეთა უკეთ გამოყენების გზით ბამბეულის მრეწველობას შეუძლია დამატებით მოგვცეს 600 მილიონი მეტრი ქსოვილი. საფეიქრო ფაბრიკების რეკონსტრუქცია და სწრაფმომუშავე მანქანების გამოყენება საშუალებას მოგვცემს სელის პროდუქციის გამოშვება გავადიდოთ ერთი მილიონი მეტრით.

ამთავრებს რა სიტყვას, ამხ. ლიუბიმოვი აღნიშნავს, რომ მსუბუქ მრეწველობის წინაშე მეორე ხუთწლედში დასმულია ახალი მშენებლობის, წარმოების ტექნიკის და ნედლეულის ათვისების ამოცანები.

მშრომელთა მატერიალური დონის გიგანტურად ამაღლების ხუთწლედი ცენტრალური კომიტეტის და ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით შესრულებულ იქნება (ტაში).

ამხ. სულიმოვი

ყრილობა ტაშით ხვდება ამხ. დ. ე. სულიმოვის გამოჩენას ტრიბუნაზე.

ამხ. მოლოტოვის და კუიბიშევის მოხსენებანი, — ამბობს იგი, — წარმოადგენენ ამხ. სტალინის შემაჯამებელი მოხსენების ბრწყინვალე ილუსტრაციას. ამხ. სტალინმა დასახა სოციალიზმის აშენებისათვის შემდგომი ბრძოლის ძირითადი გზები.

მეორე ხუთწლედში ჩვენი მეურნეობის მასშტაბები და ზრდის ტემპები გრანდიოზულია.

ამხ. სულიმოვი ჩერდება პირველი ხუთწლედის შედეგებზე.

სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებანი, — ამბობს ამხ. სულიმოვი, — გასული წლების განმავლობაში, როგორც ამხ. სტალინი აღნიშნავდა, არ მოგვიპოვებია თვითდინებით. ბევრი იყო სკეპტიკოსები, მოწუწუნეები, რომლებსაც ეჭვი ეპარებოდათ უდიდესი გეგმის შესრულების შესაძლებლობაში. ყველას ახსოვს პარტიის გამძაფრებული ბრძოლა კულაკობის წინააღმდეგ, მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტების წინააღმდეგ, ბრძოლა საბოტაჟის და მავნებლობის წინააღმდეგ. ახლა ყველაფერი ეს უბრალოდ და ნათლად გეჩვენება. როგორი შორსმჭვრეტელი უნდა ყოფილიყო ამხ. სტალინი, რომ თავის დროზე მიეთითებია, თუ საით მივყავდით მემარჯვენეების და „მემარცხენეების“ ხაზს, რომ დაეცვა ლენინიზმი, კლასობრივ - პროლეტარული ხაზი. საჭირო იყო მშრომელთა მილიონების ამოძრავება პირველი ხუთწლედისათვის საბრძოლველად. და ჩვენმა პარტიამ ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით გადალახა ყველა სიძნელეები და დაბრკოლებანი.

ვითარება, რომელშიაც ჩვენ ვღებულობთ მეორე ხუთწლედის გეგმას, რადიკალურად განსხვავდება იმისაგან, რაც გვქონდა ჩვენ პირველი ხუთწლედის დასაწყისისათვის. ჩვენ შევქმენით მძლავრი ინდუსტრიალური ბაზა, მტკიცედ დავაყენეთ სოფელი სოციალისტურ რელსებზე. კულაკობა განადგურებულია. კოლმეურნეობანი გადაიქცენ გადამწყვეტ ძალად სოფლის მეურნეობაში და უკვე დაამტკიცეს კოლექტიური მიწათმოქმედების უპირატესობა ინდივიდუალური მიწათმოქმედების წინაშე. სოფლის მეურნეობის განვითარება დგას მძლავრ ტექნიკურ ბაზაზე. თანდათან იზრდება ტრაქტორების, კომბაინების და სხვა რთული მანქანების რაოდენობა.

პარტიის მე-16 ყრილობაზე ამხ. სტალინმა წამოაყენა ამოცანა — შევქმნათ საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთში ქვანახშირის და მეტალურგიის მეორე ბაზა. მთელი პარტია, მთელი ჩვენი ქვეყანა იბრძოდა ამ ამოცანის განხორციელებისათვის, რის შედეგადაც მიღწეულია გადამწყვეტი გამარჯვებანი. მოკლე ხნის განმავლობაში წარმოიშვენ ახალი სამრეწველო ქალაქები: მაგნიტოგორსკი, კუზნეცკი და სხვ. ქვანახშირის ამოღება ურალ-კუზნეცკის კომბინატში 1930 წლის 6 მილიონ ტონიდან გაიზარდა 1933 წლის 15 მილიონ ტონამდე, თუჯის წარმოება 900 ათას ტონიდან გაიზარდა 2 მილიონ ტონამდე.

ახლა ამხ. სტალინმა, განავითარა რა თავისი აზრი, წამოაყენა ამოცანა — გადავაქციოთ კუზნეცკის ბასეინი მეორე დონბასად.

კუზნეცკის ბასეინის მარაგი უდიდესია. იგი შეიცავს 450 მილიარდ ტონას. ამიტომ გასაგებია, თუ როგორი უნდა იყოს მისი განვითარების პერსპექტივები და ეს თავის გამოხატულებას პოულობს ხუთწლიან გეგმაში.

შემდეგ განვითარდება აგრეთვე ადგილობრივი ბასეინებიც, დაწყებული პოდმოსკოვიეთი, გათავებული აღმოსავლეთ-ციმბირის და შორეულ აღმოსავლეთის მხარის მაღაროებით. კარაგანდამ, მაგალითად, 1937 წელს უნდა მოგვცეს 7 მილიონი ტონა, ურალის ბასეინები გაადიდებენ ქვანახშირის ამოღებას სამი მილიონ ტონიდან 13 მილიონ ტონამდე, „დალუგოლი“ — 1800 ათასიდან 1,5 მილიონ ტონამდე.

მეორე ხუთწლედში ურალ-კუზბასის მშენებლობაში დაბანდებული იქნება 27 მილიარდი მანეთი. ამასთან დაკავშირებით, საგრძნობლად მატულობს რუსეთის ს.ფ.ს. რესპუბლიკის მრეწველობის ხვედრითი წონა საერთო საკავშირო მასშტაბში: ქვანახშირის მხრივ ხუთწლედის დამლევისათვის 48 პროცენტამდე, თუჯის—44,5 პროც., ტყეცილი ლითონის—48 პროც., რკინის მადნის—52.2 პროცენტამდე. ყოველივე ეს რუსეთის სფს რესპუბლიკის მხარეების, ოლქების და ნაციონალური რესპუბლიკების წინაშე სახავს ამოცანას — ისე მოაწყონ თავისი მუშაობა, რომ სასახელოდ იქნას შესრულებული ის დიდი ვალდებულებანი, რომლებსაც მათ აკისრებს მეორე ხუთწლედი.

ამხ. სტალინის მიერ წამოყენებულ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს ფართო მოხმარების საქონლის წარმოების განვითარება. ამ ამოცანის შემადგენელი ნაწილია — ადგილობრივი მრეწველობის განვითარება. აღნიშნული ამოცანის შესრულება დამოკიდებულია ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციებისაგან, მათი ინიციატივისაგან.

ამხ. სულიმოვს მოყავს რუსეთის სფსრ მხარეებსა და ოლქებში საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი მრეწველობის შეფარდების ციფრები.

ცენტრალური კომიტეტის თეზისებში სავსებით სწორადაა დასახული მთელი რიგი საწარმოების გადაცემა სამხარეო და საოლქო აღმასკომებისათვის, რომლებიც მომსახურებას უწევენ ადგილობრივ საჭიროებებს და მუშაობენ ადგილობრივ ნედლეულზე. ჩვენს წინაშე დგას ამოცანა: რადიკალურად გავაუმჯობესოთ ადგილობრივი მრეწველობის მმართველობა, განვამტკიცოთ სამეურნეო კადრები.

ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა შეუსუსტებელი მეთვალყურეობა უნდა გაუწიონ ადგილობრივ მრეწველობას და მიაღწიონ მის სასწრაფო განვითარებას. უნდა დავაინტერესოთ ადგილობრივი ორგანოები, რისთვისაც საჭიროა მოგების საგრძნობი ნაწილის გადადება მათ სასარგებლოდ, ვიფიქროთ რაიონულ და სამხარეო ბაზრებზე პროდუქციის რეალიზაციის ფორმების და ოდენობის შესახებ.

ადგილობრივი მრეწველობის ძირითადი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ფართოდ გამოიყენოს ნედლეულის ადგილობრივი წყაროები, უზრუნველყოს ფართო მოხმარების საქონლის გამოშვება მრავალფეროვანი ასორტიმენტით, პირველ რიგში კი ისეთი საქონლის გამოშვება, რომელსაც არ ამზადებს მძიმე მრეწველობა ან ამზადებს არასაკმაო რაოდენობით.

ამჟამად, — მიუთითებს ამხ. სულიმოვი,— ადგილობრივი მრეწველობა ცუდად მუშაობს. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ადგილობრივი აღმასკომები სუსტ ყურადღებას აქცევდენ მეურნეობის ამ დარგს. არადამაკმაყოფილებელია ამ მხრივ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მუშაობაც. სერიოზულად უნდა დავფიქრდეთ იმაზე, თუ როგორ გარდავქმნათ უკეთესად ადგილობრივი მრეწველობისადმი ხელმძღვანელობა, რომ უკვე უახლოეს დროში უზრუნველვყოთ აქ რადიკალური გარდატეხა. ხოლო ამის შესაძლებლობანი უდიდესია, პირველ რიგში კი—მოსკოვის, ლენინგრადის ოლქებში და ურალზე.

დიდი როლი, — ამბობს ამხ. სულიმოვი,—ფართო მოხმარების საქონლის წარმოებაში უნდა ეკუთვნოდეს სარეწაო კოოპერაციას. ამავე დროს იგი 1933 წელს არადამაკმაყოფილებლად მუშაობდა, შეასრულა გეგმა 73 პროცენტით, ხოლო ფართო მოხმარების საქონლის ხაზით—73.2 პროცენტით. პარტიამ და მთავრობამ გამოიტანეს მთელი რიგი გადაწყვეტილებანი, რომლებიც მაქსიმალურ ხელსაყრელ პირობებს უქმნიან მის განვითარებას, მაგრამ სარეწაო კოოპერაციის მუშაკებმა ვერ შესძლეს ამ დახმარების გამოყენება. ადგილობრივი ორგანიზაციებიც ყოველთვის როდი უწევდენ კონკრეტულ ხელმძღვანელობას სარეწაო კოოპერაციის მუშაობას, ისინი სუსტ დახმარებას უწევდენ მას. შემდეგში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საქმის ამ მხარეს.

ჩვენს პარტიას, თავისი ბელადის ამხ. სტალინის მეთაურობით, შესწევს უნარი სოციალიზმის მშენებლობის უდიდესი პოლიტიკური ამოცანები შეათავსოს ყოველდღიურ ზრუნვასთან ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მატერიალურ - კულტურულ საჭიროებათა შესახებ. ამ მხრივ, — ამბობს ამხ. სულიმოვი, — განსაკუთრებით დამახასიათებელია ის უდიდესი მუშაობა, რომელიც ჩაატარა პარტიამ ამ წლების განმავლობაში კომუნალური მეურნეობის ხაზით. პირველი ხუთწლედის მანძილზე კომუნალურ მეურნეობაში დაბანდებულ იყო 32,5 მილიარდი მანეთი. მარტო საბინაო მშენებლობაში დაბანდებულია — 4 მილიარდი მანეთი, ამ თანხით აშენებულია 22 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. მეორე ხუთწლედში განზრახულია კიდევ უფრო მეტი თანხების დაბანდება. საბინაო მშენებლობაში დაბანდებული იქნება 13,5 მილიარდი მანეთი, რის შედეგადაც საცხოვრებელი ფართობი გადიდდება 64 მილიონ კვადრატული მეტრით. კომუნალურ მშენებლობაში დაბანდებული იქნება 6,6 მილიარდი მანეთი, ჯანმრთელობის საქმისათვის—3 მილიარდი მანეთი და სხვ.

ადგილობრივი ორგანიზაციების ამოცანას, — მიუთითებს ამხ. სულიმოვი, — წარმოადგენს ყველა ასიგნობის მთლიანად გამოყენება, აგრეთვე ყველა იმ ვიწრო ადგილის ლიკვიდაცია, რომლებიც ალიმიტებენ ჩვენს კომუნალურ მშენებლობას. ადგილობრივმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ადგილობრივი საშენი მასალის ფონდის შექმნას და იმას, რომ ახალი მშენებლობანი უზრუნველყოფილი იქნან შინაგანი მოწყობილობით. ამ უკანასკნელ ამოცანას, — ამბობს ამხ. სულიმოვი, — ყველაზე უფრო ძლიერ უნდა გაესვას ხაზი მეორე ხუთწლიან გეგმაში. ბოლოს, — მიუთითებს ამხ. სულიმოვი, — ჩვენ უნდა გავაძლიეროთ მეურნეობრივი მზრუნველობა კომუნალური მეურნეობის მიმართ. მოწინავე ქალაქების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საზოგადოებრიობის ფართო მონაწილეობა ამ საქმეში პირდაპირ სასწაულს ახდენს—ქალაქებს ვერ იცნობთ.

ამთავრებს რა თავის გამოსვლას, ამხ. სულიმოვი ამბობს: პირველი ხუთწლედის მშენებლობაში ჩვენ უდიდესი გამოცდილება გვაქვს და ეს გაგვიადვილებს მეორე ხუთწლიანი გეგმის შესრულებას. ამის საწინდარია — მთლიანი შემჭიდროებული პარტია, საუცხოო მუშათა კლასი და გენიალური მესაჭე, როგორიცაა ამხ. სტალინი (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

ამხ. მიქოიანის სიტყვა

ამხ. მიქოიანი, რომელსაც ყრილობა ხანგრძლივი ტაშით ხვდება, ამბობს:

— განსაკუთრებით მაღალი მოთხოვნები, რომლებსაც მეორე ხუთწლედში ვუყენებთ მსუბუქი და კვების მრეწველობის პროდუქციის ზრდას, წარმოადგენს პირველი ხუთწლედის წარმატებით დამთავრების პირდაპირ შედეგს.

ჯერ კიდევ პარტიის მე-16 ყრილობაზე ამხ. სტალინი ამბობდა:

„მძიმე ინდუსტრია ჩვენ უკვე აღვადგინეთ, საჭიროა მხოლოდ მისი შემდგომი გაშლა. ახლა ჩვენ შეგვიძლია პირი ვიბრუნოთ მსუბუქი ინდუსტრიისაკენ და დაჩქარებული ტემპებით წავწიოთ იგი წინ“.

ავაშენეთ რა სოციალიზმის საძირკველი — მძლავრი მძიმე მრეწველობა—და საბოლოოდ გავიმარჯვეთ და განვამტკიცეთ რა საკოლმეურნეო წყობილება სოფლად, ამით ამჟამად შესაძლებლობა მოგვეცა კიდევ უფრო სწრაფად განვავითაროთ მსუბუქი და კვების მრეწველობა.

ხუთწლიანი გეგმის პროექტით, რომელიც თქვენ დაგირიგეს ყრილობაზე, დასახულია კვების პროდუქციის ზრდა 1937 წლისათვის 306 პროც. 1932 წელთან შედარებით. ხუთწლედის განმავლობაში პროდუქციის სამჯერ გადიდების ასეთი უდიდესი ამოცანის შესრულება კვების მრეწველობას შეუძლია მხოლოდ არსებული საწარმოო ბაზის სრული ტექნიკური რეკონსტრუქციის და ახალი მძლავრი პირველხარისხოვანი ტექნიკით აღჭურვილი საწარმოების ფართო მშენებლობის საფუძველზე. ამისთვის მძიმე მრეწველობამ უნდა უზრუნველყოს კვების მრეწველობის მომარაგება მანქანებით და მთელი კაპიტალური მშენებლობა, აგრეთვე უნდა უზრუნველყოს სანედლეულო ბაზის — საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების სამანქანო-სატრაქტორო პარკის საგრძნობლად გაფართოება. ჩვენმა მძიმე მრეწველობამ უკვე ისეთ დონეს მიაღწია, რომ სავსებით შეუძლია ამის უზრუნველყოფა. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ კვების მრეწველობის ტექნიკური ბაზა უფრო ნაკლებად არის განვითარებული, ვიდრე მეტალურგიის და მძიმე მრეწველობის სხვა დარგების ახალი ტექნიკური ბაზა. აქ ჩვენ საქმე გვაქვს არა მარტო ახალი ქარხნების აგების, არამედ აგრეთვე მათი ათვისების პრობლემასთან.

ახალი მშენებლობის და კვების მრეწველობის პროდუქციის წარმოების გეოგრაფიული განაწილება ჩვენ უნდა შევათავსოთ მუშათა ცენტრების ზრდასთან ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთში, ურალში მეორე ხუთწლედში დასახული მეორე საქვანახშირო დონბასის და მძიმე ინდუსტრიის მძლავრი ცენტრების შექმნა საბჭოთა კავშირის აზიურ ნაწილში, მოითხოვს აგრეთვე კვების მრეწველობის მრავალ საწარმოს აშენებას აღმოსავლეთ რაიონებში, და რადგან კვების მრეწველობა მუშაობს ისეთი ნედლეულით, რომელიც შორს მანძილზე გადატანას ვერ უძლებს, ჩვენ ამავე დროს ახალ საწარმოების გარშემო აღმოსავლეთში უნდა შევქმნათ ნედლეულის საკმაო ბაზა.

გარდა ამისა, ჩვენ უნდა შევქმნათ და მოვამზადოთ ახალი კადრები განსაკუთრებით კაზახსტანის და ყირგიზეთის ნაციონალურ რაიონებში, სადაც შენდება ახალი ხორცკომბინატები, შაქრის და სხვ. ქარხნები.

რადგან კვების მრეწველობის ტექნიკური ბაზა ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ მოღონიერებული და აღმოსავლეთის ახალი რაიონების სწრაფად ათვისება საგრძნობლად ძნელია, მე საჭიროდ მიმაჩნია შემოვიტანოთ ყრილობაზე წინადადება კვების მრეწველობის ზოგიერთ დარგში მიღებულ იქნას პროდუქციის ზრდის რამდენადმე უფრო ნაკლები ციფრები, ვიდრე ეს დასახულია თქვენთვის დარიგებულ პროექტში. პოლიტბიუროს წევრები, რომლებსაც მე გავუზიარე ჩემი აზრი, მხარს უჭერენ ამ წინადადებას.

შაქრის მრეწველობაში პროექტით 1937 წლისათვის დასახულია პროდუქცია 28 მილიონი ცენტნერის რაოდენობით. ამის ნაცვლად მე შემომაქვს წინადადება დამტკიცდეს 25 მილიონი ცენტნერი. თუ 1937 წლისათვის მივიღებთ 25 მილიონ ცენტნერს 1932 წელს არსებულ 8 მილიონ ცენტნერის ნაცვლად, გამოდის ზრდა ერთი სამად და კიდევ უფრო მეტად. ეს საკმაოდ კარგი ტემპია. ვფიქრობ, არავის შეუძლია ამის წინააღმდეგ გალაშქრება, რადგან შაქრის მრეწველობის პროდუქციის სამჯერ გადიდება ნიშნავს უდიდეს ტემპების განვითარებას.

ეს წინადადება შემომაქვს შემდეგი მოსაზრებით. ჩვენ განზრახული გვაქვს ძველი რაიონების ყველა არსებული შაქრის ქარხნის სიმძლავრე რეკონსტრუქციის გზით დაახლოებით გავადიდოთ 10 პროცენტით. ამ შემთხვევაში ყველა ამ ძველ ქარხანას 1937 წლისათვის შეუძლია მოგვცეს 20 მილიონი ცენტნერი შაქარი და ისიც მხოლოდ მაშინ, თუ ქარხნის ყოველწლიური საშუალო დატვირთვა შეადგენს 125 დღეს. როგორც ვიცით, უცხოეთში ქარხნები საშუალოდ დატვირთულია 80 დღეს წელიწადში. ჩვენში არც ერთ წელს ქარხნების საშუალო დატვირთვა არ აღემატებოდა 100 დღეს. დამატებით 5 მილიონი ცენტნერი შაქრის მისაღებად ჩვენ მეორე ხუთწლედში უნდა ავაშენოთ შაქრის 55 ახალი ქარხანა. ამ ქარხნებს ჩვენ ავაშენებთ არა უკრაინაში და არა ცენტრალურ შავნიადაგიან ოლქის დასავლეთ ნაწილში, რომლებიც ისედაც გადატვირთული არიან ტექნიკური კულტურებით, და სადაც ჩვენს წინაშე დგას არსებული შაქრის ქარხნების ათვისების, ზოგიერთი მათგანის რეკონსტრუქციის და მათი ნედლეულით სავსებით დატვირთვის ამოცანები. ახალ ქარხნებს ჩვენ ავაშენებთ ვოლგაზე, კაზახსტანში, ციმბირში, ყირგიზეთში, შორეულ აღმოსავლეთში, ჩრდილოეთ კავკასიასა და ამიერკავკასიაში.

ახლა ჩვენ ყველამ ვიცით, აგრეთვე კაზახსტანელმა და ყირგიზელმა ამხანაგებმა იციან, რომ არ კმარა ახალი ქარხნების აგება, საჭიროა მათი ათვისება, ხოლო ქარხნების ათვისება ახალ რაიონებში მოითხოვს 2-3 წელიწადს, რადგან საჭიროა მთელი სოფლის მეურნეობის გარდაქმნა შაქრის ქარხნის რაიონში. რადგან ათვისებულ უნდა იქნას რთული აპარატურა და ტექნიკა, უნდა შეიქმნან ტექნიკურად მომზადებული კადრები ახალ ადგილზე.

ჩვენ ამხ. სერგოსაგან მოვითხოვთ მოწყობილობას. აქ გამოვიდა ძალიან ბევრი პრეტენზიანი მომხმარებელი და ყველა მისგან კანონიერად მოითხოვს მანქანებს. ხოლო მისთვის კი არც ისე ადვილია ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილება. ჩვენ, კერძოდ, შაქრის მრეწველობისათვის მოვითხოვთ უაღრესად რთულ აპარატურას. მას ამზადებენ ის ქარხნები, რომლებიც დატვირთული არიან ქიმიისათვის საჭირო პასუხსაგები დაკვეთებით.

ვითვალისწინებ რა ყოველივე ზემოაღნიშნულს, მე საჭიროდ მიმაჩნია, მეორე ხუთწლედის გეგმა დამტკიცებულ იქნას 1937 წლისათვის 25 მილიონი ცენტნერი შაქრის რაოდენობით.

თევზის მრეწველობის ხაზით ამ პროექტში, რომელიც თქვენ დაგირიგდათ, დასახულია თევზის ჭერის პროგრამა 1937 წლისათვის 19 მილიონი ცენტნერის ოდენობით. თევზსჭერის ზრდა მიმდინარეობს ყველა ბასეინში თანაბარი გადიდების გზით. აზოვის და კასპიის ზღვებში უკვე მოიპოვება თევზსჭერის ერთგვარი ბუნებრივი ზღვარი. ეჭვს გარეშეა, თევზის მოშენების გზით შეიძლება გაფართოვდეს და კიდეც უნდა გავაფართოვოთ ამ ბასეინების ტევადობაც და გავადიდოთ თევზსჭერა. მაგრამ ეს, ჯერ ერთი — მოითხოვს საგრძნობ დროს, მეორე — განისაზღვრება ამ საქმის ტექნიკის ახლანდელი დონით.

პრაქტიკულად უსაზღვრო ბასეინებს წარმოადგენენ წყნარი ოკეანის ჩვენი შორეულ აღმოსავლეთის ნაპირი, ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანეს ბარენცის და თეთრი ზღვები. აქ, რასაკვირველია, ჯერ კიდევ ათეულ წლებში არ წამოიჭრება ჩვენს წინაშე ნედლეულის ბაზის საზღვრის საკითხი.

მაგრამ სამაგიეროდ ოკეანეში თევზის ჭერის პირობებში საჭიროა შეიარაღება უახლესი ტექნიკით — ტრალერებით, დიდი, 100-200 ძალიანი მოტორიზებული გემებით, რათა შეიძლებოდეს თევზის ჭერა არა მარტო ნაპირებზე, არამედ ზღვის სიღრმეშიაც. ჩვენმა მრეწველობამ უკვე აითვისა თევზის მრეწველობისათვის საჭირო ტრალერების და მოტორების წარმოება, მაგრამ ჯერ კიდევ არა საკმაო რაოდენობით [illegible], ვინაიდან დატვირთულია სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი დავალებებით.

მაგრამ მე ვშიშობ, რომ თევზის მრეწველობა ვერ მიიღებს მძიმე მრეწველობისაგან ტრალერების და მოტორების ჩვენთვის საჭირო ოდენობას სწორედ იმის გამო, რომ მას უდიდეს მოთხოვნებს უყენებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგი. ჩვენთვის საჭიროა მინიმუმ 50 ახალი ტრალერი და თევზსაჭერი გემების 10-12 ათასი ცალი ძრავი. ყინულოვან და წყნარ ოკეანეებზე თევზსჭერის გადიდება დაკავშირებულია ახალი დაუსახლებელი რაიონების ათვისებასთან. საჭიროა არა მარტო ახალი ტექნიკა, არამედ ადამიანების დასახლებაც ამ რაიონებში, მათთვის საჭირო საცხოვრებელი სახლების აგება და მათი მეურნეობრივი მოწყობა მუდმივი დასახლებისათვის. საკმარისია მოვიყვანო იმის მაგალითი, რომ კამჩატკის ათვისების დროს ჩვენ ხუთწლედის განმავლობაში გავასამკეცეთ მისი მოსახლეობა, ავაშენეთ იქ მთელი ქალაქები. ყველაფერ ამას დიდი დრო, ბევრი სახსარი, დაჟინებული მუშაობა ესაჭიროება.

ყოველივე ამასთან დაკავშირებით, მე შემომაქვს წინადადება დავაწესოთ 1937 წლისათვის თევზსჭერის ციფრი 18 მილიონი ცენტნერის ოდენობით. ჩვენ ახლა ვიჭერთ 13 მილიონ ცენტნერზე მეტ თევზს. როცა თევზსჭერა ხუთწლედის უკანასკნელი წლისათვის ჩვენ 18 მილიონ ცენტნერამდე ავიყვანთ, ვღებულობთ ზრდას თითქმის 5 მილიონი ცენტნერით, ე.ი. საშუალო ყოველწლიური ზრდა შეადგენს 6 მილიონ ფუთ თევზს. თევზსჭერის ასეთი გადიდების მიღწევა უდიდესი ამოცანა იქნება თევზის მრეწველობისათვის.

მე საჭიროდ მიმაჩნია შევიტანო შესწორება საპნის მრეწველობის მხრივაც. 1932 წელს საპნის მთელი წარმოება უდრიდა 357.000 ტონას, აქედან 42.000 ტონა მოგვცა სახელმწიფო მრეწველობამ. გეგმის იმ პროექტში, რომელიც თქვენ დაგირიგდათ, ჩაწერილია 1,21 მილიონი ტონა საპონი 1937 წლისათვის. მე წინადადებას ვიძლევი დამტკიცებულ იქნას ხუთწლედის უკანასკნელი წლისათვის საპნის პროგრამა 1 მილიონი ტონის ოდენობით, ე.ი. მივაღწიოთ საპნის წარმოების თითქმის ერთისამად გადიდებას. ეს იქნება გიგანტური ციფრი. იგი მოითხოვს საპნის ახალი ქარხნების მშენებლობას მთელ რიგ რაიონებში, შეიძლება საპნის ქარხნის აშენება მარტო ერთ პუნქტში, რათა საჭირო არ იქნეს საპნის ზედმეტი გადაზიდვა ქვეყნის შიგნით.

როცა ამხ. სტალინმა მოითხოვა მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საპნის მრეწველობის გადაცემა მომარაგების სახალხო კომისარიატისათვის, მან წინადადება მოგვცა დაგვეწყო საპნის მთელი რიგი ახალი ქარხნების აგება, რასაც ჩვენ უკვე შევუდექით.

ამავე დროს ახლანდელ სახელმწიფო მრეწველობას სრული დატვირთვით მუშაობის დროს შეუძლია გამოიმუშაოს მხოლოდ 600 ათასი ტონა, ე.ი. მოგვცეს პროდუქციის გაორკეცება; ხოლო იმისათვის, რომ მან გაასამკეცოს პროდუქცია, საჭირო იქნება დიდძალი ახალი ქარხნების აგება.

ჩვენ, რასაკვირველია, მათ ავაშენებთ, მაგრამ ვითვალისწინებ რა ყოველივე ამას, აგრეთვე იმასაც, რომ საპნის მრეწველობა დამოკიდებულია მცენარეულობის ცხიმებზე, ვთხოვ ყრილობას მიიღოს საპნის გეგმა 1937 წლისათვის ერთი მილიონი ტონის ოდენობით.

მცენარეულობის ცხიმების შესახებ 1937 წლის გეგმის პროექტში ჩაწერილია 850 ათასი ტონა, ეს ორჯერ მეტია, ახლანდელთან შედარებით. წარმოების ასეთი გადიდება როდი იქნება დამოკიდებული მარტო მზესუმზირას, ბამბის და სელის თესლის შეგროვების ზრდაზე. იმისათვის, რომ გადავამუშაოთ ისინი, ჩვენ უნდა ავაგოთ მთელი რიგი უდიდესი ზეთსახდელი ქარხნები. ჩვენ უკვე დღესაც ძალიან გვიჭირს ბამბის საზეთე თესლის იმ ოდენობის გადამუშავება, რომელიც გვაქვს შუააზიაში, იმიტომ, რომ ზეთსახდელი მრეწველობის ტექნიკური ბაზა არ არის საკმაოდ გაზრდილი. ჩვენ ვაწარმოებთ საექსტრაქციო ქარხნების მშენებლობას. ეს არის უახლესი ტექნიკის უკანასკნელი სიტყვა, ისინი მუშაობენ თესლის დაპრესვის არა ძველი მეთოდით, რაც სავსებით არ აცლის მათ ცხიმს, არამედ ქიმიური ექსტრაქციის გაცილებით უფრო ეფექტიანი მეთოდით.

ამ ქარხნების ათვისება აგრეთვე მოითხოვს ძალღონის დიდ დაჭიმვას და ბევრ დროს.

მე შემომაქვს წინადადება მცენარეულობის ზეთის გეგმა 1937 წლისათვის განისაზღვროს 750 ათასი ტონით. ძროხის ერბოს წარმოების გასამკეცების და მცენარეულობის ზეთის ზრდის ნავარაუდევი ტემპების დროს იმატებს მუშათა მომარაგებაც და საპნის წარმოებაც.

ამხანაგებო, თქვენი ყურადღება უნდა მივაქციო იმას, რომ კვების მრეწველობის ზრდაში დიდი ხვედრითი წონა ექნება ადგილობრივ მრეწველობას. ამხ. სტალინმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ადგილობრივი მრეწველობის ზრდას და დასახა მთელი რიგი მორიგი ამოცანები: ადგილობრივი საბჭოთა მრეწველობისათვის ფართო გასაქანის მიცემა... „მისთვის ნედლეულით და სახსრებით შესაძლო დახმარების გაწევის ამოცანა“. საჭიროა საწარმოო სახალხო კომისარიატებმა და თქვენ, პარტიულმა ხელმძღვანელებმა ადგილებზე სერიოზულად იზრუნოთ ამ მრეწველობის ფართოდ გაშლაზე, განსაკუთრებით კვების მრეწველობის ისეთი დარგების განვითარებაზე, როგორიცაა საკონდიტრო, მაკარონის, ლუდის სახდელი, უალკოჰოლო სასმელთა წარმოების დარგები, რომლებიც რესპუბლიკურ, საოლქო და სამხარეო ტრესტების განკარგულებაშია. ამ დარგებში ყველა დავალება წარმოების გაშლის ხაზით უნდა განხორციელდეს ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელობით. მომარაგების სახალხო კომისარიატი თავის მხრივ ყოველმხრივ დახმარებას გაუწევს ამ საქმეს.

ჩვენ არ უნდა დავუშვათ მსხვილი საწარმოებით გატაცება კვების მრეწველობის მთელ რიგ დარგებში, განსაკუთრებით ისეთებში, რომლებიც ადგილობრივი ნედლეულით მუშაობენ. საჭიროა ფართოდ გავშალოთ ბოსტნეულის გადამამუშავებელი, ხილეულობის წვნის დამამზადებელი და სხვ. წვრილი და უწვრილესი საწარმოების მშენებლობა.

ყველა წარმოდგენილ დაზუსტებათა დამტკიცების შემდეგ, კვების მრეწველობის ზრდა 1937 წლისათვის გამოიხატება 270 პროცენტით, ე.ი. კვების მრეწველობა გაიზრდება $2\frac{2}{3}$-ჯერ. რასაკვირველია, მთელ რიგ დარგებში მორიგი წლიური გეგმების შედგენის დროს, შეიძლება მიღებულ იქნას დავალების გადიდება მიღწეულ წარმატებათა გათვალისწინების საფუძველზე.

მეორე ხუთწლიანი გეგმის მიღების შემდეგ, ყველა ჩვენგანმა, მთელმა პარტიამ დამკვრელურად, სტალინურად უნდა მოჰკიდონ ხელი მთელი მრეწველობის, კერძოდ კვების მრეწველობის ტექნიკური ბაზის გაშლას, მის გარდაქმნას ახალი ტექნიკის საფუძველზე, რათა მეორე ხუთწლედში უზრუნველვყოთ რაოდენობით $2\frac{2}{3}$-ჯერ მეტი და ხარისხით გაცილებით უკეთესი პროდუქციის გამოშვება (ხანგრძლივი ტაში).

ამხ. ჩუბარი

(უკრაინა)

ამხ. ჩუბარი, რომელსაც ყრილობა ხანგრძლივი ტაშით ხვდება, ამბობს: მეორე ხუთწლედის გრანდიოზული გეგმა, რომელიც შეადგენს ჩვენი პარტიული ყრილობის განხილვის საგანს, აგებულია პირველი ხუთწლედის და მეორე ხუთწლედის პირველი წლის გამარჯვებათა საფუძველზე.

პირველმა ხუთწლედმა სავსებით და მთლიანად დაამტკიცა პარტიის გენერალური ხაზის სისწორე. სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე, გაშლილი სოციალისტური შეტევის ყველა უბანზე მკაფიოდ მოჩანს შედეგები, რომლებსაც ჩვენ მივაღწიეთ ლენინური ცენტრალური კომიტეტის და ჩვენი პარტიის ბელადის ამხ. სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით. ამ წარმატებებს პარტიამ მიაღწია პარტიული ხაზის სიწმინდისათვის, პარტიის რიგების სიწმინდისათვის შეურიგებელ ბრძოლაში, მემარჯვენე ოპორტუნისტებთან, კონტრრევოლუციურ ტროცკიზმთან, „მომემარცხენეებთან“ და კაპიტალისტურ ელემენტების ნაშთებთან ბრძოლაში.

ერთ-ერთი უბანი, სადაც განსაკუთრებით ძლიერი იყო კლასობრივი წინააღმდეგობა ჩვენს ქვეყანაში დარჩენილი კაპიტალისტური და კულაკური ელემენტების ნაშთებისა, რომელნიც საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტებს წარმოადგენენ,—საბჭოთა უკრაინაა. უკრაინის სოფლის მეურნეობა ჩამორჩენილი იყო საბჭოთა კავშირის განვითარების საერთო ტემპებისაგან. ჩვენს პარტიულ ორგანიზაციას, როგორც აქ უკვე განაცხადეს ამხ. პოსტიშევმა და კოსიორმა, გამოეპარა კლასობრივი მტრის მანევრები სოფლის მეურნეობაში, მან საკმაოდ ვერ შეაფასა ჩვენს წინაშე საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში დასახული ამოცანები. პარტორგანიზაციის კლასობრივი სიფხიზლის მოდუნებას შედეგად მოყვა ის, რომ საგრძნობლად გააძლიერეს თავისი პოზიციები ნაციონალისტურმა ელემენტებმა და პარტიაში აქტიურად იჩინა თავი ნაციონალურმა გადახრამ, რომელსაც სკრიპნიკი ხელმძღვანელობდა. ამ გადახრამ ჩვენს პარტიაში გააძლიერა კლასობრივი მტრის პოზიციები.

ჩვენ დავუშვით სერიოზული შეცდომა— ამაზე აქ უკვე ილაპარაკა ამხ. კოსიორმა, —როცა დავაჭიანურეთ ოლქების შექმნა, თუმცა ამის შესახებ გვქონდა ამხ. სტალინის პირდაპირი მითითება, ოლქების შექმნის დაგვიანებამ გამოიწვია ის რომ მთელ რიგ რაიონებს ჩვენს ხელმძღვანელობას ვუწევდით კანცელარიულად, ფორმალურად, არ ვიყავით გაცნობილი კონკრეტულ მდგომარეობასთან ადგილებზე.

ჩვენ გვქონდა აგრეთვე სხვა ხასიათის შეცდომები, აქ ნაწილობრივ დანაშაული მიუძღვის მიწსახკომს. ჩვენ რამდენიმე წლის განმავლობაში ვადიდებდით სათეს ფართობებს აგროტექნიკის იმ მოთხოვნათა გაუთვალისწინებლად, რომლებიც გადაჭრით წამოაყენა ცენტრალურმა კომიტეტმა და ამხ. სტალინმა. ამან გამოიწვია ტექნიკური კულტურების თესვის დავალებათა გადიდება სასილოსო სათესი ფართობის გაუთვალისწინებლად, თესლბრუნვის გაუთვალისწინებლად; ყოველივე ეს ძირს უთხრიდა აგროტექნიკურ ღონისძიებებს.

პარტიულმა ორგანიზაციამ გაანადგურა კლასობრივი მტერი, გაადიდა კლასობრივი სიფხიზლე, გააძლიერა მასობრივი მუშაობა და 1933 წლისათვის უზრუნველყო გამარჯვება და შექმნა პირობები საბჭოთა უკრაინის სოციალისტური მშენებლობის შემდგომი ზრდისათვის.

ნაციონალისტურ - კონტრრევოლუციური ელემენტები გაძლიერებულ კამპანიას ეწევიან საბჭოთა კავშირისაგან უკრაინის ჩამოშორებისათვის, ცდილობენ გააღვივონ ნაციონალური შუღლი რესპუბლიკაში მოსახლე ეროვნებებს შორის. ამ ცდებს მწარე მარცხი მოელის, რადგან უკრაინამ საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე რესპუბლიკებთან ერთად გადალახა სიძნელეები სოფლის მეურნეობაში, გადამწყვეტი ლახვარი ჩასცა კლასობრივ მტერს და წარმატებით ახორციელებს მეორე ხუთწლიან გეგმას (ტაში).

თვითეული პატიოსანი მიუდგომელი მეთვალყურისათვის სავსებით ნათელია, რომ მხოლოდ ცოფმორეულ კონტრრევოლუციონერებს შეუძლიათ უკრაინას უწოდონ კოლონია. სად შეიძლება კიდევ მსოფლიოში ვნახოთ რესპუბლიკების ასეთი ძმური გაერთიანება საბჭოთა კავშირში, სახალხო მეურნეობის ასეთი მძლავრი ზრდა? (მქუხარე ტაში).

ამხ. მოლოტოვმა და კუიბიშევმა დაწვრილებით გააშუქეს მეორე ხუთწლედის გრანდიოზული ამოცანები. მეორე ხუთწლედის გეგმა უკრაინისათვის ისევე გრანდიოზულია, როგორც მთელი საბჭოთა კავშირისთვის. მრეწველობის ბევრ დარგში უკრაინა მეორე ხუთწლედში პირველ ადგილს ინარჩუნებს, თუჯის გამოდნობა შეადგენს საბჭოთა კავშირში მთელი გამოდნობილი თუჯის 50 პროცენტს, მძლავრი ორთქლმავლების გამოშვება—60 პროც., ტყეცილ ლითონი—62,2 პროც.; ქვანახშირი—40 პროც., ქიმია—24 პროც.; რაიონულ ელექტროსადგურების სიმძლავრე ხუთწლედის დამლევისათვის 348 პროცენტით იზრდება 1932 წელთან შედარებით, ერთი სამად მატულობს საფეიქრო მრეწველობის პროდუქცია, სამკერვალო ნაწარმი გამოშვებული იქნება 6-ჯერ მეტი, კაპიტალური დაბანდებანი მსუბუქ მრეწველობაში იზრდება ათჯერ პირველ ხუთწლედთან შედარებით. საბჭოთა კავშირის კაპიტალურ დაბანდებათა საგრძნობი რაოდენობა მოდის უკრაინაზე, ყოველივე ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ საბჭოთა კავშირი სწორად ანაწილებს კაპიტალურ დაბანდებებს, სწორად გეგმავს საწარმოო ძალთა განვითარებას. ყოველივე ეს ავალებს უკრაინის ს.ს. რესპუბლიკის პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს გაათკეცონ ენერგია სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე.

უკრაინას უჭირავს საბჭოთა კავშირის საშემოდგომო ხორბლეულის ფართობების 50 პროცენტი. 1933 წელს ჩვენში იყო ცალკე ბრიგადები და კოლმეურნეობები, რომლებიც ჰექტარზე ღებულობდენ 150—200 ფუთ მოსავალს. ჩვენ ამოცანად ვისახავთ—საშემოდგომო ხორბლეულის 6 მილიონ ჰექტარ ფართობიდან გამოვყოთ „მაღალი სოციალისტური მოსავლიანობის ფართობი“, რათა მეორე ხუთწლედში 2 მილიონ ჰექტარიდან მაინც მივიღოთ არა ნაკლებ 120—150 ფუთი ხორბლისა ჰექტარზე.

ეს ფანტაზია კი არ არის, ამბობს ამხ. ჩუბარი, ეს სავსებით რეალური შესაძლებლობა, რომელსაც ადასტურებს 1933 წლის მუშაობის პრაქტიკა.

უკრაინას აქვს მთელი საბჭოთა კავშირის შაქრის ჭარხლის სათესი ფართობების 70 პროცენტამდე. 1933 წელს ჰექტარზე საშუალოდ მივიღეთ მხოლოდ 70 ცენტნერამდე ჭარხალი. ჩვენ ამოცანად ვისახავთ მეორე ხუთწლედში მივაღწიოთ შაქრის ჭარხლის მოსავლიანობას არა ნაკლებ 200 ცენტნერისა ჰექტარზე. ეს ამოცანაც სავსებით რეალურია. რადგან ცალკე კოლმეურნეობანი 1933 წელს კარგი დამუშავების და მოსავლის გულდასმით აღების გზით თვითეულ ჰექტარზე ღებულობდენ 200-300 ცენტნერ შაქრის ჭარხალს. ამ მოწინავე კოლმეურნეობათა გამოცდილება ხელმისაწვდომი უნდა გახდეს კოლმეურნეთა ფართო მასებისათვის.

მეცხოველეობის განვითარების საქმეში, მოზარდი პირუტყვის დაკვლასთან ბრძოლის გარდა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ კოლმეურნეებს შევასწავლოთ მუშაობის ორგანიზაცია მეცხოველეობის მსხვილ მეურნეობაში, ჯიშის საკითხის მოგვარება, მეტიზაცია—აი მეცხოველეობის ჩამორჩენის ლიკვიდაციის ბერკეტები.

— პირველი ხუთწლედის გეგმა,—ამთავრებს ამხ. ჩუბარი,—ჩვენ შევასრულეთ ოთხ წელიწადში. ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ჩვენი პარტიის ბელადის ამხ. სტალინის საბრძოლო ხელმძღვანელობით ჩვენ უზრუნველვყოფთ მეორე ხუთწლედის ამოცანების წარმატებით შესრულებას. (ხანგრძლივი ტაში).

ამხ. მუსაბეკოვი

(ამიერ-კავკასია)

ამხ. სულიმოვის შემდეგ გამოდის ამხ. მუსაბეკოვი.

ამხ. მუსაბეკოვი თავისი სიტყვის დასაწყისში აღნიშნავს, რომ დიდი ლენინური პარტიის გენიალური ბელადის ამხ. სტალინის მოხსენება, მიღებული ყრილობის მიერ, რაზმავს მთელს პარტიას და საბჭოთა კავშირის მშრომელთა ფართო მასებს იერიშისათვის მეორე ხუთწლედის ასაღებად.

ჩვენმა პარტიამ, რომელიც მოვიდა მე-17 ყრილობაზე ერთიანი, შემჭიდროებული, მონოლიტური, უზრუნველჰყო მით უდიდესი გამარჯვებები სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე.

— ამიერ-კავკასიის ფედერაციასაც, ლაპარაკობს ამხ. მუსაბეკოვი, აქვს დიდი მიღწევები. ცარიზმის კოლონიიდან, რომელიც უცხოეთის კაპიტალის ხელში იყო, ამიერ-კავკასია იქცა მოწინავე საბჭოთა რესპუბლიკად.

ლენინური ნაციონალური პოლიტიკის სწორად გატარების წყალობით მოსპობილია ნაციონალური და ეკონომიური უთანასწორობა მრავალრიცხოვან ეროვნებებს შორის, რომლებითაც დასახლებულია ამიერ-კავკასია.

პირველი ხუთწლედის განმავლობაში ჩვენ უდიდესი მიღწევები გვაქვს ამიერ-კავკასიის ინდუსტრიალიზაციის საქმეში. უდიდეს ბუნებრივ სიმდიდრეთა ბაზაზე (ნავთი, ფიქალი, ალმადანი, იშვიათი ლითონები—მოლიბდენი, ალუმინი და სხვ.) ჩვენ პირველი ხუთწლედის განმავლობაში შევქმენით მთელი რიგი ახალი საწარმოები.

ჩვენი ამიერ-კავკასიის ფედერაციის ძირითადი სიმდიდრე,—ლაპარაკობს ამხ. მუსაბეკოვი,—ეს არის ნავთი, რომლის ამოღება შეადგენს მთელს საბჭოთა კავშირში ნავთის საერთო ამოღების 56 პროცენტს, მეორე ხუთწლედში ამიერ-კავკასიის ნავთის ხვედრითი წონა უნდა გაიზარდოს 63,5 პროცენტამდე. 1934 წელს ჩვენ ქვეყანას უნდა მივცეთ 22 მილ. ტონა ნავთი, ნაცვლად 1933 წლის 15,7 მილ. ტონისა. ჩვენ ყრილობას მტკიცე სიტყვას ვაძლევთ, რომ ნავთის ამოღების გეგმას შევასრულებთ ყოველ მიზეზს გარეშე,—აცხადებს ამხ. მუსაბეკოვი მთელი დარბაზის ტაშის ქვეშ.

განსაკუთრებული ყურადღება მეორე ხუთწლედში,—ხაზს უსვამს ამხ. მუსაბეკოვი,—უნდა მიექცეს ქვანახშირის მდიდარ საბადოების, რკინის მადნების დამუშავებას, ქიმიური მრეწველობის, მანქანათმშენებლობის განვითარებას და სხვ.

სოფლის მეურნეობის დარგში ძირითად ამოცანას, რომელიც დგას ჩვენს წინაშე მეორე ხუთწლედში, წარმოადგენს ამიერ-კავკასიის გადაქცევა საბჭოთა კავშირის მებამბეობის მეორე ბაზად. ამიერ-კავკასიის ხვედრითი წონა ბამბის დარგში აღწევს 12,2 პროცენტს. განსაკუთრებული ყურადღება ჩვენ უნდა მივაქციოთ მოსავლიანობის გადიდებას.

მეცხოველეობის დარგში ჩვენ ამოცანად დავისახეთ სულადობის გადიდება: მსხვილფეხა საქონლის—64 პროცენტით, თხების და ცხენების—2-ჯერ, ღორების—3-ჯერ, ჩვენ ვითვალისწინებთ საკვები ბაზის გადიდებას 4-ჯერ.

ამ წლების განმავლობაში,—ლაპარაკობს ამხ. მუსაბეკოვი,—საბჭოთა ამიერ-კავკასიის მუშების და კოლმეურნეთა მასების კულტურული დონი განუზომლად გაიზარდა; საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ამჟამად მოსახლეობაში წერა-კითხვის მცოდნეობა 90 პროცენტს აღწევს, შექმნილია მთელი რიგი უმაღლესი სასწავლებლები, უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლები, მუშფაკები, ტექნიკუმები, სკოლები და სხვ.

ყველაფერი, რასაც ჩვენ მივაღწიეთ, — ამთავრებს ამხ. მუსაბეკოვი,—გვაძლევს სრულ რწმენას იმაში, რომ ის უდიდესი ამოცანები, რომლებიც დასმულია ამხ. მოლოტოვის მოხსენებაში, ღირსეულად იქნება შესრულებული ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების მიერ.

ჩვენი პარტია, შემჭიდროებული თავისი გენიალური ბელადის ამხ. სტალინის ირგვლივ, ჩვენს ქვეყანას მიიყვანს უკლასო სოციალისტურ საზოგადოებამდე. ხანგრძლივი ტაში.)

კომპარტია მოუწოდებს მთლიანი ფრონტის შექმნისაკენ

„ლ'უმანიტეს" მიმართვა პარიზის მუშებისადმი

პარიზი, 8 თებერვალი. „ლ'უმანიტემ" გამოაქვეყნა პარიზის მუშებისადმი მოწოდება—შეიკრიბონ ცხრა თებერვალს რესპუბლიკის მოედანზე და მოაწყონ დემონსტრაცია ლოზუნგით: **„კიაპის დაპატიმრებისათვის, ფაშისტური ორგანიზაციების დაშლისათვის, „ნაციონალური მთლიანობის" მთავრობის შექმნის წინააღმდეგ, მუშურ-გლეხური მთავრობის შექმნისათვის".**

„ლ'უმანიტე" მოუწოდებს ძირეულ მუშათა ორგანიზაციებს პოლიტიკური გაფიცვების ჩატარებისაკენ რიგითი მუშა-სოციალისტებთან და სოციალისტური პარტიის ძირეულ ორგანიზაციებთან მთლიანი ფრონტის საფუძველზე.

შემდეგ მოწოდება მიმართავს რა რიგითი მუშა-სოციალისტებს, ამხილებს სოციალ-ფაშისტური პარტიის ხელმძღვანელობის გამცემლობას, რომელმაც ბურჟუაზიასთან თავისი თანამშრომლობის პოლიტიკით გზა გაუკაფა რეაქციის განმტკიცების შესაძლებლობას და „ნაციონალური მთლიანობის" მთავრობის შექმნას მომზადებას. „კომპარტია,—ნათქვამია მოწოდებაში, — ამზადებს მთლიანი ფრონტის ორგანიზაციას. თავის წინანდელ წინადადებებთან შეფარდებით ის კვლავ იმეორებს, რომ მზადაა შეაჩეროს ბრძოლა სოციალისტური ორგანიზაციებისადმი ფაშიზმისა და კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ საერთო მოქმედების დროს, მაგრამ განაგრძობს დაუნდობელ ბრძოლას იმათ მიმართ, ვინც მთლიანი ფრონტის შესახებ შეთანხმების პირობების დარღვევაში გახდებიან შტრეიკბრეხერები და შეეცდებიან მუშათა კლასის მთლიანი ფრონტის ძირისგამოთხრას".

სოციალ-ფაშისტური „პოპულერი" ცდილობს კომპარტიის აღნიშნული მიმართვა განმარტოს როგორც „უარისთქმა ყოველგვარ შეთანხმებაზე", და ამგვარად ისწრაფვის მოატყუოს მუშები და დაფაროს სოციალ-ფაშისტების ლიდერების მორიგი გამცემლობა. როგორც უკვე იუწყებოდენ შრომის უნიტარულმა კონფედერაციამ უარყო კომპარტიის და უნიტარული პროფკავშირების წინადადება 9 თებერვალს პოლიტიკური დემონსტრაციის ერთად ჩატარების შესახებ (ადს).

ფაშისტური დემონსტრაციები და მუშათა მძლავრი კონტრდემონსტრაციები საფრანგეთში

პარიზი, 8 თებერვალი. პარიზში მომხდარ ამბებთან ერთად ფაშისტური დემონსტრაციები და მუშათა მძლავრი კონტრდემონსტრაციები წარმოებდა პროვინციაშიც. ლიონში კომპარტიის მოწოდებით ქუჩაში გამოვიდა 8.000 მუშა. ცხენოსანი და ქვეითი პოლიცია ესროდა მუშებს. მუშები სასტიკ წინააღმდეგობას უწევდენ პოლიციელებს. ოფიციალური ცნობებით დაჭრილია 85. დიჟონში მუშა დემონსტრანტებმა აღმართეს ბარიკადები და ორი საათის განმავლობაში უწევდენ წინააღმდეგობას პოლიციას. ლილში პოლიციასა და დემონსტრანტ მუშებს შორის შეტაკებაში მუშები თავს იცავდენ რიყის ქვით და აგურებით. არიან დაჭრილები. გრენობლშიაც შესდგა მუშათა დემონსტრაცია. ნანტში გამოვიდა 1500 მუშა, რომლებმაც გაფანტეს ფაშისტები.

ამავე დროს იუწყებიან რომ ტაქსის 25 ათასი შოფერის გაფიცვა პარიზში გრძელდება. დამქირავებელთა ცდები შტრეიკბრეხერების დახმარებით ჩაეშალათ გაფიცვა დამარცხდა. გაფიცვა კვლავ საყოველთაოა. მთელ რიგ სხვა ქალაქებშიც იმართება შოფერების დემონსტრაციები პარიზში გაფიცული შოფერების სოლიდარობის ნიშნად. (ადს)

პარიზის დეპეშების კომენტარიები

2 დღეა პარიზში ბარიკადული ბრძოლები წარმოებს. გადადგა დალადიეს მთავრობა დგება „ნაციონალური ერთიანობის" კაბინეტი. დღის წესრიგშია დასმული „მაგარი ხელისუფლება". პარლამენტი, რომლის უმრავლესობა მემარცხენე ბურჟუაზიულ პარტიებს ეკუთვნის, გარეკის პერსპექტივის წინაშე დგას. იმ კანტი-კუნტი ცნობების მიხედვით, რომელიც პარიზიდან მოდის, ძნელია ვიმსჯელოთ მიმდინარე ამბების მასშტაბზე. გუშინ დღის პირველი საათის შემდეგ შეწყდა ინფორმაციის მიღება პარიზიდან. გაზეთებით მოქმედებს ცენზურა, მაგრამ იმ უსრული ცნობებიდანაც, რომელიც ხელთა გვაქვს, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქმე ეხება უზარმაზარი პოლიტიკური მნიშვნელობის დიდ ამბებს.

მასობრივმა გამოსვლებმა პარიზში გააშიშვლეს წინააღმდეგობათა სიღრმე და სიმწვავე ბურჟუაზიის ბანაკში. საფრანგეთის ბურჟუაზიული დემოკრატიის კრიზისის სიღრმე და სიმწვავე, ქვეყანაში კლასობრივი ბრძოლის სიღრმე და სიმწვავე.

პარიზის პროლეტარიატის გამოსვლა ფაშისტურ ხროვის იერიშის წინააღმდეგ მოწმობს, თუ რამდენად დიდია მასების გაბოროტება, რომელიც ამ უკანასკნელ წლებში დაგროვილა. ბარიკადული ბრძოლებით თითქოს სრულდება მასობრივი ბრძოლების ჯაჭვი, იწყება რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის ახალი ეტაპი. გაფიცვები სიტროენის ავტოქარხნებში, არმანტიერის საფეიქრო საწარმოებში, დიუნკერკის დოკებში, წყლოსნების გაფიცვა, სტრასბურგის მშენებლების გაფიცვა, რომლიდაც მხარი დაუჭირეს საყოველთაო გაფიცვით, რამაც ქუჩებში ბრძოლის სახე მიიღო; სახელმწიფო საწარმოთა მუშა-მოსამსახურეების საპროტესტო მოძრაობა სამუშაო ხელფასის შემცირების წინააღმდეგ, ანტიფაშისტური, ანტისაომარი მიტინგები მშრომელთა ათეულ ათასების მონაწილეობით, დამშეულთა ლაშქრობა, მოჯამაგირეების გაფიცვა და გლეხთა დემონსტრაციები.—აი რა ჩაიწერა საფრანგეთის მშრომელთა კლასობრივი ბრძოლის ფურცლებში უკანასკნელი თვეების განმავლობაში

გალატაკდენ მილიონობით მუშები. სამუშაო ხელფასს ამცირებენ სოციალ-ფაშისტური ბელადების დახმარებით. საფრანგეთში 4 მილიონნახევარი უმუშევარი და ნაწილობრივ უმუშევარია. ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის ფართო ფენები — მოხელეები, გონებრივი შრომის მუშაკები, ვაჭრები — [illegible] სოფელი კვნესის კრიზისის, ფასების დაცემის, გადამყიდველების სპეკულაციის, გადასახადების სიმძიმის ქვეშ. ყველაფერმა ამან შექმნა გაბოროტების, ღელვის და რევოლუციური უკმაყოფილების ატმოსფერო.

საფრანგეთის პროლეტარიატის რევოლუციური ავანგარდი სათავეში ჩაუდგა მასობრივ მოძრაობას ბურჟუაზიის დიქტატურის წინააღმდეგ და არაფერი გასაკვირი არ არის, რომ შეარაზმული და ფაშისტური ელემენტებიც გამოვიდენ ქუჩაში. მათი გამოსვლის მიზანი ის არის რომ პროლეტარიატის წინააღმდეგ დარაზმონ გაბოროტებული წვრილბურჟუაზიული ფენები, წარმართონ მათი გულისწყრომა „მარქსიზმის" წინააღმდეგ, გამოიყენონ მათი უკმაყოფილება ყველაზე რეაქციულ კაპიტალისტურ ხროვათა სასარგებლოდ. ეს ხროვები ცდილობენ დააჩქარონ ფაშიზაცია და ცეცხლითა და მახვილით გაუსწორდენ ბრძოლისათვის ფეხზე ამდგარ მუშებსა და მშრომელებს.

მუშათა დემონსტრაციები 5 და 7 თებერვალს გაიმართა არა მარტო შემდეგი ლოზუნგებით: „ძირს ფაშისტები", „ძირს კიაპი", „ძირს ქურდები". დემონსტრაციები არსებითად მიმართული იყო კაპიტალისტური სისტემის წინააღმდეგ, რომლის დროს შესანიშნავად იფურჩქნება სტავისკის, საკაზინის და სპეკულაციის, ხაზინის დატაცების და მასების ძარცვის სხვა „გმირთა" აფიორები.

ფაშისტურმა და შავრაზმულმა ორგანიზაციებმა სცადეს დემაგოგიურად გამოეყენებინათ ლოზუნგი — „ძირს ქურდები", რომელიც მეტად პოპულარულია მასებში, მაგრამ ფაშისტების პირით, რომლებიც მოსყიდული ოლიგარქიის, სტავისკისა და მისი კომპანიის კლასობრივ ღვიძლ ძმებს წარმოადგენენ — ლოზუნგი „ძირს ქურდები" სხვას არას ნიშნავს, თუ არა მოთხოვნას — „არ გაბედოთ ქურდების ხელის ხლება". კიაპის დაცვის ლოზუნგი, იმ კიაპისა, რომლის გადაყენებასაც შეეცადა დალადიე ბურჟუაზიული დემოკრატიის სახის გადასარჩენად.

ვინ არიან ეს „სამართლიანობისა" და „პატიოსნებისათვის" მებრძოლი ფაშისტები"? ვინ არის ტეტენჟე „პატრიოტული ახალგაზრდობის" ბელადი? უდიდეს სააქციო საზოგადოებათა, მათ შორის „ძრავების [illegible] სააქციო საზოგადოების" გამგეობის წევრი, [illegible] შოვინისტი და როგორც კომპანიონი, ერთ მაგიდას უზის გერმანელ ბანკირებთან და მრეწველებთან ერთად საერთაშორისო კაპიტალის წარმომადგენლებთან. ვინ არის ფრანსუა კოტი, რომლის ლეიბ-გვარდიას წარმოადგენს „ცეცხლოვანი ჯვრების" კავშირი — სპეკულანტი, რომელმაც სახელი გაითქვა თავისი მახინაციებით ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებში და სხვა ქვეყნებში 1926 წელს, როცა ის ხელს ითბობდა [illegible] ფრანკის და საფრანგეთის ფასიანი ქაღალდების კატასტროფული დაცემის ხარჯზე.

მხედველობიდან არ უნდა გავუშვათ რომ მოფაშისტო ელემენტების გამოსვლა მომზადებული იყო, პოლიციასა და კიაპთან ერთად მთელი შავრაზმელი ხროვის მიერ, რომელიც ცდილობს ახლანდელ ურთულეს პირობებში შექმნას თავისი მასობრივი ბაზა რევოლუციური პროლეტარიატის დასათრგუნავად.

„კომუნისტური პარტია — ეს პარტიული ახალგაზრდობის მთავარი მტერია. — განაცხადა თავის საპროგრამო გამოსვლაში ფაშისტთა ერთ-ერთმა მეთაურმა ტეტენჟემ. უკლებლივ ყველა პარტიასთან შეიძლება იყოს ნიადაგი შეთანხმებისათვის სოციალისტურ პარტიასაც კი აქვს ჩვენთან საერთო სოციალური სამართლიანობის იდეალი, რომელსაც აღიარებენ მისი პატიოსანი ბელადები. ამ პარტიასთანაც კი შესაძლებელია დროებით მორიგება, თუ ამას სამშობლოს უმაღლესი ინტერესები მოითხოვს.".

ბატონ ტეტენჟეების და მათ მიერ მფარველობაში აყვანილ სოციალ-ფაშისტების „სამართლიანობა" — ეს არის გერმანიის ფაშიზმის და ხელისუფლებისაკენ მისთვის გზის გამკვლევ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ტიპის „სამართლიანობა".

ბატონ ტეტენჟეების „პატიოსნება" — ეს არის **მშრომელთა ძარცვის „ექსპლოატირების, ჩაგვრის განუსაზღვრელი უფლება.** სოციალ-ფაშისტებისათვის მის მიერ მიცემული ატესტატი ვერავის გააკვირვებს: საქმე ეხება ფაშიზმის ტყუპ მოკავშირეზე.

ფაშისტებმა ამ დემაგოგიის შემწეობით შესძლეს 6 თებერვალს ქუჩებში გამოეყვანათ კრიზისით გაჩანაგებული წვრილი ბურჟუაზიის ბრბო და გაეხვიათ იგი ტყვიამფრქვევთა ცეცხლში. და ეს იყო გარკვეული [illegible] — „პატრიოტული ახალგაზრდობის" პროვოკაციული დემონსტრაცია **მოაწყვეს ფაშისტებმა და პოლიციამ, რომ შეექმნათ რბევა-აწიოკების განწყობილება ქვეყანაში, განემტკიცებინათ იქ თეთრი ტერორის რეჟიმი.**

მაგრამ უკვე შვიდმა თებერვალმა ცხადყო, რომ პარიზის პროლეტარიატის დაშინება შეუძლებელია. დაჩქარებული ფაშიზაციის, სოციალ-დემოკრატების მეთაურობის მიერ ერთიანი ანტიფაშისტური ფრონტის საბოტაჟის პასუხად, პოლიციური ძალადობის და ფაშისტური პროვოკაციების პასუხად მუშები, კომპარტიის და უნიტარული კავშირების ხელმძღვანელობით, გამოვიდნენ დარაზმული რიგებით. ისინი გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევენ ფინანსურ კაპიტალს. ისინი იცავენ თავის უფლებას ქუჩაზე. ისინი იქიდან ერეკებიან ფაშისტებს ჩვენ ჯერ კიდევ არ მოგვეპოვება ამბების ამომწურავი სურათი, მაგრამ მათი ძირითადი ნიშნები ნათელია. ჩვენ საქმე გვაქვს პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის ბრძოლის უდიდესად გამწვავებასთან ერთი მხრით, და ბურჟუაზიის შიგნით ბრძოლის გამწვავებასთან მეორე მხრით. ფაშიზაციის პროცესის გაძლიერება, რომელიც „ეკო დე პარიმ" გამოხატა ლოზუნგით: „ქვეყანას ესაჭიროება ჟანდარმი". — შედის გენერალური შტაბის გეგმებში. სამხედრო წრეები ამბების განვითარებას ითვალისწინებენ თავისი თვალთახედვით. ესაა პარიზსა და პროვინციაში, საფრანგეთის ქალაქთა ქუჩებში და მოედნებზე დატრიალებული ამბების აზრი ერთიმეორის წინააღმდეგ პირისპირ დგას არა სამი ძალა. როგორც სოციალ-ფაშისტები გვიხატავენ (ფაშისტები, სახელმწიფო აპარატი და მუშები). არამედ **ორი ბანაკი, ორი კლასი:** ერთ მხარეზე არიან ფაშიზაციის გზაზე შემდგარი ბურჟუაზია, პოლიცია და ჟანდარმერია. ხოლო მეორე მხარეზე საფრანგეთის პროლეტარიატი, რომელიც აღდგა შემომტევი ფაშისტური რეაქციის [illegible].

(„პრავდა").

სოსნოვსკის დეპეშა

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს

მოსკოვი. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს

ამით ვაცხადებ, რომ სრულიად დაუყოყმანოდ ვწყვეტ კავშირს კონტრ - რევოლუციურ ტროცკიზმთან და მზად ვარ აქტიურად გავატარო პარტიის პოლიტიკა, იმედი მაქვს ერთგული მუშაობით პარტიის ხელმძღვანელობის და კონტროლის ქვეშ, საქმით დავამტკიცო ამ განცხადების გულწრფელობა.

ლ. ვ. სოსნოვსკი.

შევისწავლოთ ტრაქტორი

სოცშეჯიბრებაში ვიწვევთ ამ-კავკ. საკოლმეურნეო პარტუჯრედის ყველა მდივანს

ლაგოდეხი, 9 თებერვალი. ლაგოდეხის რაიონის საკოლმეურნეო პარტუჯრედის მდივნებმა (რომლებიც ამჟამად მეცადინეობენ კურსებზე) მტკიცედ შევიგნეთ რა ამხ. **სტალინის** ლოზუნგის — „დავეუფლოთ ტექნიკას" — უდიდესი სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა — ავიღეთ ვალდებულება — ერთი თვის განმავლობაში შევისწავლოთ ტრაქტორი და ჩავაბაროთ გამოცდა ტრაქტორისტზე.

ამავე მიზნით სოცშეჯიბრებაში ვიწვევთ ამ.-კავკ. საკოლმეურნეო პარტუჯრედის ყველა მდივანს, რომლებიც მეცადინეობენ კურსებზე.

ლაგოდეხის რაიონის საკოლმეურნეო პარტუჯრედის მდივნების საერთო კრება.

უცხოეთის პრესის გამოხმაურება

ამხ. მოლოტოვის მოხსენებაზე

საფრანგეთი

პარიზი, 7 თებერვალი. გაზეთები ათავსებენ ცნობებს მეორე ხუთწლედის შესახებ **ამხ. მოლოტოვის** მოხსენებაზე. გამოყოფენ თეზისს კაპიტალისტური ელემენტების საბოლოო ლიკვიდაციის შესახებ და ციფრებს, რომლებიც მოწმობენ მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებას (ადს).

ჩეხია-სლოვაკია

პარიზი, 8 თებერვალი. ჩეხია-სლოვაკიის პრესა თვალსაჩინო ადგილას ათავსებს ვრცელ ამონაწერებს ამხ. მოლოტოვის მოხსენებიდან განსაკუთრებული კომენტარიების გარეშე. სათაურებში ხაზგასმულია, რომ **ოთხი წლის შემდეგ საბჭოთა კავშირი იქნება უდიდესი სამრეწველო ქვეყანა ევროპაში** (ადს).

იაპონია

პარიზი, 8 თებერვალი. პრესა არაჩვეულებრივად დიდ ყურადღებას აქცევს ამხ. **მოლოტოვის მოხსენებას.** გაზეთებმა მთლიანად გამოაქვეყნეს დეპეშა მოხსენების შესახებ. მიუთითეს სათაურებში მეორე ხუთწლედის ამოცანების გრანდიოზულობაზე და იმაზე, რომ **მეორე ხუთწლედის შესრულების შემდეგ საბჭოთა კავშირი პირველ ადგილს დაიჭერს ევროპაში** (ადს).

იტალია-საბჭოთა კავშირის საბაჟო შეთანხმების რატიფიკაცია

სააგენტო „სტეფანის" ცნობა

რომი, 8 თებერვალი. სააგენტო „სტეფანი" იტყობინება, რომ მთავრობის მეთაურმა **მუსოლინიმ** და საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა **პოტიომკინმა** მოახდინეს 1933 წლის 6 მაისს ხელმოწერილი იტალია-საბჭოთა კავშირის საბაჟო კონვენციის სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა-გამოცვლა. სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა-გამოცვლა ხდება ამ ორ მთავრობას შორის ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 10 წლის თავის შესრულებისას. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა პოტიომკინმა საბჭოთა კავშირის კმაყოფილება გამოთქვა იმ აქტის რატიფიკაციის გამო, რომელიც განამტკიცებს ორივე ქვეყანას შორის მეგობრობის გრძნობას—მეგობრობისა, რომელიც მიჩნეულ უნდა იქნას, როგორც მშვიდობიანობის განმტკიცების ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი. მან მადლობა გამოთქვა აგრეთვე იმ მეგობრული დახმარებისათვის, რომელიც იტალიამ გამოიჩინა საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის შორის ნორმალურ დიპლომატიურ ურთიერთობათა დამყარებაში, რაც ამას წინათ მოხდა რომში.

მუსოლინიმ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლის გამოსვლის პასუხად წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა: იტალიის მთავრობა მზად არის განაგრძოს მეგობრული პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ პოლიტიკისა და ეკონომიკის დარგში და სურვილი გამოთქვა, რათა მახლობელ ათი წლის განმავლობაში ამ პოლიტიკამ ჰპოვოს თავისი მაქსიმალური განვითარება. (ადს).

დუმერგმა შეადგინა საფრანგეთის ახალი კაბინეტი

პარიზი, 89 თებერვალი. დუმერგმა შეადგინა კაბინეტი, რომელშიაც შედიან: **პრემიერი დუმერგი** (რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი), საგარეო საქმეთა მინისტრი—**ბართუ** (სენატორი, რადიკალ-დემოკრატების და მემარცხენე რადიკალ-სოციალისტების ჯგუფის წევრი). იუსტიციის მინისტრი—**შერონი** (სენატორი, რადიკალ-დემოკრატების და მემარცხენე რადიკალ-სოციალისტების ჯგუფის წევრი). შინაგან საქმეთა მინისტრი—**სარო** (სენატორი, იმავე ჯგუფის წევრი). სამხედრო მინისტრი — მარშალი **პეტენი.** საზღვაო მინისტრი **პიეტრი** (დეპუტატი, მემარცხენე რესპუბლიკელთა ჯგუფის წევრი). ავიაციის მინისტრი გენერალი **დენენი,** ფინანსთა მინისტრი **ჟერმენ მარტენი** (დეპუტატი, მემარცხენე რესპუბლიკელთა ჯგუფის წევრი). სახალხო განათლების მინისტრი **ბერტო** (დეპუტატი, რადიკალ-სოციალისტი), ვაჭრობის მინისტრი **ლამური** (დეპუტატი, რადიკალ-სოციალისტი), კოლონიების მინისტრი **ლავალი** (სენატორი, არც ერთ ჯგუფს არ ეკუთვნის), მიწადმოქმედების მინისტრი **კე** (დეპუტატი, რადიკალ-სოციალისტი), საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი **ფლანდენი** (დეპუტატი, მემარცხენე რესპუბლიკელთა ჯგუფის წევრი), ჯანმრთელობის მინისტრი **მარენი** (დეპუტატი, რესპუბლიკური ფედერაციის ჯგუფის წევრი, უკიდურესი მემარჯვენე), პენსიების მინისტრი **რივოლე** (ყოფილ ფრონტელთა ფედერაციის მდივანი, უკიდურესი მემარჯვენე), შრომის მინისტრი—**მარკე** (დეპუტატი, ნეოსოციალისტი), სავაჭრო ფლოტის მინისტრი **ბერტრანი** (დეპუტატი, რადიკალ-სოციალისტი), უპორტფელო მინისტრები **ერიო** (დეპუტატი, რადიკალ-სოციალისტური პარტიის თავმჯდომარე) და **ტარდიე** (დეპუტატი, რესპუბლიკური ცენტრის ჯგუფის წევრი).

საზეიმო სხდომა დ. ი. მენდელეევის დაბადებიდან ასი წლისთავის გამო

ლენინგრადი, 8 თებერვალი. ფილარმონიის დარბაზში გაიმართა საზეიმო სხდომა დ. ი. მენდელეევის დაბადებიდან ასი წლის თავის შესრულების გამო.

პრეზიდიუმში არიან—სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი **კარპინსკი,** ვიცე პრეზიდენტი—აკადემიკოსი **კომაროვი,** მენდელეევის ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე აკადემიკოსი **კურნაკოვი,** სამეცნიერო აკადემიის მუდმივი მდივანი აკადემიკოსი **ვოლგინი** და სხვ. დარბაზის ესტრადაზე დამსწრეთა შორის არიან—სახელგანთქმული ფიზიოლოგი **პავლოვი** საბჭოთა კავშირის გამოჩენილი ქიმიკოსები და ფიზიკოსები—აკადემიკოსი **ბახი, ზაგორსკი, ზელინსკი, ფრუმკინი, ბაიკოვი, ლებედევი,** პროფესორები—**კურბატოვი, იოფე, ტიშენკო** და **ლობოვი;** სამეცნიერო აკადემიის ქიმიური ასოციაციის მთელი შემადგენლობა; შლისელბურგელი **მოროზოვი,** მენდელეევის შვილი და შვილისშვილი. აგრეთვე მეცნიერებისა და ტექნიკის გამოჩენილი წარმომადგენლები, მუშათა საზოგადოებრიობა მოსწავლე ახალგაზრდობა.

საზეიმო სხდომა გახსნა აკადემიკოსმა **კარპინსკიმ** შესავალი სიტყვით, რომელმაც აღნიშნა გენიალური მეცნიერის დამსახურება კაცობრიობის წინაშე.

მოხსენებებით გამოვიდენ აკადემიკოსი **ბაიკოვი,** პროფესორი **შუკარევი** და აკადემიკოსი **ს. ი. ვავილოვი.**

აკადემიკოსმა **ბაიკოვმა** თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ მენდელეევმა შესძლო ხელახლა შეექმნა ქიმია, რომელიც მანამდე დაქსაქსულ მეცნიერებას წარმოადგენდა, მან შესძლო შექმნა ქიმიის მთლიანი, ერთიანი სისტემა და ესაა მისი უდიდესი დამსახურება.

პროფესორ **შუკარევის** მოხსენებაში გაშუქებული იყო მენდელეევის პერიოდული კანონის თანამედროვე მდგომარეობა.

პროფესორ შუკარევის მოხსენების დროს პრეზიდიუმში გამოჩნდა სახელგანთქმული მეცნიერის ქვრივი—**ანნა ივანეს ასული მენდელეევა.** დარბაზი მას შეხვდა მქუხარე ტაშით.

აკადემიკოსმა **ვავილოვმა** გააკეთა მოხსენება თემაზე: „თანამედროვე ფიზიკა და მენდელეევის მეცნიერული მემკვიდრეობა". (ადს).

მეთხილამურეთა გადარბენა პარტიის მე-17 ყრილობის პატივსაცემად

მოსკოვი, 9 თებერვალი. წარმატებით დამთავრდა [illegible] მეთხილამურე—მეთაურების გადარბენა ურალიდან მოსკოვს, მიძღვნილი მე-17 პარტყრილობისადმი.

გუშინ ურალელი მეთხილამურეები მიიღო სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. **ვოროშილოვმა.** საუბარი გრძელდებოდა ნახევარ საათს უფრო მეტ ხანს უბრალო და გულთბილ ატმოსფეროში. მეთხილამურეებმა სახალხო კომისარს გადასცეს ალბომ-პატაკი საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში თავისი შენაერთის გამარჯვებათა შესახებ.

სახალხო კომისარმა საუბრის დროს აღნიშნა ამ გადარბენის, როგორც წითელი არმიის ახალი რეკორდის მნიშვნელობა. კომანდის საშუალო სადღეღამისო გადასვლა შეადგენდა 87 კილომეტრს, ხოლო მაქსიმალური—122 კილომეტრს. კომანდა მოსკოვს ჩავიდა სანიმუშო მდგომარეობაში. სრული შემადგენლობით.

„ფიზკულტურა ჩვენში ძლიერ არის განვითარებული, შენიშნა ამხ. ვოროშილოვმა, ხოლო სპორტის ყველა სახის რეკორდების მხრივ ჩვენ ჩამორჩენილი ვართ. ახლა, ფიზკულტურაში მასების ჩაბმის გაფართოებასთან ერთად, საჭიროა მოვიპოვოთ პირველი ადგილი ყველა სახის სპორტში.

შემდეგ ამხ. ვოროშილოვმა თქვა:

„მე დარწმუნებული ვარ რომ წითელი არმია მოგვიმზადებს საბჭოთა ქვეყნის არა მარტო ჩინებულ მებრძოლებს, არამედ ფიზიკურად და სულიერად ძლიერ განვითარებულ მოქალაქეებს, სოციალისტური მშენებლობის აქტიურ მონაწილეებს.

ახლა პარტიის მე-17 ყრილობა იხილავს დღის წესრიგის უკანასკნელ საკითხს. თქვენი გადარბენის შედეგი წარმოადგენს ამხ. კაგანოვიჩის მიერ ორგანიზაციულ საკითხებზე გაკეთებული მოხსენების და იმ მოსაზრებების გამო გამართული კამათის მკაფიო ილუსტრაციას. თქვენი გადარბენა ბრწყინვალედ ჩატარდა იმიტომ, რომ თქვენ ორგანიზებულად მუშაობდით. თუ მთელი ჩვენი ქვეყანა ორგანიზებულად მუშაობს, როგორც ამაზე მე-17 ყრილობა მიუთითებს, მაშინ ჩვენ სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში უდიდეს გამარჯვებებს მოვიპოვებთ".

ამხ. ვოროშილოვმა გადარბენის ყველა მონაწილე დააჯილდოვა ოქროს საათებით (ადს).

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

10 თებერვალს დღის 2 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის კულტპროპგანყოფილებაში ამხ. სკანდარიევთან მოწვეულია თათბირი გამომგონებელთა კომიტეტის ბიულეტენის გამოცემის საკითხზე. თათბირს უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: მებუკე, კარაევა (გამომგონებელთა კომიტეტი), ნაცვლიშვილი (ტექნიკა და შრომა), პაპავა, მარდალეიშვილი ივანოვა (ინჟ.-ტექნიკოსთა ბიურო), ბოკუჩავა (პროფსაბჭოს კულტგანყოფილება), თუშმაშვილი, პრაგა (გამომგონებელთა ბიურო).

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალურ საკ. კომისიის პარტკოლეგია წინადადებას აძლევს ამხ. ბესო სულაძეს, არჩილ გოგიაშვილს, შალვა მარაშინიძეს, ქრისტეფორე დვალს, გრიგოლ მგელაძეს („ოჯახური კვებას" ყოფილი მუშაკები), გამოცხადდნენ ც. საკ. კომისიის პარტკოლეგიაში (რუსთ. პროსპ. 24, მესამე სართული, ოთახი № 73) ამხ. თურქიასთან.

ზი.

მარგანეცი

7 თებერვალს მარგანეცის ამოღების გეგმა შესრულდა 80,8 პროც. გარეცხვის—73,9 პროც.

	ამოღება (ტონობ.)			გარეცხვა ტონობ.		
	დავალება	შესრულება	%	დავალება	შესრულება	%
სულ	4.112	3.323	80.8	2.093	1.546	73,9

რუსთაველის თეატრი

11 თებერვალს [illegible] 5 ს. — ინტერვენცია
12 თებერვალს [illegible] 5 ს. — ინტერვენცია
13 თებერვალს 15 აბონ. [illegible] — ინტერვენცია

[illegible] თებერვლიდან მე-6 [illegible] სატელეფონო [illegible] თეატრის „ბოჰემის" სალაროში წარმოდგენის დღის 2 საათიდან. სალარო ღიაა 11—2 [illegible] ს.-მდე. [illegible]

სახ. ოპერა

10 თებერვალს 9 აბონ. 9 წარ. — ქეთო და კოტე
11 თებერვალს 2 აბონ. 11 წარ — ფაუსტი და ვალპურგის ღამე
12 თებერვალს 4 აბონ. 11 წარ — აიდა

12 თებ. [illegible] ქეთო და კოტე 6 თებ. [illegible] ბილეთები გ[illegible] 12 თებ[illegible] აბონემენტი [illegible] მე 9 ვიდე [illegible] ერთი დღით ადრე [illegible] წარმოდგენა [illegible] წარმოდგენის დასაწყისი 8 საათზე.

მარჯანიშვილის თეატრი

11 თებ. [illegible] — ურიელ აკოსტა
11 თებერვალს [illegible] აბონ. 5 წარ — კაკალ გულში
12 თებერვალს აბონ. გარეშე — ნინოშვილის გურია

დასაწყისი საღამოს [illegible] საათზე. თებერვლის 15-მდე აბონემენტის [illegible] ბილეთები თეატრის სალაროში დილის 11—2 საათ. საღ. 5—9 ს.

სახელმწიფო კინო-თეატრები

ოქტომბერი — მხ. ხმ. ფ. იუდუშკა გოლოვლევი [illegible] 7-30. 9. 10-30.
დამკვრელი — ინჟინერი ელ გინი [illegible]
ტემპი — ხამი სიცოცხლე [illegible] 10-30.
[illegible] — მხ. ხმ. ფ. ხიკვდილის კონვეირი [illegible] 10-30.
სპარტაკი — რისთვის? [illegible] 8-30. 10-30.
26 [illegible] — ბატონი [illegible]
მეცნიერება და ტექნიკა — მანქანის ნაწილების ჩამოსხმა [illegible]
ლილო — ამოკი [illegible] 12. 1-3
სახალხო — თავზეხელაღებული ბათალიონი [illegible] დილის 10 საათიდან

ქ. ტფილისის გაერთიანებული სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი მიხეილ ხავაძე ამით აცხადებს რომ 1934 წლ. 10 თებერვალს დღის პირველ საათზე ქ. ტფილისში ფოთის ქუჩაზე № 110-ში საჯარო ვაჭრობით გაყიდის მოქ. გიორგი ციციშვილის ქონებას: [illegible] 20 მან., [illegible] 20 [illegible] 100 მან [illegible] 5 [illegible] 10 მან., ბუფეტ 300 მან., [illegible] 10 მ [illegible] 50 [illegible] 50 მან. [illegible] 50 მან. ქონება შეფასებულ ა 1,10 მ [illegible] გაყიდება ბენ [illegible] ქ. ტფილისის [illegible] ს. ს. სასამართლოს 1933 წ. 10 დეკემბრის გადაწყვეტილება ფურცელი № 2/1375. 940

ტფილისის სატყეო-სატრა სპორტო ტექნიკუმი ხსნის მოსამზადებელ კურსებს უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის
კურსებზე მიიღებ ან საქართველოს [illegible] მთა [illegible] წარმოებიდან [illegible] პირობები [illegible] 18) დილ 9—4 საათ [illegible] 15 თებერვლიდან
936 ადმინისტრაცია.

კონფერენცია ხარისხზე „სოიუზშვეიშვიტის"
საქართველოს განყოფილება აწყობს სრულიად საქართველოს კონფერენციას სამკერვალო ნაწარმის ხარისხზე
კონფერენცია გაიხსნება [illegible] 15 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, [illegible] შენობაში—შტაბის ქ. № 4. [illegible]
92 „სოიუზშვეიშვიტის" საქ. ბაზა.

თანახმად წევრთა საერთო კრების დადგენილებისა, ხდება არტელ „ელექტროსტროის" ლიკვიდაცია.
[illegible] 23 თებერვლამდე [illegible] 13). [illegible] არ იქნება [illegible]
929 ლიკვიდკომი.

თანახმად საქ. სახკომსაბჭოს 193[illegible] წლის 7 [illegible] № 2 3 [illegible] ბიურო აცხადებს [illegible] აბრამ ეუშაკის-ძე [illegible] ვარის ხასიდა იაკოშვილის ახლა გვარზე ხანიდაშვილზე გადმოსვლის შესახებ 925

დაკარგულად ჩაითვალოს [illegible] გ. სხვა და სხვა
[illegible] № 105 [illegible] 774997 და [illegible] № 75 [illegible] № 614238 [illegible] № 6174 [illegible] პასპორტი № 051456 [illegible]

საამკერვალო საფაბრიკო-საქარხნო სკოლა აცხადებს მოწაფეთა მიღებას კურსები 6 თვიანია
მოწაფეები უზრუნველყოფილი იქნებიან ბინით ნაწილობრივ (ვაჟებს), სადილით, სასწავლო ნივთებით, ხელფასით 50 მანეთამდე. მიმაგრებული მუშათა დახურულ განაწილებელზე და ყველა უფლებებით გათანასწორებულნი მუშებთან.
კურსებზე მისასვლელად [illegible] საბუთები [illegible] 10 თებერვლიდან 1 აპრილამდე.
[illegible] 3 საათამდე, [illegible] № 40.
6 ადმინისტრაცია.

დაკრძალვა [illegible] მართა თომას-ას. მანჯავიძისა [illegible] 11 თებერვალს 911

[illegible] 11 [illegible] ეფრემი (ბიჭია) ჭიჭინაძის [illegible] 90

[illegible] ლევან ელიას-ძე სოხაძის [illegible] 11 [illegible] 90

[illegible] მართა თომას-ას მანჯავიძის [illegible] 11 თებერვალს. 911

[illegible] ნოე სალუქვაძის [illegible] 937

[illegible] ლუდა ნოდიას [illegible] 92

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე იასონი, შვილი ნინა მხატვრები, მამიდა მარიამ სულაძე იუწყებიან, რომ 12 თებერვალს 3 საათზე ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ თამარა გაბრიელის ასულ მხატვარის ხსოვნის აღსანიშნავად

[illegible] ივანე ხანდარელის [illegible] 11 [illegible] 946

[illegible] სამსონ ლაზარეიძე ვაჭარაძის [illegible] 913

[illegible] ელიზბარ კუხალეიშვილის [illegible] 931

[illegible] პორფილე მახარაშვილის [illegible] 916

[illegible] ვალიკო ნიჟარაძის [illegible] 92

[illegible] აკაკი ტოტიას-ძე ნაჭყებიას [illegible] 93

[illegible] პორფილე მახარაშვილის [illegible] 894

[illegible] დავით პავლეს-ძე ხვადაგაძის [illegible] 11 თებერვალს 5 ს. 91

[illegible] სონა სტეფანეს-ასულ ანანაშვილის [illegible] 930

[illegible] გრიშა ბედინეიშვილის [illegible] 938

2 თებერვალს 3 საათზე [illegible] მიხეილ ბეჟანიშვილის [illegible] ელენა ლიჟავა-ბეჟანიშვილისა [illegible]

[illegible] ქრისტინა მოსიძის [illegible] 10 თებერ[illegible] 91

[illegible] 11 თებერვალს [illegible] ეკატერინე ქრისტეფორეს-ასულ გამცემლიძის [illegible] 910

[illegible] 12 თებერვალს [illegible] პავლე დავითის-ძე კარდენახიშვილის [illegible] 904

[illegible] ვალიკო (ბიჭიკო) ნიჟარაძის [illegible] 10 თებერვალს 4 [illegible]

[illegible] 12 [illegible] ვლადიმერ ალექსის-ძე კოხრეიძის.

[illegible] 11 [illegible] პასიკო (ბერძენიშვილი) მამალაძის [illegible]

[illegible] ვალ[illegible]დია ივანეს-ძე ბითაძის [illegible] 14. 90

[illegible] პავლე დიმიტრის-ძე ტაბიძის [illegible] 1 [illegible] 909

[illegible] ჯუმბერ ლევანის-ძე ჭიჭინაძის [illegible]

[illegible] ბუზუა პროკოფის-ძე იბრალიძის [illegible]

[illegible] 11 თებერვალს [illegible] მუდუ (ნინო) შავლაყაძის [illegible] 901

[illegible] 12 თებერვალს 3 ს. [illegible] კალისტრატე და პაჭუ კოგახიძეების [illegible]

[illegible] თამარ სამსონის ასული სიხარულიძის [illegible] 12 თებერვალს 4 ს [illegible] 918

[illegible] ვალიკო (ბიჭიკო) ნიჟარაძის [illegible]

[illegible] პორფილე მახარაშვილის [illegible] 10 თებერვალს [illegible] 897

[illegible] 11 თებერვალს [illegible] ავგაკო მი ეილის-ძე ჩხიკვაძის [illegible] 9.0

[illegible] ივანე ხანდარელის [illegible] 11 თებერვალს. 920